პირველი ქართული სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან
5 თებერვალი ოთხშაბათი 2014
№022 (14 243) ფასი 80 თეთრი

# ფაჩულიამ ვარსკვლავები ჩამოხსნა!



12

# სკანდალი მწიფდება?

## რატომ გაუშვა ყიფიანმა ქეცბაია სიჭინავასთან?



2-3

# თარგამაძე ურალში!

## ოქრიაშვილი ჩერნომორეცის განაცხადში



4

# სუარესმა რონალდოს გაასწრო



9

# გვარდიოლა, ფეხბურთის აინშტაინი?




## ბაიერნის წარმატების ფორმულა და ინტერვიუ რეკორდმაისტერის მარგალიტებთან

5

ფეხბურთი და ფინანსები

## ბიძინა ივანიშვილი

# ...ამიტომაც ვარჩიე რაგბი ფეხბურთს

## ექსპრემიერი: ბიზნესს ფეხბურთის დაფინანსებას ვერ მოვთხოვდი

არასამთავრობო ორგანიზაცია „მოქალაქის" პრეზენტაციაზე **ბიძინა ივანიშვილმა** საფეხბურთო თემებზეც ილაპარაკა. ყოფილმა პრემიერმა ისიც გაიხსენა, რაზეც წლების წინათ საფეხბურთო სამყარო ჭორაობდა.

„მე მქონდა მცდელობა, რომ მთლიანად ქართული ფეხბურთი აღორძინებულიყო. თუმცა ფეხბურთის ფედერაციის მაშინდელმა ხელმძღვანელობამ ეს არ ისურვა და რაგბიზე ამიტომ გადავერთე. რამდენიმე სტადიონს ახლაც ვაშენებ. საუბედუროდ, ქართულ ფეხბურთზე კარგსა და დამაიმედებელს ვერაფერს ვიტყვი, რადგან ყველაფერს ფული სჭირდება. სწორედ ეკონომიკის აღორძინებას უნდა მოჰყვეს ეს ზედნაშენი - ფეხბურთი", - განაცხადა ივანიშვილმა.

შეგახსენებთ, რა ვერსიაზეა ლაპარაკი: უმცროსი **ნოდარ ახალკაცის** დროინდელი ფედერაციის ხელმძღვანელები ივანიშვილს ესტუმრნენ და ფეხბურთის განვითარებაში დახმარება სთხოვეს. კითხვაზე, რა თანხა იყო საჭირო ამ საქმისთვის, ფედერაციის ჩინოსნებმა თეთრსაც არავინ მოგცემს.

კიდევ ერთი საკითხი - როგორც ცნობილია, დეკემბრის ბოლოს საქართველოს ჩემპიონატის უმაღლესი ლიგის გუნდების წარმომადგენლები „მიხეილ მესხის" საკონფერენციო დარბაზში შეიკრიბნენ და ეროვნულ ჩემპიონატში არსებული პრობლემების შესახებ ფეხბურთის ფედერაციის ხელმძღვანელობასთან ერთად იმსჯელეს.

მანამდე სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრმა **ლევან ყიფიანმა** „ლელოსთან" ინტერვიუში განაცხადა, რომ დაფინანსებისა და სხვა სახის საფეხბურთო პროექტები თავად ფედერაციამ უნდა წარადგინოს. კლუბები სახელმწიფოსგან უმაღლესი ლიგის ყველა მონაწილის თანაბრად დააფინანსებას ითხოვდნენ, თანაც, წელიწადში მინიმუმ - მილიონი ლარით.

მათ მხარი ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა **ზვიად სიჭინავამაც** აუბა - სახელმწიფომ ფული უნდა ჩადოს და კლუბებს განვითარებაში დაეხმაროსო. ამ მოთათბირების შედეგად, კლუბებმა



ბიძინა ივანიშვილი

აუცილებელ მინიმუმად 100 მილიონი ლარი დაასახელეს.

შესაძლოა, ვინმეს ეს გადაჭარბებულად მოეჩვენოს, მაგრამ რეალობა ასეთია - 5 წელიწადში, სტადიონების, ბაზების, გუნდებისა და ბავშვთა ფეხბურთის განვითარებისთვის ეს მინიმალური თანხაც კი არის. ივანიშვილი წინადადებას დათანხმდა, მაგრამ ერთი პირობით - ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტად მისი ნდობით აღჭურვილი პირი უნდა დაენიშნათ, რომელიც ახლოს არ გაეკარებოდა საფეხბურთო საკითხებს და მხოლოდ თანხების განკარგვას გააკონტროლებდა.

იდეალური წინადადება იყო, მაგრამ ვერსიის მიხედვით, ფედერაციის თავკაცს სახელისუფლებო წრეებმა ივანიშვილის კაცის დანიშვნა კატეგორიულად აუკრძალეს. ვიმეორებთ, ეს არის ვერსია, რაზეც ფედერაციის ამჟამინდელ თავკაცებს ირიბად უთქვამთ. ყოფილი პრემიერის სიტყვებით დეტალები არ ჩანს, მაგრამ ის კი აშკარაა, რომ ფეხბურთზე გული აქვს აცრუებული და მისკენ გახედვა არ სურს, ქართულმა ფეხბურთმა კი ვილაცების ახირების გამო, განვითარების ისტორიული შანსი დაკარგა. მერე იტყვიან, ფეხბურთს არავინ პატრონობსო. როცა 100 მილიონს გაძლევენ და ისიც არ გსურს, რომ დამფინანსებელმა თანხა გააკონტროლოს, პრემიერ-მინისტრ **ირაკლი ღარიბაშვილთან** შეხვედრა და საკითხის მთავრობის სხდომაზე გატანა მოითხოვეს, ხოლო ამ საკითხის მთავრობამდე მიტანა თბილისის „დინამოს" პრეზიდენტ **რომან ფიფიას** სთხოვეს. ამის მერე ამ შეხვედრაზე აღარაფერი თქმულა. გაირკვა, რომ ფიფია არა პრემიერს, არამედ ივანიშვილს შეხვდა.

გუშინდელ პრესკონფერენციაზე „მოქალაქის" დამფუძნებელმა ეს შეხვედრაც გაიხსენა და თქვა, რომ დაფინანსების მოთხოვნა მისთვის მიუღებელია.

„ფიფიას კარგი იდეა ჰქონდა, რომელშიც მხარი დავუჭირე. შეიძლებოდა, 6 კლუბი დაფინანსებულიყო ბიზნესმენებისგან. მაგრამ შემდეგი ნაბიჯი ეს უნდა ყოფილიყო - ბიზნესმენები შემეკრიბა და მათთვის საფეხბურთო კლუბების დაფინანსება მეთხოვა. ეს ვერ მოხდებოდა, მე დაფინანსებას ვერავის ვთხოვდი. მიმაჩნია, რომ ეს ბუნებრივად უნდა მომხდარიყო. ფეხბურთს სერიოზული თანხები და სერიოზული მიხედვა სჭირდება. იმედია, ეტაპობრივად ასეც მოხდება და საკითხი დარეგულირდება. თუმცა ფეხბურთი რომ აღორძინდეს, ამას ეკონომიკის აღორძინება უნდა უსწრებდეს წინ", - ამბობს ივანიშვილი.

**მერაბ მამულაშვილი**

დღის თემა

## რატომ გაუშვა ყიფიანმა ქეცბაია სიჭინავასთან?

# მოსალოდნელი სეკვესტრი ახალ სკანდალს ამწიფებს



მარცხნიდან: რევაზ არველაძე, ზვიად სიჭინავა, თემურ ქეცბაია

**..."გთხოვთ, გულდასმით მოეკიდოთ წერილში აღნიშნულ საკითხებს, საბიუჯეტო სახსრები გადაანაწილოთ რაციონალურად და გაატაროთ მწყობრი პოლიტიკა ფეხბურთის განვითარებისთვის", - ასე მთავრდება წერილი, რომელიც სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრომ ორიოდ დღის წინათ ფეხბურთის ფედერაციას მისწერა და აცნობა, რომ ეროვნული გუნდის მწვრთნელის ხელფასს სახელმწიფო აღარ გადაიხდის. თემურ ქეცბაიას ანაზღაურება ფეხბურთის ფედერაციამ ითავა. სამინისტრომ კი, თურმე, ახლა აღმოაჩინა, რომ საქართველოს ნაკრებს ცუდი შედეგი აქვს და 2014 წელს ფეხბურთის ფედერაციის პირველსავე შეხსენებას - სამწვრთნელო შტაბი უფულოდ არ დაგვიტოვოთო, ისეთი აგრესიული უარით უპასუხა, ფედერაციის პრეზიდენტზე გადამწყვეტი შეტევის შთაბეჭდილება შექმნა.**

2009 წელს ფეხბურთის ფედერაციასა და **თემურ ქეცბაიას** შორის გაფორმებული კონტრაქტით, რომელსაც ხელი კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრ **ნიკა რურუას** თვალწინ მოეწერა, მწვრთნელისა და მისი შტაბისთვის ხელფასი სახელმწიფოს უნდა გადაეხადა (თვეში 220 975 ლარი). იხდიდა კიდეც, მაგრამ 2014 წლის დადგომა და ჯამაგირის გადახდაზე უარის თქმა ერთი იყო. სპორტის სამინისტრო ამგვარ გადაწყვეტილებას რკინისებური არგუმენტით ხსნის - შედეგი არ არის და სჯობს, ქეცბაიასა და მისი ასისტენტებისთვის მისაცემი თანხა ასაკობრივ ნაკრებებს, ანუ, მომავალ თაობას მოვახმაროთო.

**ლევან ყიფიანი** ამას ამბობდა მაშინაც, როცა მინისტრი არ იყო და ფეხბურთის ფედერაციას ოპოზიციაში ედგა. ამასვე ამბობს ახლაც, მინისტრის რანგში. ყიფიანისთვის ფედერაციასთან ურთიერთობაში ბევრი არაფერი შეცვლილა - დღესაც ფედერაციის ოპოზიციაა, ოღონდ შარშანდელთან შედარებით სტატუსი აქვს სხვა, სპორტის მინისტრი გახლავთ, სხვა მხრივ კი... ფეხბურთის ფედერაცია, როგორც და რასაც აკეთებდა ყიფიანის მინისტრობამდე, იმავეს აკეთებს ახლაც, ყიფიანი და მისი უწყება კი მოვლენებს მხოლოდ გარედან უყურებენ.

აგერ, კარგი მაგალითიც - სამინისტრომ ფედერაციას რეკომენდაციის სახით მიმართა, ქეცბაიასთვის მისაცემი ფული ასაკობრივ ნაკრებებს მოახმარეთო, ფედერაციამ კი უმალ უპასუხა - იმ ფულს, რაც ქეცბაიასა და მისი შტაბისთვის იყო გამოყოფილი, უმაღლესი ლიგის გუნდებს დავურიგებო.

ფედერაციამ სპორტის სამინისტროს იმ 7 მილიონის ხარჯთაღრიცხვაც აახლა, რომელიც სახელმწიფოს ფეხბურთის განვითარებისთვის ყოველწლიურად აქვს გამოყოფილი. ოღონდ, წინა წლებისგან განსხვავებით, 2014 წელს ხსენებულ 7 მილიონში ფედერაციას ქეცბაიას ფული გათვალისწინებული არ აქვს. ეს იმას ნიშნავს, რომ **ზვიად სიჭინავას** უწყებას მწვრთნელის ხელფასისთვის სხვა თანხის გამონახვა მოუწევს. ხოლო, თუ გავითვალისწინებთ, რომ ფედერაციას მაინცდამაინც არ ულხინს, უნდა ვივარაუდოთ, რომ ბატონი ზვიადი ქეცბაიასა და მის ასისტენტებს მუშაობას შემცირებულ ანაზღაურებაზე შესთავაზებს, ეგ არის, რა პასუხს მიიღებს.

ისე კი, ქეცბაიასთვის ხელფასის შემცირების საკითხი დღის წესრიგში რომ მალე დადგება, ეს ვიცე-პრემიერ **კახა კალაძის** გუშინდელი განცხადებიდანაც (მწვრთნელის ხელფასის საკითხი უნდა გადაიხედოსო) გამოჩნდა. სამინისტროს კულუარებში კი ითქვა, ფედერაცია ქეცბაიას და მის გუნდს ხელფასს დაახლოებით 30 პროცენტით შეუმცირებსო. მწვრთნელისა და ფედერაციის კონტრაქტის პირობები, ცხადია, ისევ გასაიდუმლოებულია, თუმცა, სავარაუდოდ, იქნება ისეთი პუნქტიც, რის შესაბამისადაც, პირობების შეუსრულებლობისთვის ქეცბაიას პოსტის ნაადრევად დატოვება და საკომპენსაციო თანხის მიღება შეეძლება.

ასეთ შემთხვევაში, ფედერაციის საქმე კიდევ უფრო გართულდება და მწვრთნელისთვის ორი წლის ფულის ერთბაშად გადახდა მოუწევს. თუმცა ქეცბაია-სიჭინავას ურთიერთობაში საქმის ასეთი გართულება ძნელად მოსალოდნელია. ამიტომ, უფრო იმას უნდა ველოდოთ, რომ ფედერაცია ქეცბაიას ხელფასის შემცირებაზე დაიყაბულებს და მუშაობას კონტრაქტის ბოლომდე მაინც დააცდის.

დაბოლოს, კითხვა სპორტის სამინისტროს: მწვრთნელის ხელფასის გადახდაზე უარი მაინცდამაინც ახლა რომ თქვით და მოტივად ცუდი შედეგები დაასახელეთ, აქამდე საქართველოს ნაკრები ციდან ვარსკვლავებს წყვეტდა?! ყიფიანის უწყება ქეცბაიასთვის ხელფასის გადახდაზე უარს ასე ხელის ერთი მოსმით არ იტყოდა, სამინისტროში ამ საკითხზე დიდხანს იფიქრებდნენ, მაგრამ არც ფედერაციის პრეზიდენტია „გუშინდელი" კაცი - საპასუხო სვლა მასაც მოფიქრებული ექნება.

სიჭინავა ახლა ავადაა და ორ-სამ დღეში ამ თემასთან დაკავშირებით საგანგებო პრესკონფერენციის მოწვევას აპირებს, იქამდე კი ფედერაციის გენმდივანმა **რევაზ არველაძემ** გვითხრა, რომ ქეცბაიას ხელფასს ფედერაცია საკუთარი შემოსავლებით გადაიხდის, იმ თანხით, რომელიც სახელმწიფოსგან არ მოდისო.

თავად ქეცბაიასთან დაკავშირება ვერ მოხერხდა. ისე ჩანს, ქართულ ფეხბურთში ახალი სკანდალი მწიფდება და ეჭვი გვაქვს, ეს კატათაგვობანა ამით არ დასრულდება. სავარაუდოდ, ამ თემას მძაფრი გაგრძელება ექნება...

**კობა ინასარიძე**



### კახა კალაძე: ქეცბაიას ხელფასი გადასახედია

საქართველოს ნაკრების მთავარი მწვრთნელის ხელფასის თაობაზე კომენტარი ეროვნული გუნდის ყოფილმა კაპიტანმა **კახა კალაძემ** გააკეთა.

„მიმაჩნია, რომ ეროვნული ნაკრების მთავარი მწვრთნელის ხელფასი ქვეყანაში არსებული ვითარების შესაბამისი უნდა იყოს. ვგულისხმობ სოციალურ პრობლემებს. კონკრეტულად არ ვიცი, რამდენი აქვს ხელფასი მთავარ მწვრთნელს, მაგრამ ვფიქრობ, ის გადაიხედება", - ვკითხულობთ „ინტერპრესნიუსზე".

### სამინისტროს განცხადება

„საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრომ განიხილა მიმდინარე წლის 17 იანვრის წერილი საქართველოს ეროვნული ნაკრების მთავარ მწვრთნელთან გაფორმებული ხელშეკრულებით 2014 წლის იანვრის თვეში კუთვნილი თანხის (220 975 ლარი) მოთხოვნის თაობაზე.

კიდევ ერთხელ გაცნობებთ, რომ ჩვენ შორის შემდგარი არაერთი შეხვედრის დროს გაჟღერებული იქნა სახელმწიფოს პოზიცია, მიმდინარე ეტაპზე ეროვნული ნაკრებისთვის მაღალანაზღაურებადი მწვრთნელის მიუღებლობის შესახებ, ასევე არაერთხელ დაისვა საკითხი იმის თაობაზე, რომ სფფ-მ შეასრულოს მთავარ მწვრთნელთან გაფორმებული ხელშეკრულების პირობა, შესაბამისმა ორგანომ შეაფასოს მთავარი მწვრთნელის საქმიანობა და მიღებული იქნას ობიექტური გადაწყვეტილება.

ჩვენთვის და საზოგადოებისთვის უცნობია, თუ როგორ აფასებს სფფ ეროვნული ნაკრების მთავარი მწვრთნელის საქმიანობას. კიდევ ერთხელ, ამჯერად წერილობით ვაფიქსირებთ სახელმწიფოს ხედვას იმის შესახებ, რომ არსებული შედეგების გათვალისწინებით საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხებით, ეროვნული ნაკრების მთავარი მწვრთნელის ხელფასის ანაზღაურება არ უნდა იყოს წელიწადში 400 000 ლარზე მეტი.

მიგვაჩნია, რომ სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიზანშეწონილია დაფინანსდეს U-15 და ზედა ასაკობრივი ნაკრებები, ასევე გაურკვეველი და გაუგებარია, თუ რა კრიტერიუმით/პრიორიტეტით არის შერჩეული, როგორც მწვრთნელთა (სხვადასხვა შემთხვევებში 3, 4 ან 5 მწვრთნელი) რაოდენობები ასაკობრივი ნაკრებების თვალსაზრისით, ასევე მათი სახელფასო განაკვეთები. აქედან გამომდინარე, გვაქვს საფუძველი დავასკვნათ, რომ ადგილი აქვს სუბიექტურ და უსისტემო მიდგომას საკითხისადმი.

ეს კი მიუღებელია ნებისმიერ შემთხვევაში, მით უფრო, როდესაც საკითხი საბიუჯეტო თანხების ხარჯვას ეხება. გვინდა შეგახსენოთ, რომ ფეხბურთში, ისევე როგორც სპორტის ნებისმიერ სახეობაში, მწვრთნელების წარმატება მათ სპორტულ შედეგზეა დამოკიდებული, აქედან გამომდინარე, სამინისტროს მიერ შემუშავებული და მიღებული იქნა „სპორტსმენთა და მწვრთნელთა ხელშეწყობის სახელმწიფო მიზნობრივი პროგრამა", რომელიც შედეგზე ორიენტირებული, წარმატებული მწვრთნელებისა და სპორტსმენების დამატებით ფინანსურ წახალისებას გულისხმობს. შესაბამისად, არც ერთი წარმატებული ნაბიჯი, თუ მიღწევა სახელმწიფოს მხრიდან ყურადღების მიღმა არ რჩება და მეტი მოტივაციის საფუძველია.

სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხების თქვენეულ განერაში არაფერია ნათქვამი სფფ-ის პოლიტიკის შესახებ რეგიონებში ბავშვთა ფეხბურთის განვითარების თვალსაზრისითაც, იმ დროს, როდესაც სტატისტიკურად ფეხბურთელთა შევსება ძირითად შემთხვევებში რეგიონებიდან მოდიოდა და სახელმწიფოებრივი მიდგომა ამ მიმართულებით უნდა იყოს აქცენტირებული.

სფფ-ს მიერ ამ კუთხით დაგეგმილი და განსახორციელებელი ღონისძიებები პრიორიტეტებში არ ზის.

მიზანშეწონილია, სახელმწიფოს სახსრებიდან გარკვეული ღონისძიებები დაგეგმილი და განხორციელებული იქნას რეგიონებში, რაც ერთი მხრივ, ხელს შეუწყობს ბავშვთა ფეხბურთის განვითარებას რეგიონებში და გააიოლებს სელექციას, ხოლო მეორე მხრივ, რეგიონული ფედერაციები მიიღებენ გარკვეულ ფინანსურ რესურსს, გააუმჯობესებენ მენეჯმენტს და შეძლებენ დაიბრუნონ ესოდენ მნიშვნელოვანი ფუნქცია.

რაც შეეხება უმაღლესი ლიგის კლუბების პრობლემას, სამწუხაროდ, ვერც აქ დავინახეთ თქვენი მიზანმიმართული ნაბიჯები პრობლემის მოგვარების მიზნით, გარდა განცხადებებისა, სადაც ხელს სახელმწიფოსკენ იშვერთ. მიგვაჩნია, რომ არსებული დაფინანსების პირობებშიც შესაძლებელია უმაღლესი ლიგის კლუბების დახმარება (თითოეული კლუბი - 200 000x12=2 400 000 ლარი), თუ თანხები რაციონალურად იქნება გადანაწილებული. არავის აქვს ილუზია იმისა, რომ ეს თანხა პრობლემას მოაგვარებს, მაგრამ დარწმუნებული ვარ, ეს იქნება ქმედითი ნაბიჯი გადადგმული სახელმწიფოს მხრიდან და კარგი ადმინისტრირების პირობებში დღის წესრიგში დააყენებს ფეხბურთის განვითარების გრძელვადიანი პროგრამის დამტკიცებას, რომლის წარმოდგენაც არაერთხელ გთხოვეთ და დღემდე ამაოდ ველოდებით.

გთხოვთ, გულდასმით მოეკიდოთ წერილში აღნიშნულ საკითხებს, საბიუჯეტო სახსრები გადაანაწილოთ რაციონალურად და გაატაროთ მწყობრი პოლიტიკა ფეხბურთის განვითარებისთვის", - ნათქვამია ლევან ყიფიანის წერილში.

### სფფ-ის განმარტება

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს ეროვნული საფეხბურთო ნაკრების მთავარი მწვრთნელის - თემურ ქეცბაიას ხელფასთან დაკავშირებულ საკითხთან მიმართებაში გადაწყვეტილებები უკვე მიღებულია და საზოგადოებაც ამის შესახებ ინფორმირებულია, სფფ-მ საჭიროდ მიიჩნია კიდევ ერთი განმარტების გაკეთება - საკითხში უფრო მეტი სიცხადის შესატანად.

დღეს, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე გამოქვეყნდა წერილი-განცხადება, რომელიც 28 იანვარს, მინისტრმა ფედერაციის პრეზიდენტს გამოუგზავნა. შესავალში მითითებულია, რომ ეს წერილი სფფ-ში ნაკრების მწვრთნელის ხელფასის მოთხოვნის საპასუხოდ გაიგზავნა.

რეალურად კი, მას შემდეგ, რაც სამინისტრომ სახელმწიფო ბიუჯეტიდან ქეცბაიას კონტრაქტის სახელფასო პირობებში ცვლილებების შეტანა მოითხოვა, სფფ-მ კონტრაქტით გათვალისწინებული ვალდებულებების საკუთარ თავზე აღება გადაწყვიტა და ეროვნული ნაკრების მთავარი მწვრთნელის ანაზღაურებას ამიერიდან ფეხბურთის ფედერაცია გადაიხდის.

დანართის სახით გთავაზობთ წერილებს, რომელიც ფედერაციისგან სამინისტროს 27 და 29 იანვარს გავგზავნა და სადაც, დეტალურადაა გაწერილი 2014 წლის ბიუჯეტის ხარჯები და ხარჯვის სავარაუდო განაწილება.

გაცნობებთ, რომ აღნიშნულთან დაკავშირებით სფფ ოფიციალურ განცხადებას მოგვიანებით გააკეთებს.

სფფ-ის პრესსამსახური



ჩიხურა

# დაფინანსება კი არ წყდება, იზრდება

დააფინანსებს თუ არა კომპანია „ქართუ" საჩხერის „ჩიხურას"? გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე ყოფილი პრემიერის **ბიძინა ივანიშვილის** სიტყვებს, როგორც ჩანს, არასწორი ინტერპრეტაცია მისცეს - თითქოს, მისი კომპანიები „ჩიხურას" აღარ დააფინანსებენ.

სინამდვილეში, „მოქალაქის" დამფუძნებელმა შემდეგი თქვა: *„ჩემი აზრით, მარტო საჩხერის ფეხბურთი არ უნდა დაფინანსდეს. თანხები, რომელსაც ფონდი „ქართუ" ქველმოქმედებაში ხარჯავდა, კონკრეტულ სამინისტროებს უნდა გადაეცეს, რომელთა შორის სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროც მოიაზრება. არ მაქვს ამბიცია, რომ „ჩიხურა" აუცილებლად საქართველოს ჩემპიონი იყოს. გუნდში დაქირავებულია ფეხბურთელთა 90 პროცენტი და ასე გაგრძელების არავითარი სურვილი არ მაქვს. ბავშვები საჩხერეში უნდა აღიზარდონ, გუნდი მათგან უნდა ჩამოყალიბდეს და არა ჩამოსულებისგან. ჩემი მხრიდან ქველმოქმედება იყო გამოსავალი, ჩემს ქვეყანას რომ დავხმარებოდი. ახლა მე საკმაოდ დაკავებული ვარ თანაინვესტირების ფონდით. იმას, რასაც საქველმოქმედო ფონდი „ქართუ" აკეთებდა, ის თანხები სამინისტროებს, მათ შორის, სპორტის სამინისტროს უნდა გადაეცეს და თავად გაარკვიონ პრიორიტეტები და არა - ფონდში არჩეულმა საბჭომ, რომელიც ბევრ დროს მართმევდა".*

მოკლედ, აქ არ არის ლაპარაკი კლუბის დაფინანსების შეწყვეტაზე. „მარტო საჩხერის ფეხბურთი არ უნდა დაფინანსდეს" - იმას ნიშნავს, რომ სხვა კლუბებიც უნდა დაფინანსდნენ. საქართველოს ჩემპიონატის ლიდერთა ჯგუფის წარმომადგენელ „ჩიხურას" ივანიშვილის კომპანიები დაურიცხავენ ფულს თუ სპორტის სამინისტროს „ქართუს" თანხებს გადაუმისამართებენ, ეს ნაკლებად მნიშვნელოვანია.

კომენტარისთვის „ჩიხურას" მთავარ მწვრთნელ **სოსო ფრუიძეს** დავუკავშირდით: *„ასე მგონია, ივანიშვილის სიტყვების არსი ბევრმა ვერ გაიგო. ჩვენთვის არავის უთქვამს, რომ აღარ დაგვაფინანსებენ. უბრალოდ, ის მომხრეა, რომ ჩვენთან ერთად სხვა გუნდებიც დაფინანსდნენ, თორემ ორიოდე ძლიერი გუნდი საერთო დონეს ვერ გაზრდის. ამას ადრეც ამბობდა, რომ საჭიროა ყველა გუნდს ჰქონდეს საკუთარი ინფრასტრუქტურა, ბაზები, საბავშვო სკოლები... მხოლოდ ასე ამაღლდება ეროვნული ჩემპიონატისა და ჩვენი ფეხბურთის საერთო დონე. ბატონი ბიძინა გაცილებით მნიშვნელოვან საკითხს შეეხო. მან თქვა, რომ საჭიროა ადგილობრივი კადრების გაზრდა. მხოლოდ ჩამოსულებით „ჩიხურას" მომავალი ვერ წარმოგვიდგენია და ამიტომაც არსებობს საფეხბურთო სკოლა, სადაც 350-მდე ბავშვი უფასოდ ვარჯიშობს. დარწმუნებული ვარ, მათში დაბანდებული თანხები შედეგებს უახლოეს წლებში გამოიღებს. „ქართუმ" „ჩიხურა" შარშან 2 მილიონით დააფინანსა. არათუ არ დაგვაფინანსებენ, მალე რამდენიმე ძლიერ მოთამაშესაც დავიმატებთ და ეს ჭორებიც გაიფანტება".*

კლუბის გენერალური დირექტორი **ბერიკა შუკაკიძე** კი კონკრეტულ ციფრებს ასახელებს: „ამ საკითხზე ფონდ „ქართუს" დირექტორსაც ველაპარაკე და არ უთქვამს, რომ აღარ დაგვაფინანსებენ. პირიქით, ბიუჯეტის 2,5 მილიონამდე გაზრდაზეა ლაპარაკი. ივანიშვილმა თქვა, რომ მხოლოდ ჩვენი და რამდენიმე კლუბის დაფინანსება და ასეთი ჩემპიონატი საქმეს არ წაადგება".



სოსო ფრუიძე

■ ■ ■

ამასობაში, ჩიხურა ურეკში გაემგზავრა და ფოთის „კოლხეთთან" ამხანაგურად ითამაშა. **სოსო ფრუიძის** გუნდმა 3:1 გაიმარჯვა. საჩხერელთაგან თავი **საბა ლომიამ** (2) და **ჯაბა ჯიღაურმა** გამოიჩინეს.

ჩიხურა: **თევდორაძე, კაშია, ჭელიძე, ლომაშვილი, ჩიკვაიძე, ქიმაძე, დათუნაიშვილი, ჯიღაური, მუმლაძე, ლომია, დეკანოიძე**. შეცვლაზე: **მწყერაშვილი, გაბედავა, ივანიშვილი.**

გუნდი ორი დღით დაისვენებს და 7 თებერვალს შეიკრიბება. „ჩიხურას" სწორედ ამ დღეს შეუერთდება თბილისის „დინამოს" ყოფილი მცველი **გია კვარაცხელია**. ფრუიძის თქმით, კვარაცხელიამ ნახევარწლიანი კონტრაქტი გააფორმა, მაგრამ ევროთასებზე გასვლის შემთხვევაში „ჩიხურაში" დარჩება.

**მერაბ მამულაშვილი**

სამზადისი

# ზესტაფონმა პანდურიით დაიწყო

## კოკაია მალე ძველი სტატუსით დაბრუნდება?


ილია კოკაია

თურქულ ბელეკში შეკრებაზე მყოფმა „ზესტაფონმა“ პირველი ამხანაგური მატჩი გამართა და რუმინეთის ჩემპიონატის (უმაღლესი ლიგა) მეოთხეადგილოსან „პანდურიისთან“ დამარცხდა. **გია გეგუჩაძემ** თითქმის ყველა ის ფეხბურთელი ათამაშა, ვინც მოსამზადებლად ჰყავს წაყვანილი.

ქართულ ფეხბურთში ავად დამკვიდრებულმა „ბოლო წუთების ფაქტორმა“ ამჯერად ზესტაფონელებს დაასვა დაღი. გეგუჩაძის გუნდის საგრძნობი უპირატესობის მიუხედავად, რუმინელთა ბრაზილიელმა **ალექს დოს სანტუშმა** მეკარე **მეშველიანს** სწორედ პირველი ტაიმის ბოლო წამზე გაუტანა მატჩის ერთადერთი გოლი.

„ზესტაფონმა“ ასეთი შემადგენლობით ათამაშა: **მეშველიანი, ღონღაძე (64. თორნიკე გორგიაშვილი), თევდორე გრიგალაშვილი, ფერიერა, გურული (67. გაგოშიძე), ჭელიძე (64. ჭანტურიშვილი), შარიქაძე (64. სარდალიშვილი), ჭანკოტაძე (64. კუხიანიძე), დოლიძე (64. კაპანაძე), გეწაძე (64. ფანცულაია), საბანაძე (64. ტატანაშვილი).**

მოსამზადებელი ეტაპის მომდევნო მატჩს ზესტაფონელები 7 თებერვალს, ჩეხურ „პრშიბრამთან“ ჩაატარებენ, 13 თებერვალს უკრაინულ „ჩერნომორეცს“ შეხვდებიან, 15-ში კი მაკედონიურ „ტურნოვოს“. გეგუჩაძეს შეგირდებისთვის ერთი სპარინგი 10 თებერვალსაც სურს, მაგრამ, ჯერჯერობით, მეტოქის ვინაობა უცნობია.

„ზესტაფონი“ თურქეთში 17 თებერვლამდე დარჩება და, შესაძლოა, ისე მოხდეს, რომ საქართველოში დაბრუნებულ კლუბს პრეზიდენტად... ისევ **ილია კოკაია** დახვდეს. ყოველ შემთხვევაში, კლუბში ამ ბიზნესმენის ახლო მომავალში დაბრუნების შესახებ სულ უფრო ხშირად საუბრობენ. კოკაიას დაბრუნებაზე მოლაპარაკე ხალხს ასეთი არგუმენტი აქვს - წმინდა სპორტული საკითხების მოსაგვარებლად გუნდში დღესდღეობით მაინც ილია კოკაიას ფული იხარჯება, ზესტაფონის გამგეობის მიერ გამოყოფილი 300 ათასი ლარი კი კომუნალურ და სხვა გადასახადებს მოხმარდებაო.

ოფიციალურად, „ზესტაფონის“ ხელმძღვანელად გენერალური დირექტორი **მიხეილ ხუციშვილი** ითვლება. შეგახსენებთ, იმერლების ყოფილი პრეზიდენტი კლუბიდან ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტ **ზვიად სიჭინავასთან** დაპირისპირების გამო წავიდა. სიჭინავამ კოკაიას ულტიმატუმი წაუყენა - პოსტი დატოვე, თორემ მე წავალ „ზესტაფონიდანო“.

ცხადია, სიჭინავამ ეს ულტიმატუმი არ მიიღო, ხოლო „ზესტაფონის“ პრეზიდენტი სიტყვის ერთგული დარჩა და წავიდა კიდეც. საკითხავად კი ის დატოვა, როდემდე ჩამოშორდა კლუბსა და ქართულ ფეხბურთს? საქმეში ჩახედული ხალხი ამბობს, რომ კოკაია კლუბში მალე ძველი სტატუსით დაბრუნდება.

**კობა ინასარიძე**

ლეგიონერები

# ოქრიაშვილი განაცხადში, თარგამაძე ურალში


თორნიკე ოქრიაშვილი

ოდესის „ჩერნომორეცმა“ ქართველი ახალწვეული **თორნიკე ოქრიაშვილი** უკრაინის ჩემპიონატისა და ევროპალიგის განაცხადში შეიყვანა. ორივე ტურნირზე ჩვენებური 7-ნომრიანი მაისურით ითამაშებს.

ამასობაში, „ჩერნომორეცი“ ანტალიაშია და ევროპალიგისთვის ემზადება. ერთ დღეში გუნდმა ორი ტესტი გამართა: ჯერ ახალგაზრდული შემადგენლობით ჩეხურ „ბანიკს“ დაუზავდა (1:1) და ოქრიაშვილმა სწორედ ამ მატჩში ითამაშა; მერე კი პოლონურ „ვისლას“ 2:0 მოუგო. ქართველ შემტევს ამ შეხვედრაში აღარ უთამაშია.

**დავით თარგამაძე** კი, რომელიც „ილიჩივეციდან“ სწორედ ოქრიაშვილთან ერთად წამოვიდა, რუსული championat.com-ის ინფორმაციით, უახლოეს დღეებში სეზონის ბოლომდე იჯარით „ურალში“ ითამაშებს. ცნობისთვის, ამ კლუბში „დილას“ ყოფილი ნახევარმცველი **ლაშა გვალიაც** ირიცხება.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

ქართველები ჰოლანდიაში

# მარცხი ჟორდანიასა და ტურაშვილის თვალწინ

ჰოლანდიურ ერედივიზიონში ქართველების „ვიტესმა“ ისევ გაუშვა ხელიდან ლიდერობის დაბრუნების შანსი - თუ წინა ტურში „ფეიენოორდთან“ სტუმრად ქულას გამორჩა, გუშინ საკუთარ მოედანზე „ალკმაართან“ 0:2 დამარცხდა.

არნემელთა კაპიტანმა **გურამ კაშიამ** 90 წუთი დაჰყო მოედანზე, მეორე ქართველი **ვაკო ყაზაიშვილი** კი ბოლოსკენ ჩაერთო თამაშში და კინაღამ ანგარიში „დაასველა“ - მისი თავური მცირედით ასცდა მიზანს.

არ გამოჩენილა **გიორგი ჭანტურია**, რომელიც ახალი კლუბის ძიებაშია და „ვიტესისთვის“, ეტყობა, ველარ იცლის.

სტუმრები პირველივე ტაიმში დაწინაურდნენ - ჯერ ავტოგოლით, რომელიც მეტოქეს **ვან აანჰოლტმა „მიართავა“**, ხოლო შემდეგ **იოჰანსონმა** ორბურთიანი სხვაობით დააწინაურა **დიკ ადვოკაატის** გუნდი და საქმეც, თურმე, ამით მოამთავრა. წაგების მიუხედავად, არნემელები მეორე ადგილზე რჩებიან და ჩემპიონობისთვის ბრძოლას აგრძელებენ.

სხვათა შორის, „ვიტესს“ გუშინ ტრიბუნიდან ორი ქართველი ქომაგობდა - კლუბის ყოფილი მეპატრონე და პრეზიდენტი **მერაბ ჟორდანია** და მწერალი **დათო ტურაშვილი...**

**კობა ინასარიძე**

ესპანური შეკრება

# გოლი ბარსას სტილში

**ესპანურ შეკრებაზე თბილისის „ლოკომოტივმა“ „ბარსელონას“ 19-წლამდელთა გუნდი 1:0 დაამარცხა, თუმცა მეორე სპარინგ-მატჩში ნორვეგიულ „ოდ გრენლანდთან“ თავად დამარცხდა - 1:3. ბარსელონელ თანატოლებთან შეხვედრაში ერთადერთი გოლის ავტორი საქართველოს 19-წლამდელთა ნაკრების თავდამსხმელი დავით ჯიქია გახლდათ.**

**დათოს ესპანეთში დავუკავშირდით და მცირე ინტერვიუ ჩამოვართვით:**

- პირველი ტაიმი ცოტა არეულად დავიწყეთ და თავიდან უპირატესობა „ბარსელონას“ ჰქონდა. ეს იმის ბრალიც იყო, რომ გუნდი ახალი შეკრებილია და შეთამაშების პრობლემა გვაქვს. მაგრამ დაცვაში კარგად ვიდექით და, რაც მთავარია, გოლი არ გავუშვით. მეორე ტაიმში კი თამაშის ხარისხი აშკარად გამოვასწორეთ და თამამად შემიძლია ვთქვა, რომ კატალონიელებს ვაჯობეთ კიდეც. გამარჯვების გოლიც გავიტანეთ.

**- სასიამოვნო განცდაა, გაუტანო თუნდაც „ბარსელონას“ 19-წლამდელთა გუნდს?**

- რა თქმა უნდა?! მით უფრო სასიამოვნოა, როცა ამ გოლით შენი გუნდი „ბარსელონას“ უგებს. ეს გოლი ბიჭების დამსახურებაა და ამისთვის დიდი მადლობა მათ.

**- სხვათა შორის, გოლი „ბარსელონას“ სტილში გაიტანეთ - სწრაფი, ტექნიკური და ლამაზი კომბინაციით...**

- ასე იყო და, როგორც ჩანს, ამ სტილში თამაში და გოლის გატანა ჩვენც შეგვძლებია.

**- მთავარია ელიტრაუნდში წარმატებული გამოსვლა. ასეთი თამაშები ფსიქოლოგიურად კარგად მომზადებაში დაგეხმარებათ...**

- ცხადია, დაგვეხმარება. „ბარსაში“ ხომ დაახლოებით ჩვენი ასაკის ფეხბურთელები იყვნენ. დარჩენილ თამაშებში კიდევ უფრო მეტ გამოცდილებასა და სასარგებლო პრაქტიკას მივიღებთ. „ოდ გრენლანდსაც“ გავუტანე. „ლოკომოტივის“ პრეზიდენტმა ლექსო თოფურიამ კარგი სპარინგებისა და შეკრების ორგანიზება მოგვიხერხა. ასეთი შეკრებებით ქართული გუნდები განებივრებულები ნამდვილად არ არიან.

**- 19-წლამდელთა ნაკრების რამდენიმე წევრი „ლოკომოტივში“ დაბრუნდით. არადა, დარწმუნებული ვარ, სხვა კლუბებიდანაც გექნებოდათ მიწვევები. რატომ დათანხმდით „ლოკომოტივში“ თამაშს და არა სხვა კლუბში?**

- გარკვეული შემოთავაზებები იყო, მაგრამ ასე გადავწყვიტეთ. „ლოკომოტივში“ იმიტომ დავბრუნდით, რომ უფრო მეტად შევთამაშებულიყავით, ერთად მოვმზადებულიყავით, გამოგვესწორებინა მინუსები და ელიტრაუნდამდე თამაში დაგვეხვეწა.

**- 17-წლამდელთა ევროპის ჩემპიონატის შემდეგ თქვენს თაობაზე დიდ იმედებს ამყარებენ. გულწრფელად თქვით, სლოვენიის შემდეგ წინსვლას თუ გრძნობთ?**

- ძალიან სასიხარულოა, რომ ჩვენს თაობაზე ამხელა იმედებს ამყარებენ. ეს დამატებითი სტიმულია. რა თქმა უნდა, წლების განმავლობაში ვუმატებთ. იმიტომ, რომ ვვარჯიშობდი მართლაც კარგ მწვრთნელებთან - გიორგი ჩიტაურთან, გუბაზ დოლიძესა და ვასილ მაისურაძესთან. საერთოდ, ვისთანაც ერთხელ მაინც მივარჯიშია, იმავე ჟერარდ სარაგოსასთან, რაღაც ვისწავლე. მაგრამ მთავარი მაინც ისაა, შრომა არ დავაკლო და, რა თქმა უნდა, არც დავაკლებ.

## მიზანი 2018 წლის მუნდიალზე თამაშია

ესპანურ შეკრებაზე მყოფი თბილისის „ლოკომოტივი“ დღეს მორიგ შეხვედრას ჩაატარებს. კლუბის მენეჯერ **თამაზ ბოკერიას** თქმით, 5 თებერვალს გუნდი სეგუნდა დივიზიონის ბინადარ „ერკულესს“ ეთამაშება. ის შეკრებაზეც გველაპარაკა.

*„ქართული ფეხბურთისთვის ლექსო თოფურია შეუფასებელ საქმეს აკეთებს. ფაქტობრივად, მან ვასილ მაისურაძეს საშუალება მისცა, ელიტრაუნდისთვის სანაკრებო კანდიდატები „ლოკომოტივში“ მოემზადებინა. გუნდში კი 19-წლამდელთა გუნდის 12-მდე კანდიდატია. ლექსოს სურვილია, ნაკრების რაც შეიძლება მეტი ფეხბურთელი იყოს ერთად თავმოყრილი, რაც მათ შეთამაშებაში ერთიორად დაეხმარება. ამის მაგალითია აბურჯანიას ტრანსფერიც. ეს სპარინგმატჩები ახალგაზრდა ფეხბურთელებისთვის ძალიან სასარგებლოა. პოლონურ და ნორვეგიულ კლუბებთან შეხვედრების შემდეგ მათ დაინახეს, რომ კაცებთანაც შეიძლება ტოლ-სწორად დაპირისპირება და ხშირ შემთხვევაში, მეტოქეებზე კარგადაც გამოიყურებოდნენ“*, - ამბობს ბოკერია.


დავით ჯიქია (№ 14)

„ლოკომოტივის“ მენეჯერი „ბარსელონასთან“ თამაშზეც გველაპარაკა და კლუბის პრეზიდენტის აქამდე უცნობი ჩანაფიქრიც გაგვანდო:

*„მატჩის ორგანიზებაში „ტორპედოს“ ყოფილი მთავარი მწვრთნელი ჟერარდ სარაგოსა დაგვეხმარა. ბარსელონაში გვერდიდან არ მოგვშორებია. ვარჯიშსაც დაესწრო, თამაშსაც, ჩვენი მოგებით კმაყოფილი იყო და მაისურაძესა და დევდარიანს გამარჯვება მიულოცა. საერთოდ, კატალონიელებთან მოგებით ყველა სასიამოვნოდ გავაკვირვეთ. მატჩი სამჯერ აჩვენა „ბარსა TV“-მ, რადგანაც ამ „ბარსელონამ“ 19-წლამდელთა ჩემპიონთა ლიგის ჯგუფურ ეტაპზე 6 თამაშიდან 5 მოიგო და 1 ფრედ ითამაშა. ყველას ეგონა, რომ ადვილად დაგვამარცხებდნენ. მაგრამ გოლი რომ გაუშვეს, ანერვიულდნენ. მათი მწვრთნელი ხშირად აპროტესტებდა მსაჯის გადაწყვეტილებას, თამაშის მერე კი ძალიან დამწუხრებული იყო. შეხვედრას „ბარსას“ ხელმძღვანელობაც დაესწრო, მათ შორის - ლეგენდარული მეკარე ანდონი სუბისარეტა. სხვათა შორის, ვასიკო მაისურაძე ესპანელებთან, ჯერჯერობით, დაუმარცხებელია - მისმა ნაკრებმა ესპანეთთან ორჯერ ფრედ ითამაშა, ახლა კი „ბარსელონა“ დაამარცხა. ამას თავად ესპანელებიც აღნიშნავდნენ. 5 თებერვალს „ერკულესს“ ვეთამაშებით, რაც ამ ბიჭებისთვის კიდევ ერთი დიდი გამოცდა იქნება. დახმარება და თანადგომა სჭირდება ლექსო თოფურიას და იმ ერთეულ ბიზნესმენებს, ეს ნიჭიერი თაობა რომ გაიზარდოს და მერე, 2018 წელს, მსოფლიოს ჩემპიონატზეც შეიძლება ფიქრი“.*

**მერაბ მამულაშვილი**

ლეგიონერი

# გრიგალავას საგოლე პასი


გია გრიგალავა (№ 5)

რუსული პრემიერლიგის „ანჟიმ“ მეორე საწვრთნელი შეკრება დაასრულა თურქეთში და სამშობლოში დაბრუნდა. „ანჟი“, რომელიც ევროპალიგისთვის ემზადება, მესამე შეკრებას ესპანეთში გაივლის.

მახაჩყალის გუნდმა თურქეთში ბოლო ამხანაგური მატჩი „ტიმოკთან“ გამართა და 5:0 მოიგო. **გია გრიგალავამ** შეხვედრა შეუცვლელად ჩაატარა. პირველი გოლი კი **სმოლოვმა** სწორედ მისი პასით გაიტანა.

შეგახსენებთ, რომ ევროპალიგის 1/16 ფინალში „ანჟის“ მეტოქე ბელგიური „გენკია“.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

● ბაიერნი

# გვარდიოლა, ფეხბურთის აინშტაინი

## როგორ ჩამოაყალიბა პეპმა მიუნხენში უძლეველი გუნდი

გუშინდელ ვარჯიშზე „ბაიერნის" მთავარი მწვრთნელი **ხოსეპ გვარდიოლა** შეგირდებს მეტი მოძრაობისკენ მოუწოდებდა - თანაც, ინგლისურად: Practice is everything! ანუ ვარჯიში ყველაფერიაო. და ეს ყველაფერი, მიუხედავად იმისა, რომ გერმანიის ჩემპიონატის მორიგი კალენდარული მატჩი რეკორდმაისტერმა 5:0 მოიგო და ბუნდესლიგაში 44-მატჩიანი წაუგებელი სერია აქვს.

ჩვენმა გერმანელმა კოლეგებმა კი პეპისთვის ახალი მეტსახელის შერქმევა გადაწყვიტეს: „ბილდმა" გვარდიოლას „ფეხბურთის აინშტაინი" უწოდა. ხსენებული გამოცემა წერს, რომ ესპანელმა სპეციალისტმა ისეთ ფორმულას მიაგნო, რომელიც წაგებას გამორიცხავს. „ბილდი" წერს, რომ ეს ფორმულა ასე გამოიყურება: 365:51 + 1,79 + (66%X87%) + 65.




ხოსეპ გვარდიოლა ფეხბურთის აინშტაინი? ეს „ბილდის" ფოტო-მონტაჟია

დავიწყოთ 365-ით: სწორედ ამდენჯერ დაარტყეს „ბაიერნის" ფეხბურთელებმა მიმდინარე სეზონში მეტოქე გუნდების კარის მიმართულებით და აქვე დავძენთ, რომ ბაიერნელებზე მეტი დარტყმა სხვა არც ერთი გერმანული კლუბის მოთამაშეებს არ განუხორციელებიათ. მეორე რიცხვი 51-ია - სწორედ ამდენი გოლი გაიტანა „ბაიერნმა" ბუნდესლიგის განვლილ 19 ტურში და ესეც საუკეთესო მაჩვენებელია.

მიუხედავად ამისა, გვარდიოლა მაინც არაა ბოლომდე კმაყოფილი და კიდევ უფრო მეტ გოლს ითხოვს. მარტო **მარიო მანჯუკიჩს** 11 გოლი აქვს გატანილი და მიუხედავად ამისა, ხორვატ გოლეადორს ძირითად შემადგენლობაში ადგილი გარანტირებული არ აქვს. მეტიც: მანჯუკიჩი მეორე წრის სტარტზე პეპმა განაცხადს მიღმაც კი დატოვა.

მას მერე, რაც „ბაიერნში" მუშაობს, აშკარად გამოჩნდა, რომ გვარდიოლას დაბალი და მოქნილი ფეხბურთელები უფრო უყვარს, ვიდრე მაღლები და, შესაბამისად, ტლანქები. რეკორდმაისტერის ძირითად შემადგენლობაში მოთამაშე ფეხბურთელთა საშუალო სიმაღლე 1.79 მეტრია. **ჯერდან შაჩირი** (1.69 მეტრი) თვით **ფილიპ ლამსა და ფრანკ რიბერიზე** (1.70 მ) დაბალია. აღსანიშნავია ისიც, რომ მეორე წრის ორივე ტურში „ბაირენს" საშუალოდ ყველა გუნდზე დაბალი მოთამაშეები ჰყავდა მოედანზე.

გვარდიოლა ნახევარდაცვაში უპირატესობას მოძრავ, მოქნილ და ტექნიკურად სრულყოფილ მოთამაშეებს ანიჭებს. ამ სეზონში „ბაიერნის" საშუალო ბურთის ფლობა 66 პროცენტია, რაც ასევე ტოპ-შედეგი გახლავთ, პასების სიზუსტის მაჩვენებელი კი 87 პროცენტია და ესეც საუკეთესო მაჩვენებელია.

*„მიყვარს, როცა ვხედავ, რომ თამაშს მთლიანად ჩვენ ვაკონტროლებთ,"* - აცხადებს გვარდიოლა. ამიტომაცაა, რომ პეპი შეგირდებს ვარჯიშებზეც კი მხოლოდ ერთი შეხებით თამაშს ავალებს. იმისათვის, რომ „ბაიერნში" ტიკი-ტაკა უფრო იოლად დაენერგა, პეპმა მიუნხენში თანამემამულე **ტიაგო ალკანტარა** ჩაიყვანა და ესპანელმა „აინტრახტთან" შეხვედრაში ბუნდესლიგის ყველა დროის რეკორდი დაამყარა: ბურთს 177-ჯერ შეეხო. ზოგადად კი, მიუნხენურ გრანდში პასების სიზუსტით ყველაზე მეტად კაპიტანი ლამი გამოირჩევა: მისი გადაცემების 91 პროცენტი ზუსტია.

კიდევ ერთი მაჩვენებელი, რომლითაც გვარდიოლას ფორმაციის რეკორდმაისტერი გამოირჩევა, სირბილია. „ბაიერნის" ფეხბურთელები მეტოქე გუნდების ნახევარზე ყველაზე მეტს, საშუალოდ ერთ თამაშში 65 კილომეტრს დარბიან. პეპი: *„ჩვენ მართლა ძალიან ბევრს დავრბივართ, თუმცა ეს მხოლოდ დასაწყისია".*

საუკეთესო მორბენალი ფრანკ რიბერია, რომელიც საშუალოდ ერთ შეხვედრაში მეტოქე გუნდის ნახევარზე 8.1 კილომეტრს დარბის.

ამრიგად, გვარდიოლას წარმატების ფორმულა ასე გამოიყურება: 365:51 + 1,79 + (66% X 87%) + 65 = უძლეველობას.

● ინტერვიუ. ფრანკ რიბერი და არიენ რობენი

# ისინი ყველას შიშის ზარს სცემენ!

## უძლეველი ბაიერნის მთავარი მარგალიტები: ფრანკ რიბერი და არიენ რობენი




მიუნხენის „ბაიერნის" რეაქტიული და უაღრესად ტექნიკური გარემარბები: რიბერი და რობენი

„როზერი" დაბრუნდაო, წერდნენ გუშინ ჩვენი გერმანელი კოლეგები. მიუნხენის „ბაიერნისა" და გერმანული ფეხბურთის გულშემატკივრები მაშინვე მიხვდებიან, რასაც ნიშნავს სიტყვა „რობერი" და ვინც ვერ მიხვდა, ავუხსნით, რომ ამაში არიენ რობენისა და ფრანკ რიბერის ტანდემი იგულისხმება. ეს ტერმინი საფეხბურთო გერმანიაში მაშინ გაჩნდა, როცა „ბაიერნში" რიბერი და რობენი გაერთიანდნენ და ფლანგებიდან მეტოქე გუნდების აწიოკება დაიწყეს. მას მერე, ხან რობენს ჰქონდა ტრავმები, ხანაც რიბერის ჩავარდნები, ახლა კი ეს წყვილი ისევ ყველას შიშის ზარს სცემს. ბუნდესლიგის განვლილ ტურში, რობენმა და რიბერიმ (ორივე 30 წლისაა) თითო გოლი გაიტანეს და მიმდინარე სეზონში გოლების რაოდენობა ორივემ შვიდამდე გაზარდა. გუშინ გაზეთ „ბილდში" მიუნხენური გრანდის ორივე ვარსკვლავის ინტერვიუ გამოქვეყნდა.

### რიბერი: ჩემპიონთა ლიგისთვის ყველა გამარჯვება მნიშვნელოვანია!

**- ჰერ რიბერი, მსოფლიოს საკლუბო ჩემპიონატის შემდეგ ოფიციალურ შეხვედრაში პირველად ითამაშეთ და პირველივე მატჩში გოლის გატანა მოახერხეთ. სრულყოფილი დაბრუნება გამოგივიდათ, ასე არ არის?**

- შეიძლება, მოკლედ ითქვას: კმაყოფილი ვარ. ბოლო დროს არც ისე კარგ ხასიათზე ვიყავი, რადგან ხან უბრალოდ თავს ცუდად ვგრძნობდი, ხანაც ტკივილები მაწუხებდა. ტკივილები მეტწილად ზურგიდან მოდიოდა. ასეთ დროს ექიმები გუნდთან ერთად ყოფნას მიკრძალავენ ხოლმე, რაც ჩემთვის ყოველთვის ტრაგედიაა. თუმცა მწვრთნელი ხშირად მესაუბრებოდა - ეს კი ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანია.

**- ...და რას გეუბნებოდათ პეპ გვარდიოლა?**

- მამშვიდებდა, მაიმედებდა და ნდობას მიცხადებდა. გვარდიოლა მეუბნებოდა, დაწყნარდი და თავს ნუ გაიწამებო. არადა, ასეთ დროს სტრესი და ნერვიულობა თავისით მოდის ხოლმე. „შტუტგარტთან" მატჩის შემდეგ კი გვარდიოლა ჩემთან მოვიდა და მითხრა: „აინტრახტთან" მჭირდები და მინდა, რომ მომდევნო შეხვედრაში მოედანზე ნამდვილი რიბერი ვნახოო. როცა მწვრთნელს ასეთი მიდგომა აქვს, მის ხელში რომელი ფეხბურთელი მოიწყენს?

**- შეგვიძლია, თუ არა, რომ „ბაიერნი" უკვე გერმანიის ჩემპიონად გამოვაცხადოთ?**

- ყოველ შემთხვევაში, ბუნდესლიგის სატურნირო ცხრილისთვის თვალის შევლება ახლა მართლა დიდი სიამოვნებაა. „ლევერკუზენს" უკვე 13 ქულით ვუსწრებთ, რაც ავტომატურად იმას ნიშნავს, რომ „ბაიერნი" გერმანიის ჩემპიონატის მთავარი ფავორიტის სტატუსს გადაჭარბებითაც კი ამართლებს. თუმცა კონცენტრაცია უნდა შევინარჩუნოთ, რადგან კონკურენტებს არ სძინავთ. ჩვენ პროფესიონალები ვართ და მიუნხენის „ბაიერნში" ვთამაშობთ - შესაბამისად, ყველა მატჩი უნდა მოვიგოთ. მოდუნება არ შეიძლება!

**- მცირეოდენი მოდუნებაც არ შეიძლება? კონკურენტები ხომ ძალიან ჩამოგრჩებიან...**

- ბუნდესლიგაში მოპოვებული თითოეული გამარჯვება კარგია თავდაჯერებისთვის და ჩემპიონთა ლიგაშიც ძალიან წაგვადგება. თუ გვინდა, რომ ჩემპიონთა ლიგის ფინალში გავიდეთ, ეს რიტმი უნდა შევინარჩუნოთ.

**- როგორ ფიქრობთ, „ბაიერნი" გერმანიის ჩემპიონი მარცხის გარეშე გახდება?**

- ეს, რა თქმა უნდა, შესაძლებელია. მაგრამ მეცხრე ცაზეც არ უნდა ვიფრიონოთ. უბრალოდ, კონცენტრაცია უნდა შევინარჩუნოთ, მოედანზე ყველა შეხვედრაში მოსაგებად უნდა გავიდეთ და ფეხბურთის თამაშით უნდა ვისიამოვნოთ.

**- არის თუ არა „ბაიერნი" მზად „არსენალთან" დუელებისთვის?**

- როცა ამის დრო მოვა, 100 პროცენტით დარწმუნებული ვარ იმაში, რომ მზად ვიქნებით! „არსენალი" რთული მეტოქეა. გაიხსენეთ შარშანდელი ამბები: ლონდონში ძალიან კარგად ვითამაშეთ, აქ კი, მიუნხენში ბევრი შეცდომა დავუშვით. სწორედ იმ შეცდომებზე უნდა ვისწავლოთ. თანაც, „არსენალი" წელს შარშანდელზე უკეთესად გამოიყურება.

### რობენი: ჩვენი მოტივაცია ფეხბურთის თამაშით სიამოვნებაა!

**- ჰერ რობენ, მოედანზე შესვლიდან ორ წუთში გოლი გაიტანეთ. კმაყოფილი ხართ?**

- არც კი ვიცი, გოლის მომენტში პირველად შევეხე ბურთს, თუ მეორედ - ფაქტი ის არის, რომ ფეხბურთის თამაშით კიდევ ერთხელ მივიღე დიდი სიამოვნება. მარტო გოლი კი არ მიხარია, არამედ ის, რომ დავბრუნდი. იმედი მაქვს, რომ მალე საუკეთესო ფორმაში ვიქნები.

**- ახლა რამდენად შორს ხართ საუკეთესო ფორმისგან?**

- ყოველდღიურად ვუმატებ და ვატყობ, რომ ფორმაში შევდივარ, მაგრამ ჯერ 100 პროცენტისთვის არ მიმიღწევია. „აუგსბურგთან" შეხვედრაში მიღებული ტრავმის შემდეგ 7-8 კვირა გავიდა და დიდი ხანი არაა, რაც გუნდთან ერთად, სრული დატვირთვით ვარჯიში დავიწყე, „შტუტგარტთან" კი არც მითამაშია. ფორმის სრულად აღსადგენად ახლა უბრალოდ დრო მჭირდება.

**- „აინტრახტის" კარში გატანილი თქვენთვის ალბათ დამატებითი მოტივაციაა...**

- არა მხოლოდ გოლი - მიუხედავად იმისა, რომ მეტოქის კარის დალაშქვრა ყოველთვის ბავშვივით მიხარია. ყველაზე მეტად კმაყოფილი იმით ვარ, რომ თამაშში მაშინვე კარგად ჩავერთე, თუმცა გოლის მომენტში მარიომაც შესანიშნავი პასი მომცა და მე მხოლოდ ბურთის კარში გადაგზავნალა მევალებოდა.

**- რამდენად რთულია ფეხბურთელის კონცენტრაციის შენარჩუნება იმ დროს, როცა მისი გუნდი სატურნირო ცხრილს ამხელა უპირატესობით ლიდერობს?**

- ესეც თავისებური გამოწვევაა. ვფიქრობ, წინა და მიმდინარე სეზონშიც არაერთხელ დავამტკიცეთ, რომ ყოველთვის და ნებისმიერ სიტუაციაში ძალიან მაღალ დონეზე თამაში შეგვიძლია. ყველა შეხვედრაში გვინდა, ყველას დავუმტკიცოთ, რომ ყველაზე მაგრები ვართ. ამ დროს ყველაზე მთავარი მოტივაციის შენარჩუნებაა, მაგრამ არც ეს გვიჭირს.

● ამბები

### ვან მარვეიკი: ჰამბურგი ჩემი ყველაზე რთული სამსახურია!



„ჰამბურგის" მთავარი მწვრთნელი **ბერტ ვან მარვეიკი** აცხადებს, რომ ჩრდილოგერმანული კლუბის უმძიმესი კრიზისი მისთვის მოულოდნელი არ არის. „ბილდისთვის" მიცემულ ინტერვიუში ჰოლანდიელი სპეციალისტი სიმშვიდის შენარჩუნებას ცდილობს, მაგრამ მაინც ეტყობა, რომ ძალიან ნერვიულობს. ვან მარვეიკის თქმით, მან და მისმა შეგირდებმა სიმშვიდე „ჰერტასთან" მარცხის შემთხვევაშიც უნდა შეინარჩუნონ. თუმცა საკითხავია, დატოვებენ თუ არა კლუბის ხელმძღვანელები მორიგი წაგების შემთხვევაში თანამდებობაზე. არადა, დიდი ხანი არაა, რაც ვან მარვეიკი „ჰამბურგის" თავკაცად დაინიშნა, პროგრესს კი გუნდმა ვერც მის ხელში მიაღწია. „ჰამბურგი" 19 ტურის შემდეგ 16 ქულით მე-17 ადგილზეა და მეორე ბუნდესლიგაში დაქვეითების სერიოზული საფრთხე ემუქრება. შეგახსენებთ, რომ „ჰამბურგი" ერთადერთი გუნდია ბუნდესლიგის ისტორიაში, რომელიც ყოველთვის ელიტაში თამაშობდა.

### დუტი წნეხის ქვეშ

უმძიმესი წნეხის ქვეშაა „ვერდერის" დამრიგებელი **რობინ დუტიც**, რომელიც ზამთრის შესვენებისას ამბობდა, მეორე წრე კარგად უნდა დავიწყოთო. ბრემენულმა კლუბმა კი სეზონის მეორე ნახევრის ორ ტურში მხოლოდ ერთი ქულა აიღო და გასავარდნი ზონის სიახლოვეს ტრიალებს. შესაბამისად, გერმანულ მედიაში უკვე ვრცელდება ცნობები იმის შესახებ, რომ დუტი „ჩემოდნებზე ზის". „ბილდის" ცნობით, „ვერდერის" ბოსები კლუბის წარუმატებლობებს დიდხანს ველარ აიტანენ. სხვათა შორის, მომდევნო ტურში „ვერდერი" დორტმუნდის „ბორუსიას" ხვდება.

გვერდი მოამზადა
**გოტფრიდ ლენცმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ესპანეთი. ლა ლიგა. XXII ტურის შეჯამება

# ათლეტების ტური

22-ე ტურის მთავარი მოვლენა ლიდერის შეცვლა გახლავთ - დიეგო სიმეონეს „ატლეტიკომ" კონკურენტების ფეხის დაცდენით ისარგებლა და ერთპიროვნულად გალიდერდა. „როხიბლანკო" შთამბეჭდავ სეზონს ატარებს და ალბათ, ცოტა თუ მოიძებნება ისეთი ადამიანი, რომელიც ამ გუნდის მიმართ დადებითად არ არის განწყობილი.



ხესემ (ზემოთ) „ბილბაოს" გაუტანა, ხოსემ კი „ერკულესს"



## შესანიშნავი ატლეტიკო

მორიგ შეხვედრაში მადრიდელებს „სოსიედადის" სახით საკმაოდ სერიოზული მეტოქე ჰყავდათ და ბასკებიც დედაქალაქელებს დიდი ხნის განმავლობაში თანაბრად ეთამაშებოდნენ. მატჩის დასრულებამდე 18 წუთით ადრე „ატლეტიკო" მინიმალური სხვაობით იგებდა, მაგრამ **დიეგო კოშტას** გოლმა მასპინძელთა ქომაგები დაამშვიდა, სტუმრები კი ისე გაანაწყენა, რომ **არასატეს** შეგირდებმა დარჩენილ წუთებში ბურთი საკუთარი კარიდან კიდევ ორჯერ გამოიტანეს.

კვლავ გამორჩეული იყო დიეგო კოშტა, რომელმაც ძალიან მნიშვნელოვანი გოლის გარდა ბევრი იშრომა, ბევრი იჭიდავა და საგოლე პასიც მიითვალა. „ატლეტიკოს" მეოთხე გოლი კი ცვლილებაზე გამოსულმა **დიეგომ** გაიტანა, რომელიც მადრიდულ გუნდს რამდენიმე დღის წინ დაუბრუნდა.

## კარგი ატლეტიკი

არანაკლებ გაოცებას იწვევს ბილბაოს „ატლეტიკის" კარგი თამაში. ბასკებმა შარშანდელი სეზონი ჩააგდეს და დიდი ხნის განმავლობაში გასავარდნ ზონასთან იტრიალეს, ამ სეზონის დაწყების წინ კი **ფერნანდო ლორენტეც** დაკარგეს. ბევრი „ბასკეთის სიამაყეს" სერიოზულად არ უყურებდა, მაგრამ გავიდა 22 ტური და **ერნესტო ვალვერდეს** გუნდი მე-4 ადგილზეა, თანაც „ახალ სან მამესზე" გუნდი პრაქტიკულად შეუჩერებელია.

მიმდინარე ჩემპიონატში ამ სტადიონზე „ბარსელონამ" სამივე ქულა დატოვა, „რეალს" კი ძალიან გაუჭირდა, განსაკუთრებით პირველ ტაიმში, როდესაც არანორმალურ ტემპში მოთამაშე მასპინძლებმა „სამეფო კლუბს" არაერთი პრობლემა შეუქმნეს.

**ხესეს** გოლით დაწინაურებულ სტუმრებს მოგებამდე ძალიან ცოტა რჩებოდათ, მაგრამ **იბაი გომესმა** კიდევ ერთხელ გაიბრწყინა და პირველივე შეხებით (ცვლილებაზე გამოვიდა) ძალიან ლამაზი გოლი გაიტანა.

გაშვებული ბურთის გარდა, მადრიდელებისთვის კიდევ ერთი დარტყმა **კრიშტიანო რონალდოს** გაძევება იყო - პორტუგალიელი გამოცდილი **კარლოს გურპეგის** პროვოკაციას წამოეგო და უმკაცრესად დაისაჯა.

## ხესე და ხოსე

უნიჭიერესმა ხესე როდრიგესმა ისევ ძალიან კარგად ითამაშა და მორიგი გოლი გაიტანა. 20 წლის ფორვარდის ანგარიშზე სულ 3 ბურთია, მაგრამ სამივე გოლი მან გრანდების კარში, თანაც მათ სტადიონებზე გაიტანა. ხესემ ჯერ „ნოუ კამპზე" იხეირა, შემდეგ „მესტალიაზე", ამჯერად კი „სან მამეს ბარიაზე".

ამავე ტურში, სეგუნდა დივიზიონში იმარჯვა „რეალ კასტილიამ", რომლის რიგებშიც თავი **ხოსე როდრიგესმა** გამოიჩინა. 19 წლის ფეხბურთელი მადრიდული კლუბის ქომაგისთვის უკვე საკმაოდ კარგად ნაცნობი ფიგურაა.

ხოსემ და ხესემ ერთად ნაკრებშიც ითამაშეს - 19-წლამდელთა რიგებში მათ ევროპის ჩემპიონატზე იმარჯვეს. ამ ტურნირზე გაცილებით კარგად ხოსე გაისარჯა, ვინც 6 შეხვედრაში 1 გოლი გაიტანა, აი, ხესემ კი მინდორზე ფეხი მხოლოდ ერთხელ შედგა. მიუხედავად ამისა, დღეს ხესე უკვე ამომავალი ვარსკვლავია, ხოსე კი კვლავ „რეალის" დუბლებში ირჯება.

დაველოდოთ, ალბათ, მალე მოვა დრო, როდესაც „რეალის" შემადგენლობაში მოედანზე ხესე როდრიგესი და ხოსე როდრიგესი გამოვლენ და გულშემატკივრებს გოლებით გაახარებენ.

## პიცის რევანში

არგენტინელ მწვრთნელთა დაპირისპირება **ხუან ანტონიო პიცის** გამარჯვებით დასრულდა. „ვალენსიამ" „ნოუ კამპზე" „ბარსელონას" სძლია და ტურის მთავარი სენსაციის შემოქმედი გახდა. ამ შეხვედრაზე ორშაბათის ნომერში საკმაოდ ვრცლად ვისაუბრეთ, ამიტომ ამჯერად მხოლოდ მწვრთნელთა კომენტარებს შემოგთავაზებთ:

*„ისეთი შთაბეჭდილება შეიქმნა, თითქოს ნახევარი საათის შემდეგ თამაშს თავი დავანებეთ. როდესაც ასეთი სერიოზული მეტოქე გყავს, ერთი გოლის გატანის შემდეგ არ უნდა გაჩერდე, ისევ წინ უნდა ნახვიდე და ინტრიგის მოკვლა სცადო. ჩვენ ეს ვერ გავაკეთეთ, რის გამოც დავისაჯეთ კიდეც. მარცხი, რა თქმა უნდა, ძალიან ცუდია, მაგრამ ახლა დამწუხრების დრო არ არის, წინ რთული შეხვედრები გველის,"* - განაცხადა თამაშის შემდეგ **ხერარდო მარტინომ**, რომლის გუნდიც მომდევნო ტურში „სანჩეს პისხუანს" ეწვევა.

თანამემამულისგან განსხვავებულ ხასიათზე იყო ხუან ანტონიო პიცი, რომლის ხელშიც „ვალენსიამ" 2 თამაში მოიგო, 2 ფრედ დაასრულა და მხოლოდ ერთი წააგო:

*„ეს ძალიან მნიშვნელოვანი და საჭირო გამარჯვებაა. ჩვენ საკმაოდ არასტაბილურად ვასპარეზობთ და ამ სიტუაციაში, ქულების მოგროვება და სატურნირო ცხრილში წინსვლა სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია. ამ სტადიონზე მოპოვებული სამი ქულა „ვალენსიას" ფსიქოლოგიურადაც გააძლიერებს,"* - მიაჩნია პიცის.

## როგორც იქნა

დიახ, დიახ, „ბეტისმა" მოიგო! თითქოს დაუჯერებელია, მაგრამ ფაქტია: სევილიელებმა 14-მატჩიანი მოუგებელი სერია შეწყვიტეს და სექტემბრის შემდეგ პირველი გამარჯვება მოიპოვეს.

მატჩის გმირი, რა თქმა უნდა, **რუბენ კასტრო** გახდა, რომელმაც დუბლი ზედიზედ მეორე შეხვედრაში შეასრულა, მაგრამ ამჯერად მისი გოლები ქულების ასალებად საკმარისი იყო. მიუხედავად ნანატრი გამარჯვების მოპოვებისა, მთავარი მწვრთნელი **გაბრიელ კალდერონი** ბოლომდე კმაყოფილი მაინც ვერ იქნებოდა, რადგან არგენტინელმა ამ შეხვედრაში ტრავმამოშუშებული **ნოსა იგიებორი** გამოიყვანა, რომელიც რამდენიმე წუთში შესაცვლელი შეიქნა.

ასევე, აღსანიშნავია სევილიელთა დაცვის ხაზის კარგი თამაში - „ბეტისის" მცველები იმდენად დამაჯერებლად ირჯებოდნენ, რომ სამი მათგანი ტურის სიმბოლურ ნაკრებში მოხვდა.

### საინტერესო ფაქტები:

- „სელტამ" გრანადაში მეცამეტე ცდაზე იმარჯვა (2 ფრე, 10 წაგება)
- „ვალენსიამ" „ნოუ კამპზე" 6-მატჩიანი წაგებათა სერია დაასრულა.
- ბოლო სამ სეზონში მესიმ ყველაზე მეტი გოლი „ვალენსიას" და „ოსასუნას" (9-9) გაუტანა.
- „ატლეტიკო" არის ერთადერთი გუნდი, რომელსაც ამ სეზონში საჯარიმოს გარედან გოლი არ გაუტანია.
- „ბილბაომ" „რეალთან" 8-მატჩიანი წაგებათა სერია შეწყვიტა.
- „ბილბაოს" ამჟამად 43 ქულა აქვს, წინა სეზონში, 38 ტურის შემდეგ კი 45 ქულა ჰქონდა.
- „რეალმა" 2014 წელს გოლი პირველად გაუშვა.
- „რეალმა" პირველად ვერ მოიგო ამ სეზონში მატჩი, რომელშიც ანგარიში გახსნა, „ბილბაომ" კი ისეთ შეხვედრებში, რომლებშიც თავიდან გაუშვა, უკვე 19 ქულა მოაგროვა, რაც საუკეთესო შედეგია ლა ლიგაში.
- ორად-ორი გუნდი, რომლებსაც გოლის გაშვების შემდეგ ქულაც კი არ მოუპოვებიათ, „ოსასუნა" და „ბეტისი" არიან.

### ბომბარდირები:

22 - კრიშტიანო რონალდო (რეალი)
20 - დიეგო კოშტა (ატლეტიკო)
14 - ანტუან გრიზმანი (სოსიედადი)
13 - ალექსის სანჩესი (ბარსელონა)
12 - პედრო (ბარსელონა), იკეჩუკვუ უჩე (ვილიარეალი)
11 - ქარიმ ბენზემა (რეალი), ხავი გერა (ვალიადოლიდი), დავიდ ვილია (ატლეტიკო)
10 - კარლოს ბაკა (სევილია), ივან რაკიტიჩი (სევილია)

### ასისტენტები:

10 - სესკ ფაბრეგასი (ბარსელონა)
9 - კოკე (ატლეტიკო)
8 - კარლოს ველა (სოსიედადი), ნეიმარი (ბარსელონა)
7 - არიც ადურისი (ბილბაო), გარეთ ბეილი (რეალი), ჯოვანი დოს სანტოსი (ვილიარეალი), ივან რაკიტიჩი (სევილია)

### გოლს + პასი:

28 - კრიშტიანო რონალდო (რეალი) - 22+6
23 - დიეგო კოშტა (ატლეტიკო) - 20+3
17 - ალექსის სანჩესი (ბარსელონა) - 13+4, პედრო (ბარსელონა) - 12+5, ივან რაკიტიჩი (სევილია) - 10+7, კარლოს ველა (სოსიედადი) - 9+8, სესკ ფაბრეგასი (ბარსელონა) - 7+10
16 - ანტუან გრიზმანი (სოსიედადი) - 14+2, ქარიმ ბენზემა (რეალი) - 11+5

ტატო ბაციკაძე

### სიმბოლური ნაკრები




იტალია. სერია A. XXII ტურის შეჯამება




სიმონე სკუფეტის დიდ მომავალს უწინასწარმეტყველებენ

**„იუვენტუსის" გამარჯვება დიდ იტალიურ დერბიში, ალბერტო მალეზანის წარუმატებელი დებიუტი „სასუოლოს" მთავარი მწვრთნელის რანგში, ადილ რამის პირველი გოლი „მილანში", ახალი ბუფონი უდინედან, უამინდობის გამო გადადებული რომაული მატჩი და გენუური გარჩევა - სწორედ ამ უკანასკნელით დავიწყოთ...**

## სინიშას სამპა კარგია

ტურის მთავარი დაპირისპირება ტურინში შედგა, მაგრამ ნამდვილი დერბი, ანუ თანაქალაქელთა ჯახი გენუაში ვიხილეთ. ნომინალური მასპინძელი „ჯენოა" იყო, მაგრამ გულშემატკივართა მხურვალე მხარდაჭერამ **ჯამპიერო გასპერინის** შეგირდებს ვერ უშველა - „სამპდორიამ" უკეთ წარმართა შეხვედრა და გამარჯვების გოლი დამსახურებულად გაიტანა. მატჩის გმირი **მაქსი ლოპესი** გახდა, რომელსაც დებიუტი ჰქონდა **სინიშა მიხაილოვიჩის** გუნდის შემადგენლობაში. მოკლედ, მაქსიმ ძალიან სწრაფად დაიპყრო „სამპას" ტიფოზთა გულები.

მიხაილოვიჩმა 4-2-3-1 სქემა აირჩია და ცენტრფორვარდად გამწესებულ ლოპესს უკნიდან **სორიანო, გაბიადინი** და **ედერი** დაახმარა; „ჯენოას" დაცვას დიდი ჯაფა დაადგა და თავისუფლად შეიძლებოდა, ანგარიში გამანადგურებელიც კი ყოფილიყო. სინიშას ხელში, „სამპდორია" კარგად ათამაშდა, სატურნირო ცხრილშიც დაწინაურდა და გასავარდნ ზონასაც გვარიანად დასცილდა.

## ლეგენდები ლაპარაკობენ

დიდ იტალიურ დერბიზე გუშინდელ ნომერშიც ბევრი ვწერეთ, ახლა მხოლოდ საინტერესო კომენტარებს შემოგთავაზებთ ორი ლეგენდისგან.

**მარჩელო ლიპი:** *„ნათლად გამოჩნდა, რომ ამ ორ გუნდს შორის დღეს დიდი სხვაობაა კლასში. ტურინელებმა შანსი არ დაუტოვეს მეტოქეს და დამსახურებულად მოიგეს. „იუვეს" უფრო ძლიერი კონკურენტები სჭირდება და იმედია, სხვა იტალიური გუნდებიც გაძლიერდებიან. „ვეკია სენიორამ" იოლად მოუგო „რომას", „ნაპოლის" და „ინტერს", უმთავრეს კონკურენტებს, რაც კარგი ნამდვილად არაა".*

**ჯუზეპე ბერგომი:** *„მეტად უჩვეულოა, როდესაც დიდ იტალიურ დერბის გამოკვეთილი ფავორიტი ჰყავს. არავისთვის იქნება გასაკვირი თუ ვიტყვი, რომ მე „ინტერს" ვგულშემატკივრობდი, მაგრამ ასე პესიმისტურად განწყობილი წინასამატჩოდ არასდროს ვყოფილვარ. „ნერაძურის" მესვეურებმა გუნდის გაძლიერებაზე უნდა იზრუნონ და საამისოდ, მხოლოდ ერნანესის გადაბირება საკმარისი არ არის".*

## უამინდობა და კალჩო

ისევე როგორც მთელ ევროპაში, იტალიაშიც უამინდობაა. ყინვამ და თოვლმა ფეხბურთსაც შეუქმნა პრობლემები, კერძოდ სერია A-ს ერთი პაექრობა გადაიდო. ბოლო წუთებამდე კითხვის ნიშნის ქვეშაა იტალიის თასის ნახევარფინალური მატჩის ჩატარება „რომასა" და „ნაპოლის" შორის, რომელიც დღესაა დაგეგმილი. რაც შეეხება „რომა"-"პარმას" პაექრობას, აპრილის დასაწყისში განახლდება. **რუდი გარსიამ** ჟურნალისტებთან საგულისხმო კომენტარი გააკეთა:

*„გუნდი კარგ ფორმაში მყავს და დასანანია, რომ „პარმასთან" თამაშის საშუალება არ მოგვეცა. თასის პაექრობაც კითხვის ნიშნის ქვეშაა და ბუნებრივია, ეს ყველაფერი ფეხბურთელებზეც მოქმედებს. რიტმიდან არ უნდა ამოვვარდეთ, ეს უმთავრესია".*

## რამის პრემიერა

„მილანმა" „ტორინოსთან" მორიგი უსახური მატჩი გამართა, მაგრამ **კლარენს ზეედორფის** შეგირდთაგან ერთი ფეხბურთელის გამორჩევა ნამდვილად შეიძლება. ეს **ადილ რამი** გახლავთ, რომელიც დაცვის ცენტრში მოქმედებდა, უშუალო მოვალეობას თავი კარგად გაართვა და დიდებული გოლიც გაიტანა. მეორე ნახევარი ახალი დაწყებული იყო, როდესაც რამიმ ერთ მეურვეს გვერდი კარგად აუარა და უძლიერესი დარტყმით ბურთი ბადეში გაახვია - ადილს „მილანის" ძირითად შემადგენლობაში მყარად სურს ფეხის მოკიდება:

*„სამწუხაროა, რომ ვერ მოვიგეთ, მაგრამ რას ვიზამთ, დროს უკან ვერ დავაბრუნებთ. სამუშაო ბევრი გვაქვს და „ტორინოსთან" პაექრობამ ეს კიდევ ერთხელ დაგვანახვა. ჩემი მიზანია, რომ ძირითად შემადგენლობაში მყარად მოვიკიდო ფეხი და იმედია, განვლილი პაექრობა ამაში დამეხმარება".*

## ახალი ბუფონი

„ბოლონია"-"უდინეზეს" შეხვედრაში ერთი მეტად საინტერესო ამბავი მოხდა - ფრიულური გუნდის კარს 17 წლის მეკარე **სიმონე სკუფეტი** იცავდა. ამ ასაკში, იტალიის ელიტარულ დივიზიონში ასპარეზობა უდავოდ განსაკუთრებული მოვლენაა და მით უმეტეს, როდესაც საქმე კარის დარაჯს ეხება. საგულისხმოა, რომ სკუფეტიმ კარი მშრალად შეინახა და რამდენჯერმე გადაარჩინა კიდეც გუნდი გაშვებული გოლისგან.

იტალიურ საფეხბურთო სამყაროში უკვე ალაპარაკდნენ, რომ კალჩოს ახალი **ჯანლუიჯი ბუფონი** მოევლინა. ასეთი დასკვნების გაკეთება ჯერ ნაადრევია, მაგრამ დასაწყისი სიმონეს მართლაც შესაშური გამოუვიდა. ვნახოთ, როგორი გაგრძელება ექნება ამ ისტორიას...

ლაშა წიკლაური

### სიმბოლური ნაკრები



ეროვნული ბიბლიოთეკა

● ინტერვიუ. საბრი ლამუში

# მუნდიალზე, სადამდეც შევძლებთ

## ლამუში სპილოებს ზღვარს არ უწესებს



საბრი ლამუშის კოტ დივუარის ნაკრები მუნდიალზე ხელწამოსაკრავი გუნდი არ იქნება

**კოტ დ'ივუარის ნაკრებისგან უკვე წლებია, წარმატებას ელიან, მაგრამ „სპილოებს" საქმის ბოლომდე მიყვანა არ გამოსდით ხოლმე. არადა, შემადგენლობა მართლაც მშვენიერია - დიდიე დროგბა, კოლო ტურე, იაია ტურე, ჟერვინიო, დიდიე ზოკორა, სეიდუ დუმბია, ლასინა ტრაორე, უილფრიდ ბონი, ჯივანი სიო, სალომონ კალუ... „სპილოებისგან" სიურპრიზი 2014 წლის მუნდიალზე ნამდვილად არ იქნება გამორიცხული და ვნახოთ, რას გვეტყვის საფრანგეთის ნაკრების ყოფილი ნახევარმცველი 42 წლის საბრი ლამუში, რომელიც კოტ დ'ივუარს 2012 წლის მაისიდან თავკაცობს და ჯერჯერობით მშვენივრადაც.**

**- უკვე წელიწად-ნახევარია კოტ დივუარის მთავარი მწვრთნელი ხართ. რას ფიქრობდით, როდესაც პოსტზე დაინიშნეთ?**

- მე მგონი, ამას არავინ ელოდა, არც მე. პირველივე სამსახური მწვრთნელის რანგში სანაკრებო პოსტი იყოს, იშვიათია და ადვილი არ არის. მით უმეტეს, თუ აფრიკის ერთ-ერთ უდიდეს ნაკრებზე ვსაუბრობთ. ერთ-ერთი მთავარი ამოცანა მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე გასვლა გახლდათ და ბედნიერი ვარ, რომ მიზანს მივაღწიეთ. ეს ნიჭიერი საფეხბურთო ნაკრები ზედიზედ მესამედ ითამაშებს მუნდიალზე.

**- როგორი იყო ადაპტაციის პერიოდი?**

- მთავარია, შეეწყო ფეხბურთელებს, რომლებიც გყავს. ჩემი პირველი გამოწვევა იყო გუნდურობის უმაღლეს დონეზე გამტკიცება. ჩემი შეგირდებით სასიამოვნოდ გაკვირვებული დავრჩი. შესაძლოა, ყველაფერი იდეალურად არ გახლდათ, მაგრამ შემდეგ ეტაპზე წაუგებლად გავედით. ყოველთვის ვცდილობდი საუკეთესო გამოსავალი და ბალანსი მეპოვა. „სპილოების" გულშემატკივრებს უნდათ, რომ ნაკრები ყველა მატჩს 4:0-ს იგებდეს, მაგრამ სამწუხაროდ, ასე არ გამოდის ხოლმე. აფრიკაში ადვილი მატჩები არ არის, ამას მაროკოს მაგალითიც მოწმობს. შეიძლება გამბიასთან და ტანზანიასთან დაგიცდეს ფეხი, რადგან ასეთი ნაკრებები შენთან დაპირისპირებას გამალებით ელოდებიან, ეს მათთვის წლის მატჩია. შემდეგ იყო სენეგალთან პლეი ოფი, რომელსაც აფრიკის თასის საკვალიფიკაციო პლეი ოფშიც შევხვდით და საბოლოო ჯამში მათთან დაუმარცხებლად ვითამაშეთ, 4 მატჩიდან 3 მოვიგეთ. საბედნიეროდ, ქვეყნის ფეხბურთის ასოციაციას სწორი მიდგომა აქვს და სტაბილურობა უნდა. იმისთვის, რომ კარგი შედეგები გქონდეს, დრო გჭირდება, ნაკრებში კი ფეხბურთელებთან სამუშაოდ გაცილებით მცირე დრო გაქვს, ვიდრე კლუბში.

**- სენეგალთან პლეი ოფი ახსენეთ. პირველი შეხვედრა შთამბეჭდავად მოიგეთ 3:1. თუმცა საპასუხო თამაში მძიმე გამოვიდა...**

- საკუთარ კედლებში 4-5 ბურთის სხვაობით მოგება შეგვეძლო და გვმართებდა კიდევაც, მაგრამ არ გაგვიმართლა და ბოლო წუთზე აქეთ გავუშვით. ამის გამო, საპასუხო მატჩის წინ მეტოქეს 4 გოლის ნაცვლად უკვე ორიც ჰყოფნიდა. ამან სენეგალს თავდაჯერება შემატა და მეტოქემ მართლაც კარგი თამაში აჩვენა, მაგრამ ჩვენი მეკარე ბრწყინვალედ გამოიყურებოდა, ორი მატჩის ჯამში ნამდვილად დამსახურებულად ვიმარჯვეთ, გვქონდა ის უპირატესობაც, რომ ერთად უკვე 18 მატჩი ჩაგვეტარებინა და ყველა საგარეო შეხვედრაში გვქონდა გოლი გატანილი.

**- რა იგრძენით, როდესაც საფინალო სასტვენის ხმა გაისმა?**

- გამოვცოცხლდი. ნამდვილი წამება იყო მეორე ტაიმის ყურება. საერთოდ გამოთიშულნი ვიყავით თამაშიდან, ვერაფერს ვცვლიდით და სენეგალს ბოლოს კიდევ ჰქონდა შანსი. არ ვიცი რა იქნებოდა, რომ არა ჯოვანი სიოს ვარდნა. უკანასკნელ წუთზე კი, გავიტანეთ, ანგარიში გავათანაბრეთ და ფინალურ ეტაპზე წაუგებლად გავედით. ძალიან სასიამოვნო შეგრძნება იყო ამ ნამდვილად საფეხბურთო ქვეყნის ზედიზედ მესამედ გაყვანა მსოფლიოს ჩემპიონატზე, თანაც ბრაზილიაში, ფეხბურთის სახლში.

**- ეს მუნდიალი კოტ დ'ივუარის ოქროს თაობის, რომელსაც დიდიე დროგბა მეთაურობს, ბოლო შანსია, რაიმე გამორჩეულს მიაღწიოს...**

- თუმცა კოტ დ'ივუარი მსოფლიოს ჩემპიონატს ვერ მოიგებს... ჩვენ მართლაც გვყავს ფეხბურთელები, რომლებიც კარიერის დასასრულისკენ მიდიან და ზოგისთვის ეს მართლაც ბოლო მუნდიალი იქნება. ბევრი მათგანი მსოფლიოსთვის კარგადაა ცნობილი და მათთვის მაღალ დონეზე თამაში ჩვეულებრივი მოვლენაა. ეს ნაკრები აფრიკის თასზე ყოველთვის ფავორიტია, მაგრამ ტურნირი არასოდეს მოუგია. კოტ დ'ივუარს ბევრი მუნდიალზეც ნაკლებ შანსს აძლევს, მაგრამ გუნდს ნამდვილად შეუძლია დიდი ნაკრებებისთვის პრობლემების შექმნა, თუმცა ამისთვის 100%-ით უნდა დავიხარჯოთ.

**- სადამდე შეგიძლიათ გასვლა მსოფლიოს ჩემპიონატზე?**

- საკუთარ თავს ზღვრებს არ ვუწესებთ. ჩვენი ნომერ პირველი ამოცანა წინა ორ მსოფლიოს ჩემპიონატზე უკეთ გამოსვლა და ჯგუფური ეტაპის დაძლევაა. თუმცა ისიც ვიცით, რომ ეს ადვილი არ იქნება, რადგან ძლიერი კონკურენტები გვყავს. თუ ჯგუფურ ეტაპს გადავლახავთ, მერე ყველაფერი შესაძლებელია. მთავარია კონცენტრირებულნი ვიყოთ ჩვენს პირველ მატჩზე და კარგად მოვემზადოთ. კოტდივუარელ გულშემატკივრებს ჩვენი იმედი აქვთ და მათ სიამაყის საფუძველი უნდა მივცეთ.

**- თქვენს ჯგუფში კოლუმბია, იაპონია და საბერძნეთი არიან. ეს წინა მსოფლიოს ჩემპიონატებთან შედარებით კოტ დ'ივუარისთვის უკეთესი ჯგუფია.**

- არც ისე ადვილი ჯგუფია. კოლუმბია შეიძლება მსოფლიოს ჩემპიონატის ერთ-ერთი მთავარი სიურპრიზი გახდეს. ვნახე კოლუმბიელთა თამაში ბელგიის წინააღმდეგ და მათი შემართებით ალვფრთოვანდი, ნიჭიერი ფეხბურთელებით დაკომპლექტებული ნაკრებია. იაპონია აზიაში საუკეთესო გუნდია, ხოლო საბერძნეთი 10 წლის წინ ევროპის ჩემპიონი იყო, და დღესაც მშვენივრად თამაშობს, სასურველი შედეგის მიღწევა ეხერხება. ძალიან დაბალანსებული ჯგუფია, რომელშიც ჩვენთვის გადამწყვეტი იაპონიასთან პირველი მატჩი იქნება.

● ამბები

### მოურინიომ ბოლო 50 წლის მატჩი დაასახელა

**ჟოზე მოურინიოს** აზრით, ბოლო 50 წლის საუკეთესო მატჩი 2009/2010 წლების სეზონის „ინტერი"-"ბარსელონაა". პორტუგალიელი მაშინ „ნერაძურიში" მუშაობდა და „სან სიროზე" ჩინებულად მოთამაშე მილანელებმა 3:1 მოუგეს ფავორიტ „ბარსას", „კამპ ნოუზე" კი 0:1 წააგეს, ფინალში გავიდნენ, სადაც „ბაიერნს" სძლიეს და საბოლოოდ, ის სეზონი ტრიუმფით დაასრულეს. საპასუხო მატჩის დიდი ნაწილი „ინტერმა 10 კაცით ჩაატარა **ტიაგო მოტასა** და **სერხიო ბუსკეტსის** სკანდალური ეპიზოდის და მოტას გაძევების გამო. ამის მერე, მილანელები ორმაგი მონდომებით და მთელი გუნდით საკუთარ კარს იცავდნენ, მაგრამ მოურინიო ვერც ამაში ხედავს რაიმე განსაკუთრებულს.

*„პირველ შეხვედრაში 3:1 მოვიგეთ და ამ შედეგის მიღწევა ურთულესი იყო. თუმცა შეგვეძლო 4-5 გოლის გატანა და ვფიქრობ, ეს ბოლო 50 წლის საუკეთესო მატჩი გახლდათ. გვესმოდა, რომ საშინაო მატჩი რთული იქნებოდა, ხოლო საგარეო ძალიან რთული. ასევე გვესმოდა, რომ თუ „სან სიროზე" ვერ მოვიგებდით, შანსი ფაქტობრივად აღარ დაგვრჩებოდა. მინდორზე ბოლომდე დავიხარჯეთ და შედეგად გავიმარჯვეთ კიდეც. საპასუხო თამაში? როდესაც „კამპ ნოუზე" მატჩს იწყებ ისე, რომ 3:1 გაქვს მოგებული და 10 კაცით რჩები, საკუთარი კარის წინ თვითმფრინავის დაყენება გინევს"* - აღნიშნა მოურინიომ.

### ჰერტას ინვესტორი გამოუჩნდა

ბერლინის „ჰერტა" მალე ფინანსურ პრობლემებს მოაგვარებს. საერთაშორისო საფინანსო საინვესტიციო კომპანია KKG გუნდში 60 მილიონი ევროს ჩადებას აპირებს. გერმანული პრესის ცნობით, ეს კომპანია დედაქალაქელთა აქციების თითქმის 10%-ს დაეუფლა და მომავალში შესაძლოა აქციათა 33-ის მფლობელიც გახდეს, კომპანიის წარმომადგენელი კლუბის დირექტორთა საბჭოში მიიღებს ადგილს. „ჰერტას" ფინანსურმა მენეჯერმა **ინგო შილერმა** აღნიშნა, რომ KKR-სთან თანამშრომლობით გუნდი მდგომარეობას მნიშვნელოვნად გაიუმჯობესებს. ამ 60 მილიონიდან 37 იმ კრედიტების დაფარვას მოხმარდება, რომლებიც ბერლინელებს დაუგროვდათ. ასევე, გუნდის უფროსობა აპირებს სატელევიზიო ჩვენებების უფლება, საკვები ობიექტების ფუნქციონირების უფლება და მარკეტინგული უფლებები ისევ გამოისყიდოს.

### იტალიაზე შეყვარებული ბერიშა

იუნიორთა მსოფლიოს ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირმა **ვალმირ ბერიშამ** თქვა, რომ „რომას" ხათრით უარი „დორტმუნდს" უთხრა, რადგან გული იტალიისკენ მიუწევდა. 17 წლის შვედი „გლადიატორებში" ახლახან ჩაირიცხა და მასზე დიდ იმედებს ამყარებენ. ბერიშათი ასევე „ჰამარბი", „სანდერლენდი", „იუვენტუსი", „სევილია", „ვერდერი" და „აიაქსი" იყვნენ დაინტერესებულნი.

*„მე ყოველთვის იტალიაში მინდოდა თამაში ჩემი ოჯახის სკეპტიკური განწყობის მიუხედავად. ჩემზე ინგლისური და გერმანული გუნდები ნადირობდნენ. „დორტმუნდმა" კონტრაქტი შემომთავაზა, მაგრამ უარი ვუთხარი და მეორე დღეს „რომასთან" შეთანხმებას მოვაწერე ხელი. 2013 წლის იუნიორთა მსოფლიოს ჩემპიონატის დამთავრებისთანავე კი „სევილია" და „აიაქსი" მეპატიჟებოდნენ, მაგრამ ეჭვი არასდროს მეპარებოდა იმაში, რომ ჩემი მომავალი იტალიისთვის უნდა დამეკავშირებინა"* - თქვა ბერიშამ.

გვერდი მოამზადა
**გიორგი კაკაბაძემ**

europe-bet.com

ეროვნული ბიბლიოთეკა

● ინგლისი. XXIV ტურის შეჯამება

# კვიცი, რომელიც ჭენებას ახლა სწავლობს

## პრემიერლიგის უკანასკნელი ბასტიონი



ბრანისლავ ივანოვიჩმა „ჩელსის“ რიგებში ცაცია შედეგიანად პირველად მოიქნია

### მიზეზი: საკადრო კრიზისი

**მანუელ პელეგრინიმ ფერნანდინიოსა და ხავი გარსიას არყოფნის პირობებშიც კი არ ანდო ძირითად შემადგენლობაში ადგილი ჯეკ როდუელს და საყრდენ ნახევარმცველად მარტინ დემიკელისი გაამწესა, ვისაც ამ პოზიციაზე ბოლოს „ბაიერნში“ ჰქონდა ნათამაშები. არადა, არგენტინელი მიუნხენიდან 3 წლის წინ წავიდა. თამაშის დასრულების შემდეგ „ქალაქელთა“ დამრიგებელი სწორედ საკადრო პრობლემებს უჩიოდა. არადა, გასათვალისწინებელია, რომ მას უახლოესი ერთი თვის განმავლობაში ლიდერების გარეშე მოუწევს ტვირთის ზიდვა.**

*მანუელ პელეგრინი: „ჩვენ მხოლოდ რამდენიმე რეალური საგოლე მომენტი გვქონდა, მაშინ, როცა მეტოქემ 2-3-ჯერ მოარტყა ხარიხას. აგუეროსა და ფერნანდინიოს გარეშე ძალიან გაგვიჭირდა, თუმცა დაგვაკლდნენ ნასრიც და გარსიაც. ამხელა დანაკარგების ფონზე შუა ხაზში სერიოზული ცვლილებები დაგვჭირდა. ჩვენგან განსხვავებით „ჩელსისთვის“ ეს გადამწყვეტი მატჩი იყო, რადგან წაგების შემთხვევაში 6 ქულით ჩამოგვრჩებოდნენ. ჯერ არაფერიც არ არის გადაწყვეტილი, რადგან წინ 39 ქულაა გასათამაშებელი“.*

***ჟოზე მოურინიო:** „ჩელსი“ ჯერ კიდევ მშენებლობის პროცესშია, ასეთი თამაშები კი უმნიშვნელოვანესია ამ გზაზე. ჩემი გუნდი ისეთ კვიცს ჰგავს, რომელსაც ჯერ კიდევ სჭირდება განსაკუთრებული მზრუნველობა და ჭენებასაც მხოლოდ ახლა სწავლობს. ვფიქრობ, კვიცი მომავალ წელს უკვე მზად იქნება დიდი რბოლებისთვის. დღეს ბრწყინვალედ გამოვიყურებოდით როგორც ტაქტიკურად, ისე ფსიქოლოგიურად. გრანდთან მოგება ორმაგად დასაფასებელია, რადგან ის ჩემპიონთა ლიგის პლეი ოფის წინ უდიდეს გამოცდილებას გვძენს. ყველამ თავისი განსაკუთრებული როლი ითამაშა. დემბა ბამაც კი, ვინც მხოლოდ 30 წამი გაატარა მოედანზე. უკანასკნელ წამებზე მან კუთხურიდან მოწოდებული ბურთი გამოიტანა საჯარიმოდან“.*

**ტურის ფაქტები**

„ლივერპულმა“ ბოლო 11 გასვლითი მატჩიდან ერთხელ მოახერხა კარის მშრალად შენახვა.

„ლივერპულმა“ 44-დან 38 გოლი პირველ ტაიმებში გაიტანა.

**დენიელ სტარიჯმა** ჩემპიონატში 16 შეხვედრაში 13-ჯერ გაიტანა, რაც საუკეთესო შედეგია ჩემპიონატში. სტუმრად მან 7-ჯერ გამოიჩინა თავი, რაც ასევე საუკეთესოა პრემიერლიგაში.

„ვესტ ბრომვიჩს“ პრემიერლიგაში ყველაზე მეტი, 11 ფრე აქვს.

■ ■ ■

„არსენალმა“ „ემირეიტსზე“ ბოლო 21 მატჩიდან 15-ში იმარჯვა.

„არსენალის“ მიერ პირველ ტაიმში გატანილი უკანასკნელი გოლიდან („ჰალთან“) ზუსტად 2 თვე გავიდა.

**ალექს ოქსლეიდ-ჩემბერლენს** ჩემპიონატში სულ 5 გოლი აქვს გატანილი და ყველა „ემირეიტსზე“.

„ემირეიტსზე“ უკანასკნელი 8 მატჩიდან 7-ში „არსენალმა“ კარი მშრალად შეინახა, აქედან 4-ჯერ ზედიზედ.

„არსენალის“ ორი ფეხბურთელი ასცდა 100 პასს - **მიკელ არტეტა** (127), **მესუთ იოზილი** (102).

„კრისტალ პალასმა“ სტუმრად 12 შეხვედრაში 5 გოლი გაიტანა, რაც ყველაზე ცუდი შედეგია პრემიერლიგაში.

■ ■ ■

ძმებმა **შოლა** და **სემი ამეობებმა** „ნიუკასლის“ ძირითადში გვერდიგვერდ პირველად ითამაშეს.

**ადამ ჯონსონმა** პრემიერლიგაში მე-200 თამაში ჩაატარა. 2014 წელს პრემიერლიგაში ის ყველაზე შედეგიანად თამაშობს: 5 თამაშში, 6 გოლი, 2 საგოლე გადაცემა.

ჩემპიონატში „შავი კატების“ წაუგებელი სერია 5 თამაშამდე ავიდა (3მ, 2ფ), გასვლაზე კი 6 მატჩია, არ დამარცხებულან (3მ, 3ფ).

„ნიუკასლი“ „სენტ ჯეიმს პარკზე“ ზედიზედ 3-ჯერ დამარცხდა ისე, რომ გოლი არ გაუტანია.

■ ■ ■

**ენდი კეროლის** ბოლო 11 საგოლე გადაცემიდან 6 **კევინ ნოლანმა** გამოიყენა.

კეროლმა პრემიერლიგაში 113-ე შეხვედრაში პირველი წითელი ბარათი მიიღო.

აღნიშნული წითელი ბარათი პირველი იყო „სუონსის“ მონაწილეობით გამართულ ბოლო 77 მატჩში, მოყოლებული 2012 წლის 31 იანვრიდან.

კევინ ნოლანმა 2:0 თავურით გახადა. „ვესტ ჰემი“ უკანასკნელი იყო, ვისაც მიმდინარე სეზონში ამ გზით არ ჰქონდა გატანილი.

„სუონსის“ „ვესტ ჰემთან“ 11 შეხვედრაში 9 წაგება და 2 ფრე აქვს.

■ ■ ■

„კარდიფთან“ მე-5 წუთზე **რობერტ სნოდგრასის** გოლი „ნორვიჩისთვის“ ყველაზე სწრაფი აღმოჩნდა, მოყოლებული 2011 წლის 15 ოქტომბრიდან.

**კრეიგ ბელამი** პირველი ფეხბურთელი გახდა, ვინც პრემიერლიგაში მე-7 გუნდის შემადგენლობაში გაიტანა.

კარდიფელ **კენუაინ ჯონსს** პრემიერლიგაში 3 გუნდის რიგებში უთამაშია. სადებიუტო შეხვედრაში მან სამჯერვე გაიტანა.

„კარდიფმა“ პირველი და მეორე გოლები 73 წამის ინტერვალით გაიტანა. დროის ასეთ მოკლე მონაკვეთში აქამდე ჯერ არავის ჰქონდა გატანილი.

■ ■ ■

ევერტონელმა **სტივენ ნეისმიტმა** ზედიზედ მე-3 შეხვედრაში გაიტანა.

„ასტონ ვილასთან“ 2:1 „ევერტონისთვის“ საიუბილეო მე-300 მოგება აღმოჩნდა პრემიერლიგაში.

მერსისაიდელებს „გუდისონ პარკზე“ ბოლო 21 შეხვედრაში 15 მოგება, 5 ფრე და 1 წაგება აქვთ.

■ ■ ■

„ფულჰემი“ მე-6 გუნდია, ვისაც 24 ტურში 17 წაგება დაუგროვდა. წინა 5-დან ჩემპიონატი ყველამ ცხრილის უკანასკნელ საფეხურზე დაასრულა.

„ფულჰემი“ პირველი გუნდია პრემიერლიგაში, ვისაც 24 ტურის შემდეგ მხოლოდ 1 ფრე აქვს.

საუთჰემპტონელმა **რიკი ლამბერტმა** „წმინდანების“ რიგებში თავისი მე-100 გოლი გაიტანა.

„ფულჰემმა“ მიჯრით მე-9 შეხვედრაში გაუშვა, რაც ყველაზე ცუდი შედეგია მიმდინარე სეზონში.

■ ■ ■

**ტიმ შერვუდის** ხელმძღვანელობით „ტოტენჰემმა“ ჩემპიონატში მე-8 თამაში ჩაატარა. გუნდს უგოლოდ მოედანი ჯერ არ დაუტოვებია.

„ტოტენჰემმა“ დაასრულა სტუმრად მოგებათა 5-მატჩიანი სერია.

**პაულინიოს** ჩემპიონატში 3 გოლი აქვს გატანილი და ყველა სტუმრად.

■ ■ ■

**ჩარლი ადამს** პრემიერლიგაში 7 გოლი დაუგროვდა. შოტლანდიელს 5 გოლი აკლია კარიერის საუკეთესო შედეგამდე (2010/11, ბლექპული, 12 გოლი).

**რობინ ვან პერსიმ** „სტოკს“ ზედიზედ მე-8 შეხვედრაში გაუტანა. მსგავსი სერია პრემიერლიგის ისტორიაში არც ერთ ფეხბურთელს არ ჰქონია კონკრეტულ გუნდთან.

„იუნაიტედი“ პირველად დამარცხდა შეხვედრაში, რომელშიც ვან პერსიმ გაიტანა.

„მანჩესტერ იუნაიტედს“ 1989/90-ის სეზონის შემდეგ 24 ტურში 8 წაგება აღარ ჰქონია.

■ ■ ■

**ბრანისლავ ივანოვიჩს** 21 გოლი აქვს პრემიერლიგასა და ჩემპიონთა ლიგაში. „სიტისთან“ პირველად მოხდა, რომ სერბმა ეს მარცხენა ფეხით გააკეთა.

„სიტის“ „ეტიჰადზე“ ზედიზედ 61 შეხვედრაში ჰქონდა მინიმუმ 1 ბურთი გატანილი. „ქალაქელებს“ „იუნაიტედის“ რეკორდამდე 5 მატჩი დააკლდათ.

„სიტის“ საკუთარ მოედანზე ბოლოს გასული წლის 19 მაისს „ნორვიჩთან“ ჰქონდა წაგებული.

საუკეთესო ოთხეულში მყოფ გუნდებთან „ჩელსიმ“ 4 შეხვედრაში 10 ქულა აიღო.

2008 წლის დეკემბრის შემდეგ პირველად, „ჩელსიმ“ ზედიზედ მე-4 გასვლით შეხვედრაში არ გაუშვა.

**სტატისტიკა XXIV ტურის შემდეგ**

**საუკეთესო ბომბარდირები**

23 - ლუის სუარესი (ლივერპული)
15 - სერხიო აგუერო (მანჩესტერ სიტი)
14 - დენიელ სტარიჯი (ლივერპული)
12 - იაია ტურე (მანჩესტერ სიტი)
11 - ლოიკ რემი (ნიუკასლი)

საუკეთესო მეპასეები

8 - უეინ რუნი (მანჩესტერ იუნაიტედი), მესუთ იოზილი (არსენალი)
7 - დავიდ სილვა (მანჩესტერ სიტი), ლუის სუარესი (ლივერპული), რიკი ლამბერტი (საუთჰემპტონი)

**გოლი+პასი**

30 - ლუის სუარესი (ლივერპული) - 23+7
20 - სერხიო აგუერო (მანჩესტერ სიტი) - 15+5
17 - უეინ რუნი (მანჩესტერ იუნაიტედი) - 9+8, დენიელ სტარიჯი (ლივერპული) - 14+3

**ყველაზე უდისციპლინო ფეხბურთელები**

11 - კევინ ნოლანი (ვესტ ჰემი)
9 - მატიე დებუში (ნიუკასლი), ანტონიო ვალენსია (მანჩესტერ იუნაიტედი), მატიო ფლამინი (არსენალი)
წითელი ბარათი - 3 ქულა, ყვითელი - 1

***P.S. წუხელ „სუონსი სიტიმ“ მიქაელ ლაუდრუპი დაითხოვა.***

### სიმბოლური ნაკრები




● ამბები

### კიდევ ერთხელ სპორტინგიდან

„მანჩესტერ იუნაიტედი“ მომდევნო სეზონისთვის აქედანვე ემზადება. „ეშმაკებმა“ ლისაბონის „სპორტინგის“ საყრდენ ნახევარმცველს, 21 წლის **ვილიამ კარვალიოს** დაადგეს თვალი. პორტუგალიის ნაკრების ფეხბურთელს კონტრაქტი 2018 წლის ივლისამდე აქვს გაფორმებული. ასე რომ, ინგლისელები იაფად ნამდვილად ვერ გამოვლენ. „ო ჟოგოს“ მტკიცებით, ლისაბონელები კარვალიოში 38 მილიონ ფუნტს (46 მლნ ევრო) ითხოვენ, მანჩესტერელები კი - რეალური ფასის დასახელებას. იმავე გამოცემის ინფორმაციით, „იუნაიტედის“ გარდა კარვალიოს სამსახურით დაინტერესებულები არიან „რეალი“ და „ბარსელონაც“. შეგახსენებთ იმასაც, რომ „სპორტინგთან“ „იუნაიტედს“ დიდი ხანია, საქმიანი ურთიერთობა აკავშირებს. 2003 წელს ლისაბონიდან მანჩესტერში **კრიშტიანო რონალდო** გადავიდა, 2007-ში კი **ლუიშ ნანი**.

### ფულჰემი მალენსტენს ენდობა

ნოემბრის შუა რიცხვებში, როცა „ფულჰემმა“ **რენე მალენსტენი** მთავარი მწვრთნელის თანაშემწედ დანიშნა, იმთავითვე ყველამ იცოდა, რომ ხელმძღვანელობა მას **მარტინ იოლის** მემკვიდრედ ამზადებდა. ორ კვირაში ინფორმაცია ოფიციალურად დადასტურდა. მას შემდეგ 49 წლის ჰოლანდიელის ხელმძღვანელობით გუნდმა ყველა ტურნირზე 14 თამაში ჩაატარა, 4-ჯერ იმარჯვა, 2-ჯერ ფრედ დაასრულა და 8-ჯერ დამარცხდა. შედეგად გუნდმა პრემიერლიგაში მე-18 ადგილიდან უკანასკნელზე გადაინაცვლა, თანაც უახლოეს კონკურენტებს უკვე 4 ქულით ჩამორჩა. კლუბის მესაკუთრე, ამერიკელი მილიარდერი **შაჰიდ ხანი** მწვრთნელს სრულ მხარდაჭერას უცხადებს და მიუხედავად საგაზეთო ჭორებისა, პოსტიდან მის გათავისუფლებას არ აპირებს. ინფორმაციას თავად მალენსტენი ავრცელებს.

### ნიუკასლმა კინეარი დაითხოვა

2013 წლის ივნისში „ნიუკასლის“ სპორტულ დირექტორად მიწვეულმა **ჯო კინეარმა** პოსტი 8 თვის თავზე დატოვა. ოფიციალური ვერსიით, 67 წლის ირლანდიელის პროტესტი „პარი სენ-ჟერმენში“ **იოან კაბაის** გაყიდვამ გამოიწვია. კინეარის დანიშვნამ თავის დროზე ჩვენი ინგლისელი კოლეგების გაკვირვება გამოიწვია და მათი ეჭვები მალევე დადასტურდა. მისი კვალიფიკაცია ყველაზე მეტად კითხვის ნიშნის ქვეშ მაშინ დადგა, როცა კლუბს ისეთი ფეხბურთელის ყიდვა შესთავაზა, რომელიც „ნიუკასლს“ იჯარით თავად ჰყავდა გაშვებული.

### ახალი კონტრაქტი ჰენდერსონს

„დეილი მეილის“ ინფორმაციით, „ლივერპული“ 23 წლის **ჯორდან ჰენდერსონს** ახალ, გაუმჯობესებულ კონტრაქტს სთავაზობს. ნახევარმცველს მოქმედი ხელშეკრულება 2016-ის ზაფხულზე ეწურება. კლუბი მას „ენფილდზე“ დარჩენას 2019-მდე სთავაზობს. მიმდინარე სეზონში ჯორდანს 1 გოლი და 5 საგოლე გადაცემა აქვს ანგარიშზე. მინდვრის მოთამაშეთაგან მას ყველაზე მეტი აქვს ნათამაშები. ჰენდერსონი 24-ვე ტურში ძირითადში იყო და მხოლოდ ერთხელ შეცვალეს, ისიც მატჩის დასრულებამდე 20 წუთით ადრე.

გვერდი მოამზადა
**ლევან ბიბილაშვილმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოქროს ბუცი

# სუარესმა რონალდოს გაასწრო


ლუის სუარესმა „ევერტონი" დაამწუხრა და „ოქროს ბუცისთვის" დავაში დაწინაურდა

2013/14 წლების „ოქროს ბუცის" მომავალი მფლობელი ჯერაც უცნობია, კონტინენტის მთავარ გოლეადორთა შორის სერიოზული ბრძოლაა - „ლივერპულის" ურუგვაელი ფორვარდი **ლუის სუარესი** სულ ცოტათი უსწრებს **კრიშტიანო რონალდოს**. სუარესმა მას მერე გაუსწრო რონალდოს, რაც შუა კვირაში, მერსისაიდულ დერბიში „ლივერპულმა" „ევერტონს" 4:0 მოუგო, ხოლო სამხრეთამერიკელმა ერთხელ გაიტანა. მომდევნო მატჩში მას ალარ გაუტანია, თუმცა არც რონალდოს გამოუჩენია თავი.

სუარესის ანგარიშზე 23 გოლია, მაშინ, როცა რონალდომ 22 გაიტანა, ურუგვაელი პორტუგალიელს ორი ქულით უსწრებს. ყველაფერს კი რონალდოს წითელი ბარათი დაერთო, რომლის გამოც ოქროს ბურთის მფლობელს უთუოდ მოუწევს თამაშების გამოტოვება, ეს კი სუარესის შანსია.

ამ დუეტს, რომელიც წინ უსაშველოდ გაიჭრა, კვალში მისდევს **დიეგო კოშტა**, გაესპანელებულმა ბრაზილიელმა, როგორც იქნა, გაიტანა და 40 ქულა დააგროვა. ხუთეულში 30-30 ქულა აქვთ „ჰეერენვენის" ისლანდიელ შემტევ **ალფრედ ფინბოგასონს** და „მანჩესტერ სიტის" არგენტინელ ფორვარდ **სერხიო აგუეროს**. მართალია, ისლანდიელმა მეტი გაიტანა, მაგრამ მისი ჩემპიონატი - ჰოლანდიური ერედივიზიე - ნაკლებად ფასობს „ოქროს ბუცის" ჩათვლაში, ვიდრე პრემიერლიგა. ერთია, ახლა აგუეროს ტრავმის გამო მატჩების გამოტოვება მოუწევს.

ათეულში მხოლოდ ერთი ფეხბურთელია, იმ ჩემპიონატებიდან, რომელთა კოეფიციენტიც ყველაზე დაბალია - 1 (ასეთია საქართველოს ჩემპიონატიც) - ლიტვაში კარგა ხანია, დასრულდა ჩემპიონატი და „სუდოვას" შემტევმა **ნერიუს ვალსკისმა** 27 გოლი გაიტანა. მაგრამ, ვეჭვობთ, რომ ბალტიელი უკვე მომდევნო შაბათ-კვირის მერე რეიტინგიდან გავარდება.

1,5-კოეფიციენტიანები კი ათეულში ორია: ზემოთ დასახელებული ფინბოგასონი და **ზლატან იბრაჰიმოვიჩი**, ვის ანგარიშზეც 18 გოლია ლიგა 1-ში.

ათეულში მხოლოდ „ლივერპულს" ჰყავს ორი წარმომადგენელი: დღეისათვის ევროპაში საუკეთესო წყვილი თავდასხმაში სუარესი-**სტარიჯის** დუეტია (ერთად 37 გოლი). სხვათა შორის დანიელი ახლახან შევიდა ათეულში, მას მერე, რაც ჯერ „ევერტონის" კარში დუბლი შეასრულა, შემდეგ „ვესტ ბრომვიჩსაც" გაუტანა. „რეალ სოსიედადის" ფრანგი ტალანტი **ანტუან გრიზმანიც** ახალია ათეულში - მან „ელჩეს" კარში დუბლი შეასრულა.

შეგახსენებთ, რომ 2012/13 წლების „ოქროს ბუცი" მოიგო **ლიონელ მესიმ**, რომლის ანგარიშზეც ლა ლიგაში 46 გოლი (!) იყო. ეს ტიტული ადრე მოუგიათ კრიშტიანო რონალდოს, **ტიერი ანრის, დიეგო ფორლანს, ფრანჩესკო ტოტის, ლუკა ტონის, რონალდოს, მარკო ვან ბასტენს, ეუსებიოს, გერდ მიულერსა** და სხვებს.

1991 წლამდე ჟილდოს „ეკიპი" გადასცემდა. 1991-1996 წლებში „ოქროს ბუცი" არავისთვის გადაუციათ. არადა, 1995/96 წლების სეზონში ჯილდო ზესტაფონის „მარგვეთის" ფეხბურთელ **ზვიად ენდელაძეს** ეკუთვნოდა, რომელმაც 40 გოლი გაიტანა.

სწორედ ამ სეზონის შემდეგ დაწესდა ჩემპიონატების კოეფიციენტებით დაყოფა, ჯილდოს კი მას მერე „ევროპეან სპორტს მედია" გადასცემს კონტინენტის მთავარ გოლეადორს. პირველ სეზონში პრიზი ბრაზილიელმა რონალდომ მიიღო, მაშინ ის „ბარსელონაში" თამაშობდა და ლა ლიგაში 34 გოლი გაიტანა. ყველაზე მეტი გოლი ერთ ფეხბურთელზე 2011/12 წლების სეზონზე მოდის, როდესაც მესიმ 50 გოლი (!) გაიტანა.

**ბრძოლა 2013/14 წლების ოქროს ბუცისთვის**

| ფეხბურთელი | კლუბი/ლიგა | კოეფ. | გოლი | ქულა |
|---|---|---|---|---|
| 1. ლუის სუარესი | ლივერპული/ინგ | 2 | 23 | 46 |
| 2. კრიშტიანო რონალდო | რეალი/ესპ | 2 | 22 | 44 |
| 3. დიეგო კოშტა | ატლეტიკო/ესპ | 2 | 20 | 40 |
| 4. ალფრედ ფინბოგასონი | ჰეერენვენი/ჰოლ | 1.5 | 20 | 30 |
| 5. სერხიო აგუერო | სიტი/ინგ | 2 | 15 | 30 |
| 6. ჯუზეპე როსი | ფიორენტინა/იტა | 2 | 14 | 28 |
| 7. დანიელ სტარიჯი | ლივერპული/ინგ | 2 | 14 | 28 |
| 8. ანტუან გრიზმანი | სოსიედადი/ესპ | 2 | 14 | 28 |
| 9. ნერიუს ვალსკისი | სუდოვა/ლიტ | 1 | 27 | 27 |
| 10. ზლატან იბრაჰიმოვიჩი | პსჟ/საფ | 1,5 | 18 | 27 |

გასული კვირის 5 ფრაზა



ანტონიო კასანო

**გთავაზობთ ხუთ ფრაზას, რომლებიც უცხოური სპორტული მედიის ჰიტებში მოხვდა:**

**1.** „პარმას" თავდამსხმელი **ამაური** თანაგუნდელ **ანტონიო კასანოზე:**

*„მე ვარ ბრაზილიელი იტალიური პასპორტით, კასანო იტალიელია ბრაზილიური ფეხებით".*

**ჩვენი კომენტარი:** თავი, რომელიც კასანოს ხშირად არ უჯერებს, რა ეროვნებისაა?

**2. დევიდ მოიესი,** „მანჩესტერ იუნაიტედის" მთავარი მწვრთნელი (ჟურნალისტებს მიმართავს):

*„მოაშორეთ თქვენი კამერები აქედან! ისინი თქვენ არ დაგჭირდებათ - ჩვენ უკვე დავასრულეთ სატრანსფერო კამპანია ერთი ფეხბურთელის ყიდვით".*

**ჩვენი კომენტარი:** „იუნაიტედის" ასეთი თამაშით, მოიესის პრესკონფერენციებზე მალე ისედაც არ იქნება კამერები.

**3. კლარენს ზეედორფი,** „მილანის" ახალი თავკაცი:

*„რაც შეეხება ჰონდას... უნდა მოვითმინოთ - ის ხომ რუსეთიდან ჩამოვიდა, სადაც სულ სხვა კულტურა და თამაშის სტილია".*

**ჩვენი კომენტარი:** „კულტურის შესახებ ყველაფერი გასაგებია, მაგრამ რომელ „სტილზე" ლაპარაკობს ზე?

**4. ვლად კირიკეში,** „ტოტენჰემის" რუმინელი მცველი:

*„უდიდესი მადლობა ამ სტატიისთვის, მაგრამ მასში გადამეტებებია".*

**ჩვენი კომენტარი:** რუმინული პრესა წერდა, როგორ გამოთვრა ვლადი და „დეზების" ბოსები გააცოფა.

**5. კლაუდიო ლოტიტო,** „ლაციოს" პრეზიდენტი (**ერნანესის** „ინტერში" 20 მილიონ ევროდ გაყიდვამდე):

*„ინტერს" მისი ყიდვა 17 მილიონ ევროდ უნდა? ამ ფასად მხოლოდ ერნანესის მარცხენა ფეხს ვყიდი".*

**ჩვენი კომენტარი:** ბრაზილიელის სხეულის სხვა ნაწილები ძალიან იაფი ღირებულა.

**გვერდი მოამზადა ნიკოლოზ ნეფარიძემ**



ჭადრაკი

# ჩემპიონობამდე ნაბიჯიღა რჩება

კიდევ ორი ტური და თბილისის ჭადრაკის სასახლეში დამთავრდება მოჭადრაკე ვაჟთა 73-ე ეროვნული ჩემპიონატი 12 დიდოსტატისა და საერთაშორისო ოსტატის მონაწილეობით. წრიული სისტემით მიმდინარე შეჯიბრების ცხრა ტურის შემდეგ საქართველოს მოქმედ ჩემპიონ **გაიოზ ნიგალიძეს** ტიტულის შენარჩუნების რეალური შანსი გაუჩნდა: გუშინ იგი თეთრი ფიგურებით **ალექსანდრე ყაშაშვილს** დაუპირისპირდა და ზედიზედ მეხუთე გამარჯვებისთვის მხოლოდ 21 სვლა იკმარა. მე-9 ტურის დანარჩენი შეხვედრები ასე დასრულდა: **კონსტანტინე შანავა-დავით ჯოჯუა** 0:1, **ლევან ფანცულაია-ლუკა პაიჭაძე** 1:0, **მერაბ გაგუნაშვილი-თორნიკე სანიკიძე** 0,5:0,5, **სოფიო გვეტაძე-მიხეილ მჭედლიშვილი** 0,5:0,5, **დავით ბენიძე-ივერი ჭილლაძე** 1:0.

ცხრა ტურის შემდეგ: ნიგალიძე-7,5, გაგუნაშვილი-6,5, ფანცულაია, ჯოჯუა-6-6, სანიკიძე-5-5, მჭედლიშვილი-4,5, შანავა, ყაშაშვილი-4-4, პაიჭაძე-3,5, გვეტაძე-3, ბენიძე-2,5, ჭილლაძე-1,5 ქულა.

მე-10 ტურში ითამაშებენ: ჯოჯუა-ჭილლაძე, მჭედლიშვილი-ბენიძე, სანიკიძე-გვეტაძე, ყაშაშვილი-გაგუნაშვილი, პაიჭაძე-ნიგალიძე, შანავა-ფანცულაია.

**ვაჟა დანელია**



გაიოზ ნიგალიძე

# ლელა ქალებში პირველობს

გიბრალტარში დასასრულს უახლოვდება საჭადრაკო ფესტივალი, რომლის მთავარ ტურნირში სხვადასხვა ქვეყნის უძლიერესი დიდოსტატები მონაწილეობენ. გუშინ მე-8 ტურის პარტიები გათამაშდა. გვინდა გამოვარჩიოთ ვაჟებში ქართველი საერთაშორისო ოსტატის - **ლელა ჯავახიშვილის** წარმატება: ჩვენებურმა თეთრი ფიგურებით ბრაზილიელ დიდოსტატს - სევაგ გრიქორ მხითარიანს სძლია, რვა შესაძლებლიდან 6 ქულას მოუყარა თავი და ქალებში ლიდერობს. მართალია, ჩინელმა მანდილოსანმა ჟაო სიუემაც მოიგო - შვედ რალფ აკესონს აჯობა და მანაც 6 ქულა მოაგროვა, მაგრამ ჯავახიშვილს დამატებითი მაჩვენებლებით ჩამორჩება და მეორე ადგილზეა. 5.5 ქულით მესამეა ჩინელი თან ჟონი. **ბელა ხოტენაშვილი** გუშინ შავი ფიგურებით კი დამარცხდა ბულგარელ დიდოსტატ ივან ჩეპარინოვთან და 5 ქულა აქვს, მაგრამ ქალებში საპრიზო ადგილებზე გასვლის შანსი არ დაუკარგავს, რადგან წინ კიდევ ორი ტურია დარჩენილი.



ლელა ჯავახიშვილი

რაც შეეხება მთავარი პრიზისთვის მებრძოლებს, შვიდი ტურის შემდეგ 6-6 ქულით ვასილი ივანჩუკი (უკრაინა) და შეხარ სურია განგული (ინდოეთი) მეწინავეობდნენ. გუშინ მათი დაპირისპირება უკრაინელის გამარჯვებით დასრულდა და ივანჩუკიც 7 ქულით ერთპიროვნულად დაწინაურდა. ლიდერს ნახევარ-ნახევარი ქულით ჩამორჩებიან რიჩარდ რაპორტი (უნგრეთი) და გატა კამსკი (აშშ), რომლებმაც, შესაბამისად, იუ ვეისა (ჩინეთი) და დავიდ პარდოს (ესპანეთი) გააჩერებინეს საათები. 17 მოჭადრაკეს 6-6 ქულა აქვს. ასე რომ, ლიდერთა ჯგუფში სიმჭიდროვეა და ფესტივალის ფინიშამდე დარჩენილი ორი ტური დაძაბულობითა და მოულოდნელობებით აღსავსე იქნება.

**ვაჟა დანელია**

თანამედროვე ხუთჭიდი, ტრიათლონი, ბიათლი

# მსოფლიოს ჩემპიონატს თბილისი უმასპინძლებს

საქართველოში სპორტის ოლიმპიური სახეობების თანამედროვე ხუთჭიდისა და ტრიათლონის განვითარების რეალური პერსპექტივა აშკარად იკვეთება, რაც ჩვენი ეროვნული ფედერაციისა და მისი პრეზიდენტის, საქართველოს თანამედროვე ხუთჭიდში საქართველოს ნაკრების ყოფილი წევრის, **ვიაჩესლავ მალიშევის** მიზანმიმართული მუშაობის შედეგია. ფედერაციის სამომავლო გეგმებს გაგებით მოეკიდნენ საქართველოს სპორტის ხელმძღვანელები. ამის შედეგია, რომ საერთაშორისო ფედერაციის გადაწყვეტილებით, ბიათლსა და ტრიათლში 2015 წლის მსოფლიოს ჩემპიონატს თბილისი უმასპინძლებს. საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტ **ლერი ხაბელოვთან** ვიაჩესლავ მალიშევისა და ფედერაციის საპატიო პრეზიდენტის **ჯუანშერ ზალდასტანიშვილის** შეხვედრის შემდეგ ზალდასტანიშვილმა აღნიშნა, რომ *„თანხმობა ასეთი შეჯიბრების ჩატარების თაობაზე არის პირველი წინგადადგმული ნაბიჯი. ახლა დროა, ყურადღება გავამახვილოთ საქართველოს ეროვნული გუნდის წევრების შერჩევაზე და იმ სპორტსმენების რაოდენობის ზრდაზე, რომლებიც მისდევენ თანამედროვე ხუთჭიდს, ტრიათლონს, ბიათლს და მათში შემავალ სპორტის სახეობებს. სწორედ ამისთვის გვესაჭიროება სავარჯიშო ქსელის განვითარება და გაუმჯობესება. გარდა ამისა, ძალიან მნიშვნელოვანია უფრო მეტი შეჯიბრებების მოწყობა ახალგაზრდა სპორტსმენებისთვის. ვიმედოვნებთ, შერჩევის პროცესი, რომელიც ჩატარდება საქართველოს ეროვნულ ოლიმპიურ კომიტეტთან ერთად, ხელს შეგვიწყობს მიზნების მიღწევაში“.*

ხსენებულ შეხვედრაზე განიხილებოდა აგრეთვე, საქართველოდან 2016 წლის ოლიმპიური თამაშების ერთ-ერთი კანდიდატის **ვარვარა ივანოვას** საკითხი, რომელმაც ახლახან დაიკავა მე-7 ადგილი ბელარუსის ღია ჩემპიონატში და ემზადება 2014 წლის მსოფლიოს თასის (მექსიკა, აკაპულკო) პირველი ეტაპისთვის. ამ სპორტსმენის, მოსამზადებელი პროცესი მოიცავს საერთაშორისო შეჯიბრებას, რაც ძვირად ღირებულია, მაგრამ ეროვნული ფედერაცია სპორტული ორგანიზაციებისა და სპონსორების მხარდაჭერის იმედს არ კარგავს.

**ლერი ხაბელოვი:** *„მოხარული ვარ ფედერაციის წარმომადგენლებთან შეხვედრით. ძალიან მნიშვნელოვანია ერთობლივი მუშაობა. სასიამოვნოა, რომ თანამედროვე ხუთჭიდი, და მისი ქვესახეობები - ბიათლი და ტრიათლონი სწრაფად ვითარდება საქართველოში. ვარვარა ივანოვა არის შესანიშნავი მაგალითი ახალგაზრდა სპორტსმენებისთვის. იმედი გვაქვს ჩვენი თანამშრომლობა წარმატებული იქნება.“*

**თორნიკე გაჩეჩილაძე**



მარცხნიდან: ჯუანშერ ზალდასტანიშვილი, ლერი ხაბელოვი, ვიაჩესლავ მალიშევი, ვარვარა ივანოვა

ჩოგბურთი



შოთა მეფარიძე

# მეფარიძე მოგებით იწყებს

დონეცკში ახალგაზრდა ჩოგბურთელ ვაჟთა საერთაშორისო ტურნირზე მეოთხე ნომრადაა განთესილი თბილისელი **შოთა მეფარიძე**. ასპარეზობის სტარტზე მან ბელარუს ანდრეი ანრუხოუს სამ სეტში მოუგო - 6:1, 6:7, 6:3 და მეორე წრეში მასპინძელ მიკიტა მასტაკოვის მძლეველ (6:2, 6:4) არტიომ დუბროვნის (რუსეთი) შეხვდება. შეჯიბრების რეიტინგფავორიტი იყო რუსი ბორის პოკოტილოვი (წყვილებში მეფარიძე მასთან არის შეამხანაგებული), რომელიც გუშინ ოლეგ პრინოდკოსთან (უკრაინა) დამარცხდა - 6:7, 3:6. წყვილებში ქართველი ჩოგბურთელი ვლადისლავ ჩუმაკისა (უკრაინა) და კირილ კრივჩუნის (კანადა) დუეტთან გაარკვევს ურთიერთობას.

ტუნისის ახალგაზრდულ ტურნირზე მოსინჯავს ძალებს თბილისელი **ალექსანდრე ბაკში**. პირველ წრეში მისი მეტოქეა ბრიტანელი ლევის როსკოლი.

■ ■ ■

უკვე გაუწყეთ, რომ გრენობლის 25.000-იან ტურნირში ითამაშებს **სოფიო შაფათავა**. სტარტზე მას უკრაინელი სეხნია - სოფია კოვალეცი გაუწევს მეტოქეობას. წყვილებში შაფათავა უკრაინელ ანასტასია ვასილიევასთან ერთად იბრძოლებს. პირველ წრეში ისინი ისვენებდნენ. გუშინ მათი მეტოქეების ვინაობა გაირკვა - ქართულ-უკრაინული დუეტი მეოთხედფინალში ალბერტა ბრიანტისა (იტალია) და ირინა რამიალისონს (საფრანგეთი) გამოცდის.

ანტალიის 10.000-იანი ტურნირის წყვილთა პაექრობაში **სოფიო ქვაცაბაია** და ესენ კოკჩე (თურქეთი) სამ სეტში დამარცხდნენ გაბრიელა ტალაბასა და პატრისია მარია ტიჯისთან - 6:4, 3:6, 4:10.

**ვაჟა დანელია**

# გოგონებმა უკეთ, ვიდრე ვაჟებმა

14 და 16 წლის ქართველი ჩოგბურთელი გოგო-ბიჭები ევროპის ზამთრის გუნდურ პირველობებზე იმყოფებოდნენ სხვადასხვა ქალაქში. საკვალიფიკაციო ჯგუფებში 4-4 გუნდი იყო განთესილი. მათგან 2-2 საუკეთესო მომდევნო ეტაპზე გადიოდა. ჩვენებურთაგან ეს ვერავინ მოახერხა. 14-წლიანი გოგონები სტამბოლში ასპარეზობდნენ: ქართველებმა ერთი წლით უფროს მეტოქეებთან პაექრობისას პირველ ტურში ბელარუსებს მოუგეს 2:1, ნახევარფინალში ბრიტანელებთან დამარცხდნენ 0:3, მესამე ადგილისთვის პაექრობაში კი ჰოლანდიელებს აჯობეს - 2:1. პირველ-მეორე ადგილებზე უკრაინელები და ბრიტანელები გავიდნენ. სტამბოლშივე ჩაებნენ შეჯიბრებაში ჩვენი ბიჭები, რომლებიც 8 გუნდში მე-7 ადგილს დასჯერდნენ.

### 14-წლიანები

#### გოგონები

**ბელარუსი-საქართველო 1:2.** კარინა დუდკო-**მარიამ დალაქიშვილი** 3:6, 4:6, კატიარინა პაულენკა-**ანა შანიძე** 3:6, 1:6, დუდკო, იულია ჰატიუკა-შანიძე, **ნინო ნასიბიანი** 6:3, 6:2.

**საქართველო-დიდი ბრიტანეთი 0:3.** მარიამ დალაქიშვილი-ფრანჩესკა იონესი 2:6, 4:6, ანა შანიძე-ალი კოლინსი 2:6, 2:6, ნასიბიანი, დალაქიშვილი-იონესი, ელიზ მალონეი 6:7, 1:6.

**ჰოლანდია-საქართველო 1:2.** ნოა ლიაუ ფონგი-მარიამ დალაქიშვილი 2:6, 2:6, იუდით ვან კესელი-ანა შანიძე 3:6, 3:6, კესელი, გაბრიელა მუიანი-ნასიბიანი, დალაქიშვილი 6:4, 2:6, 6:2.

#### ვაჟები

**თურქეთი-საქართველო 2:1.** კიზეი კეკირგე-**ზურაბ ტყემალაძე** 4:6, 6:4, 3:6, იანკი ერელი-**ნიკოლოზ დავლიანიძე** 6:3, 6:3, ერელი, კეკირგე-ტყემალაძე, დავლიანიძე 6:2, 6:2.

**უნგრეთი-საქართველო 2:1.** მათე ვოროში-**დავით ჭელიძე** 6:1, 6:1, დანიელ ხინი-ზურაბ ტყემალაძე 3:6, 3:6, ხინი, ვოროში-დავლიანიძე, ტყემალაძე 6:4, 6:2.

**შვეიცარია-საქართველო 1:2.** იანას შაერი-ზურაბ ტყამალაძე 5:7, 6:7, მიშა ლანზი-ნიკოლოზ დავლიანიძე 6:1, 4:6, 3:6, ლანზი შაერი-ტყემალაძე, ჭელიძე 6:0, 6:1.

■ ■ ■

16-წლამდელი გოგონები იტალიურ მანიაჯოში ცდიდნენ ძალებს. სტარტზე ისრაელის გუნდს კი აჯობეს მშრალი ანგარიშით, მაგრამ მომდევნო ორი შეხვედრა მასპინძლებთან და შვეიცარიელებთან დათმეს და საბოლოოდ მე-4 ადგილი დაიკავეს. ჩვენებს იტალიამ, სლოვენიამ და შვეიცარიამ გაუსწრო. ამ ასაკის ვაჟებმა ყაზანში იასპარეზეს. საქართველოს ნაკრები პოლონეთთან და ჰოლანდიასთან დამარცხდა და, 14-წლამდელ ვაჟთა გუნდის მსგავსად, მე-7 ადგილს დაჰყაბულდა.

### 16-წლიანები

#### გოგონები

**ისრაელი-საქართველო 0:3.** გაია სოლომონი-**ანა ახალკაცი** 4:6, 5:7, მეი კიმი-**მარიამ ბოლქვაძე** 5:7, 0:6, შელი კროლიტსკი, კიმი-ბოლქვაძე, **მედეა პეტრიაშვილი** 2:6, 4:6.

**საქართველო-იტალია 1:2.** ანი ახალკაცი-ალესია დარიო 1:6, 6:4, 4:6, ბოლქვაძე-ალესანდრა სიმონელი 6:3, 6:1, ბოლქვაძე, ახალკაცი-სიმონელი, ლუკრეცია სტეფანიანი 4:6, 6:7.

**შვეიცარია-საქართველო 2:1.** ილენა ილ-ალბონი-მედეა პეტრიაშვილი 6:1, 6:2, ტამარა არნოლდი-მარიამ ბოლქვაძე 7:6, 1:6, 3:6, დანიელა ვუკოვიჩი, ილენა ინ-ალბონი - ბოლქვაძე, პეტრიაშვილი 6:2, 6:4.

#### ვაჟები

**საქართველო-პოლონეთი 0:3.** ვაჟა შუბლაძე-პიოტრ სმიეტანა 1:6, 2:6, **ირაკლი მეტრეველი**-პიოტრ მატუშევსკი 1:6, 2:6, ვაჟა შუბლაძე, **გუგა თავაძე**-პიოტრ მატუშევსკი, მაქსიმილიან რაუპუკი 2:6, 0:6.

**საქართველო-ჰოლანდია 0:3.** ვაჟა შუბლაძე-ბარტ სტივენსი 0:6, 6:2, 2:6, ირაკლი მეტრეველი-რუბენ კონინგსი 4:6, 1:6, მეტრეველი, შუბლაძე-ტომ ფლორის მუუნენი, ბარტ სტივენსი 1:6, 3:6.

**ვაჟა დანელია**

ხელბურთი

# რუმინეთში რუსია, თურქეთში მსხვილიძე

ქართველი ხელბურთელები - საქართველოს ნაკრების წევრები უცხოურ კლუბებში თამაშობენ და უმეტესობა საკუთარი გუნდის ლიდერიცაა. განსაკუთრებით ეს ითქმის **ვლადიმერ რუსიასა** და **რატი მსხვილიძეზე.**

რუმინეთის ეროვნულ ჩემპიონატში გადადებული მატჩი გაიმართა. ლიდერმა „კონსტანცამ“ „შტიინცა ბაკეუს“ 31:24 აჯობა. დამარცხებულთა შემადგენლობაში გამოირჩეოდა **ვლადიმერ რუსია,** რომელმაც პირველ ტაიმში 3 გოლი გაიტანა. თავისი ბოლო ბურთი მან 26-ე წუთზე შეაგდო და ანგარიშში სხვაობა მინიმუმამდე დაიყვანა, მაგრამ „კონსტანცამ“ მაინც მოიგო მატჩი - 31:24. მეორე ტაიმის ბოლო 20 წუთი „ბაკეუს“ კარს **შოთა თევზაძე** იცავდა. 14 ტურის შემდეგ 38-38 ქულით „კონსტანცა“ და „პოტაისა ტურდა“ (მოგებაზე რუმინეთში 3 ქულაა) ლიდერობენ. მათ შვიდი ქულით ჩამორჩება „ბაკეუ“, რომელსაც გათამაშების ცხრილში მესამე პოზიცია უკავია, 12 ქულით მეცხრეზეა „პოლიტექნიკა“. ტიმიშოარას გუნდის ლიდერი **ირაკლი ჩიქოვანი** საქართველოს ნაკრებში მიღებული ტრავმის გამო კიდევ ერთი თვე ვერ გავა მოედანზე. ჩემპიონატის პლეი ოფში ორწრიანი ტურნირის შემდეგ 6 გუნდი იასპარეზებს.

■ ■ ■

„ტრაბზონსფორის“ შემადგენლობაში საუკეთესო მატჩი ჩაატარა **რატი მსხვილიძემ** - ბურსას „ნილუფერთან“ მოგებულ თამაშში (35:29) მან 9 გოლი გაიტანა. საგულისხმოა, რომ „ტრაბზონმა“ ზედიზედ მეხუთე ორთაბრძოლა მოიგო. გუნდში **გიგა ტორონჯაძისა** და რატი მსხვილიძის გადასვლის შემდეგ ტრაბზონელებმა ერთადერთი მატჩი წააგეს „ბეშიქთაშთან“ (მაშინ მსხვილიძეს არ უთამაშია) და ახლა 20 ქულით მეოთხე ადგილზე არიან. 31 ქულით ლიდერობს „ბეშიქთაში“, რომელმაც პირველი ქულები დაკარგა - „ანთალიას“ დაუზავდა 31:31, მეორე-მესამე ადგილები ანკარის BB-სა (24 ქულა) და „ილ ოზელს“ (23) უკავიათ. პლეიოფში 8 გუნდი გადის.



ვლადიმერ რუსია

**ვაჟა დანელია**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძიუდო. საქართველოს ჩემპიონატი ჭაბუკებში

# შვილი მამის კვალზე

## ქალთა ფავორიტი ახალ წონაში

**ამ უქმეებზე საგარეჯომ საქართველოს ჩემპიონატს უმასპინძლა 1998-99 წლებში დაბადებულ ძიუდოისტთა შორის. ესაა ჭაბუკთა უმცროსი, ეგრეთ წოდებული საფესტივალო ასაკი ანუ იმათი შეჯიბრება, ვისაც გაისად თბილისში გასამართ ევროპის ახალგაზრდულ ოლიმპიურ ფესტივალში უწევთ გამოსვლა.**

ტრადიციულად, მოზარდთა ამ შეჯიბრებამაც დიდი ინტერესის ფონზე ჩაიარა და ნაკრებში მოსახვედრად მოზარდებს თავი არ დაუზოგავთ. საკმაოდ დიდი იყო მონაწილეთა რაოდენობაც – ბიჭების შეჯიბრებაში 230-მდე სპორტსმენი გამოდიოდა, თუმცა უამინდობის გამო ზოგმა გუნდმა საგარეჯოში ჩასვლა ვერ შეძლო. თან გავითვალისწინოთ, რომ ფედერაციამ ეს ტურნირიც კვოტებით ჩაატარა ანუ ყველა რეგიონს განსაზღვრული რაოდენობის მონაწილეთა გამოყვანა შეეძლო, ასპარეზობა ნება-სურვილზე არ ყოფილა დამოკიდებული...

ბიჭებისგან განსხვავებით, გოგოებში ბევრად ცოტა მონაწილე შეიკრიბა, რადგან ისინი ჯერ მასობრიობით ვერ დაიკვეხნიან. ეს არცაა გასაკვირი, რადგან ქალის ჭიდაობა საქართველოში ჯერაც მიულებელ საქმედ მიიჩნევა.

ამ ასაკის ბავშვთა შეჯიბრება ფედერაციამ მას შემდეგ წამოიწყო წინასწარ განზრახულად, რაც თბილისს ზემოაღნიშნული ფესტივალის მასპინძლობა დაეკისრა. ასეთმა მიდგომამ შედეგი უკვე გამოიღო და საგრძნობლად ამაღლდა მოზარდთა კლასი. ამის მაგალითი ევროპის შარშანდელი ჩემპიონი **მარიამ ჯანაშვილი** (52) და ევროპის მესამე პრიზიორი **მზია ბებოშვილი** (48) არიან, რომლებმაც შარშან მოიპოვეს ეს ტიტულები. ჯანაშვილმა უკვე დაამთავრა ამ ასაკში გამოსვლა და ახალგაზრდებში გადავიდა, ბებოშვილი კი 15 წლისაა და კიდევ ორ სეზონს ჩაატარებს უმცროსებში. უეჭველია, ის გაისად გასამართი ევროპული ფესტივალის ფავორიტი იქნება. ოღონდ მან წლეულს წონა შეიცვალა და 48-დან 52-ში გადაინაცვლა.

ბიჭებიდან მხოლოდ ერთს გამოვარჩევთ - 55 კილოგრამის ფინალისტ **ირაკლი ხერგიანს**, რომელიც ახლო წარსულში სახელოვანი ძიუდოისტის, ევროპის ორგზის ჩემპიონის, მსოფლიოსა და ოლიმპიადის ვერცხლისმედალოსან **ნესტორ ხერგიანის** შვილია. ეტყობა, კარგადაც აგრძელებს მამის კვალს.

**ირაკლი თავაძე**



მზია ბებოშვილი

### კვარცხლბეკი

#### ბიჭები

**46 კგ.** 1. ვაჟა ბუბუნაური (კახეთი) 2. გიორგი თუთაშვილი (იმერეთი), 3. დაჩი სუხიტაშვილი (შიდა ქართლი), გიორგი ნიაზაშვილი (თბილისი).

**50 კგ.** 1. თემურ ნოზაძე (შიდა ქართლი), 2. ამირან დარბაისელი, 3. უშანგი ქიტესაშვილი, გურამ მღებრიშვილი (სამივე - კახეთი).

**55 კგ.** 1. თენგიზ ჩიტაური, 2. ირაკლი ხერგიანი (ორივე – თბილისი), 3. ალეკო მამიაშვილი (შიდა ქართლი), თორნიკე გვიჭიანი (რაჭა-ლეჩხუმი – ქვემო სვანეთი).

**60 კგ.** 1. ივანე მახათაძე (შიდა ქართლი), 2. გელა გარაყანიძე (თბილისი), 3. გუგა გოგიტიძე (აჭარა), ბაგრატ ნინიაშვილი (ქვემო ქართლი).

**66 კგ.** 1. ლაშა დუდაშვილი (თბილისი), 2. ალეკო სულაკაძე (იმერეთი), 3. ჭაბუკა კირაკოზაშვილი (კახეთი), შათირ შერაზადიშვილი (შიდა ქართლი).

**73 კგ.** 1. გიორგი ქევხიშვილი, 2. ნიკა ლაბაძე. 3. შოთა შავდია (სამივე - თბილისი), ლუკა მაისურაძე (შიდა ქართლი).

**81 კგ.** 1. გიორგი გოგოლიძე (იმერეთი), 2. ონისე სანებლიძე (თბილისი), 3. ნიკა სიდამონიძე (შიდა ქართლი), გოჩა ქერდიკაშვილი (მცხეთა-მთიანეთი).

**+81 კგ.** 1. თორნიკე ტაბატაძე (გურია), 2. იოსებ ბაზიერაშვილი (კახეთი), 3. ზურაბ ურთაშვილი (მცხეთა-მთიანეთი), ვაჟა კაკილაშვილი (ცხინვალი).

#### გოგოები

**44 კგ.** 1. ნატა ყიფშიძე (თბილისი).

**48 კგ.** 1. ნინო მგელაძე (აჭარა), 2. მარიამ თოდუა (თბილისი).

**52 კგ.** 1. მზია ბებოშვილი (თბილისი), 2. მარიამ გორგოძე. 3. მანანა ჯანიკაშვილი, მარიამ კობახიძე (სამივე – იმერეთი).

**57 კგ.** 1. ეთერ ლიპარტელიანი (რაჭა-ლეჩხუმი – ქვემო სვანეთი), 2. ქრისტინე მამულაძე, 3. სალომე ლომაძე (ორივე – აჭარა).

**63 კგ.** 1. თამარ მჭედლიშვილი (თბილისი).

**70 კგ.** 1. სალომე მჭედლიშვილი (თბილისი), 2. ნათია მიქაბერიძე (აჭარა), 3. ნათია გასაშვილი (თბილისი).

**+70 კგ.** 1. ელისო სისაური (კახეთი), 2. ქრისტინე ფუტკარაძე (იმერეთი), 2. მარიამ ცერცვაძე (თბილისი), 3. ნათია მამლიკიძე (სამცხე-ჯავახეთი).

**ირაკლი თავაძე**

ბერძნულ-რომაული ჭიდაობა. მეტოქე

# წვერების სკანდალი



ელჩინ ალიევი

არც ისე დიდი დრო გავიდა საქართველოს ბერძენ-რომაელთა ნაკრებში ვაჰაბიტურ ნიადაგზე და წვერის გაპარსვასთან დაკავშირებული სკანდალიდან, რამაც ძალიან ნიჭიერი ახალგაზრდის, **ფირუზ ნულუკიძის** (66) კარიერა შეიწირა – ვაჰაბიტებთან კავშირის ბრალდებით, თავის მწვრთნელთან ერთად ის ჯერაც პატიმრობაში იმყოფება. როგორც ჩანს, ახლა ანალოგიური პრობლემის წინაშე აზერბაიჯანის იმავე სტილის მოჭიდავეთა ნაკრები დადგა, სკანდალის ეპიცენტრში კი ბევრად უფრო სოლიდური ვარსკვლავი, ევროპის ორგზის ჩემპიონი **ელჩინ ალიევი** (55) აღმოჩნდა. იქაური მედია ვაჰაბიტურ წრეებთან მის კავშირზე ჯერჯერობით პირდაპირ არაფერს წერს, მაგრამ ფაქტია – მასაც მოსთხოვეს წვერის გაპარსვა, რაზეც უარი განაცხადა და ნაკრების შეკრებაც დატოვა.

ჩვენთვის მოულოდნელად, იქაური პრესა წერს, რომ აზერბაიჯანელი ბერძენ-რომაელები თებერვლის შუა რიცხვებში თბილისში აპირებდნენ შეკრებაზე ჩამოსვლას. ინფორმაცია გაგვიკვირდა, რადგან ამის შესახებ ჩვენებისგან არაფერი გაგვიგონია და ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა **ბეგი დარჩიამ** გვითხრა კიდეც, რომ მან არაფერი იცის. ვერ გეტყვით, საიდან მოიტანა იქაურმა მედიამ ეს ინფორმაცია, მაგრამ მათი ნაკრები ახლა ბაქოშივე გადის შეკრებას და ზემოაღნიშნული ინციდენტიც იქ მოხდა რამდენიმე დღის წინათ - ნაკრების ირანელმა მთავარმა მწვრთნელმა **ჯემშიდ ხეიდარაბადიმ** ალიევს წვერის გაპარსვა სთხოვა, რაზეც უარი მიიღო. „რამდენიმე დღის წინ ერთ-ერთ ვარჯიშზე ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა ჯემშიდ ხეიდარაბადიმ სთხოვა მას, დაემოკლებინა გრძლად მოშვებული წვერი, რადგან ის ხელს უშლის მეტოქეს. ეს არ იყო მხოლოდ მწვრთნელის თხოვნა, არამედ შეხვედრის მიმდინარეობისას ჰიგიენური ნორმების დაცვას ფილას რეგულაციებიც ითვალისწინებს. ამის შემდეგ ალიევმა დატოვა შეკრება. ის კარგი სპორტსმენია, მაგრამ უნდა გაიგოს, რომ არავინ ეწინააღმდეგება მის რელიგიურ აღმსარებლობას. ნაკრებში არიან მუსლიმანებიც და ქრისტიანებიც, სხვადასხვა ქვეყნის წარმომადგენლები, მაგრამ ჰიგიენური ნორმების დაცვა აუცილებელია. როგორ შეიძლება ჭიდაობა, როცა შენი წვერი ხელს უშლის მეტოქეს? ნაკრების კარი ღიაა ალიევისთვის. როცა ის დაიმოკლებს წვერს, ვარჯიშსაც განაახლებს" - განაცხადა ფაქტის კომენტარისას აზერბაიჯანის ჭიდაობის ფედერაციის გენერალურმა მდივანმა **აჯდად ჯაფაროვმა**. უეჭველია, ნაკრების ქრისტიან წევრებზე საუბრისას ის ქართველ **შალვა გადაბაძესაც** (98) გულისხმობდა, ევროპის სამგზის და მსოფლიოს მესამე პრიზიორს, თუმცა ნაკრების გაფართოებულ შემადგენლობაში იქაურებს ორი ქართველი კიდევ ჰყავთ.

როგორც ვხედავთ, ჯაფაროვს პირდაპირ არ დაუდანაშაულებია ალიევი ვაჰაბიტებთან კავშირში, თუმცა რელიგიურ ასპექტზე ხაზგასმა გვაფიქრებინებს, რომ საქმე სწორედ ამაშია. თან სცენარიც ნაცნობია – ნულუკიძემაც და ალიევმაც კატეგორიულად იუარეს წვერის გაპარსვა, თორემ სხვა ვითარებაში განა ეს რა პრობლემა იყო, ამის გამო კარიერა რომ არ გაიფუჭონ? კიდევ ერთი საერთო ისაა, რომ ორივეს გრძლად მოშვებული წვერის შემოკლება სთხოვეს, მაგრამ ამაზეც ცივი უარი მიიღეს.

ალიევი სერიოზული ფიგურაა უმჩატეს წონით კატეგორიაში. მან შარშან თბილისშიც იჭიდავა ევროპის ჩემპიონატზე და ფინალშიც გავიდა, სადაც ბელარუს **ელბეკ ტაჯიევთან** წააგო და ვერცხლს დასჯერდა. მსოფლიოს პირველობაზე ის უკვე ველარ მოხვდა ნაკრებში – **ორჰან ახმადოვმა** აჯობა, თუმცა ეს სულაც არ აკნინებს მის ლიდერობას, ის კვლავაც რჩება წონის ფავორიტად. სამწუხაროდ, ამ წონაში დიდი ამბიციები არ გაგვაჩნია, მაგრამ იქ მიმდინარე მოვლენები მაინც საყურადღებოა. თან, ამ წონის 57 კილოგრამად გადაკეთება იქნებ ჩვენც წაგვადგეს საკადრო პრობლემების დაძლევაში.

**ირაკლი თავაძე**

# გაზეთი მემატიანე

## დრო, მოვლენები და ფაქტები

**პუბლიკაციები ეძღვნება გაზეთ „ლელოსა" და ქართული სპორტის თანაცხოვრების 80 წლის საიუბილეო თარიღს**

დასაწყისი „ლელო" № 16-19, 21.

### ტოკიოსა და მეხიკოში

მრავალმხრივ გამორჩეული იყო 1960-იანი წლები ქართული სპორტისა და ჩვენი გაზეთისთვისაც. იგულისხმება ყველაფერი, რაც საქართველოში ბიძგს აძლევდა, როგორც სპორტის, ისე სპორტული ჟურნალისტიკის განვითარებას. უკვე ვთქვით, რომ საქართველოს სპორტულ ჟურნალისტთა შემოქმედებითი გაერთიანება - ფედერაცია, „ლელოს" ბაზაზე ჩამოყალიბდა. სპორტული პრესის საერთაშორისო ორგანიზაცია 1924 წლიდან არსებობს. საქართველოს ფედერაცია, რომელიც 1959 წელს შეიქმნა, საბჭოთა ორგანიზაციის შემადგენელი ნაწილი გახდა. მაშინ სხვაგვარად შეუძლებელი იყო. მოსკოვიდან მოდიოდა დირექტივები, საერთაშორისო სპორტულ შეჯიბრებებზე მისავლინებელ ჟურნალისტთა კვოტებსაც ცენტრი ანაწილებდა. უნდა ითქვას, რომ კარგი ურთიერთობა გვქონდა მოსკოველ კოლეგებთან და კვოტებში ნამდვილად არ ვიჩაგრებოდით. ამას ისიც უწყობდა ხელს, რომ რუსეთის, უკრაინისა და ბელარუსის შემდეგ საქართველო საბჭოთა კავშირში აშკარად გამორჩეული სპორტული რესპუბლიკა იყო. მოკლედ, სიტყვა გვეთქმოდა.

1959-1991 წლებში საქართველოს სპორტულ ჟურნალისტთა ფედერაციის თავკაცები მხოლოდ „ლელოს" რედაქტორები იყვნენ. **მიხეილ კაკაბაძის** შემდეგ, ის იყო პირველი თავმჯდომარე, ფედერაციას **არჩილ გოგელია** ხელმძღვანელობდა, რომელიც 1985 წელს მე შევცვალე. 1991 წელს კი ყოფილი ლელოელი **ელგუჯა ბერიშვილი** ჩაუდგა სათავეში უკვე დამოუკიდებელი საქართველოს სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაციას. ამ ასოციაციამ თავი წინამორბედი ფედერაციის სამართალმემკვიდრედ აღიარა. 2012 წელს **ელგუჯა ბერიშვილი** სეოკ-ის პირველი ვიცე-პრეზიდენტი გახდა და ჟურნალისტთა ამ გაერთიანებაში, არჩევნების შედეგად, მისი ადგილი დაიკავა ჟურნალ „ათიანის" რედაქტორმა **გიორგი გორგოძემ**.

„ლელოს" მაორგანიზებელი როლი 1964 წლის ტოკიოს ოლიმპიური თამაშებისთვის საქართველოს სპორტსმენთა მზადებაში კიდევ უფრო ამაღლდა. სათანადოდ ჟურნალისტების შრომაც ფასდებოდა. ყველა აღიარებდა გაზეთის დამსახურებას და მაღალ ავტორიტეტს, რაც იმანაც დიდად განაპირობა, რომ „ლელოს" ახლა უკვე ბრწყინვალე პიროვნება და რედაქტორი **მიხეილ კაკაბაძე** მეორედ ჩაუყენეს სათავეში. ქართული სპორტის ისტორიაში **გიორგი სიხარულიძის** მოღვაწეობის პერიოდი ოქროს ხანა იყოო, როცა ვამბობთ, შეიძლება თამამად ითქვას, ამ ეპოქის მეორე შემოქმედი, „ლელო" და მისი გამობრძმედილი რედაქტორი **მიხეილ კაკაბაძე** გახლდათ.

საამაყო მონაპოვრით დასრულდა 1960-იანი წლების პირველ ოლიმპიურ ოთხწლეულში მუხლჩაუხრელი გარჯა. საქართველოდან 18 ათლეტი ჩაირიცხა ტოკიოში ოლიმპიადაზე გასამგზავრებელ საბჭოთა სპორტულ დელეგაციაში. ეს ჩაითვალა ძალიან თვალსაჩინო მიღწევად გაზრდილი კონკურენციისა და მკაცრი შერჩევის გავითვალისწინებით. უნდა ითქვას, რომ ნამდვილად დიდი იყო ოლიმპიადაზე წარმატების მოლოდინი, რაც კიდეც გამართლდა. ჩვენი ოლიმპიელებიდან მედლით შინ 11 ათლეტი დაბრუნდა: მოფარიკავე **ნუგზარ ასათიანი** და ფრენბურთელი **ვაჟა კაჭარავა** ჩემპიონები, **რომან რურუა** (ბ\რ ჭიდაობა), **გურამ საღარაძე** (თავ. ჭიდაობა), **შოთა ქველიაშვილი** (ტყვ. სროლა) და **ლევან მოსეშვილი** (კალათბურთი) მეორე, ხოლო **გურამ კოსტავა** (ფარიკაობა), **ნოდარ ხოხაშვილი** (თავ. ჭიდაობა), **დავით გვანცელაძე** ბ\რ ჭიდაობა), **ანზორ კიკნაძე** (ძიუდო) და **ფარნაოზ ჩიკვილაძე** (ძიუდო) მესამე პრიზიორები გახდნენ. აკრედიტაცია „ლელოდან" ამ თამაშებზეც **ზურაბ ჯაფარიძემ** მიიღო. ოპერატიულად საგაზეთო მასალების უშუალო კავშირით მიღება მაშინ ჯერ კიდევ არ ხერხდებოდა. თამაშებიდან არც პირდაპირი ტელეგადაცემები იყო, ამიტომ შინ დაბრუნებული ჟურნალისტისა და თვით ოლიმპიელების „ლელოს" ფურცლებზე ნაამბობს მკითხველი შეუნელებელი ინტერესით ეცნობოდა.

თხრობას ბარემ 1968 წლის მეხიკოს ოლიმპიური თამაშებისთვის მზადებაზე და ამ საქმეში „ლელოს" ჟურნალისტების წვლილით გავაგრძელებთ. მზადება მიმდინარეობდა უწყვეტ პროცესში, რაც ძალიან მნიშვნელოვანი იყო მყარი საფუძვლების შესაქმნელად, საიმედო ხელში ტრადიციების გადასაცემად თუ თაობათა უმტკივნეულოდ ცვლისთვის. წარმატებით იპყრობდნენ ახალ სპორტულ მწვერვალებს ჩვენი ათლეტები. ჭეშმარიტად ღირსსახსოვარ მოვლენად დარჩა ქართული სპორტის ისტორიაში 1964 წელს თბილისის „დინამოს" ფეხბურთელთა გუნდის „ოქროს მატჩი" ტაშკენტში. 1965 წელს სან-სებასტიანში **ომარ ფხაკაძე** პირველი ქართველი მსოფლიოს ჩემპიონი გახდა ველორბოლაში, იმავე წელს იყო **ნონა გაფრინდაშვილმა** ალა კუშნირთან გადამწყვეტ მატჩში ჭადრაკში მსოფლიოს ჩემპიონის გვირგვინი შეინარჩუნა. მომდევნო წელმა **შოთა ლომიძეს** მოუტანა დიდი წარმატება. მან კარლსრუეში ევროპის ჩემპიონატი მოიგო და კონტინენტის უძლიერესი ფალავნის სახელი თავისუფალ ჭიდაობაში პირველად მოიპოვა. იქვე ჩემპიონობა უკვე მეორედ იზეიმა **ზარბეგ ბერიაშვილმაც**.

მეხიკო გულმოდგინედ ემზადებოდა 1968 წლის ზაფხულის ოლიმპიური თამაშების მასპინძლობისთვის. ერთი წლით



მეხიკო, 1968 წ. მარცხნიდან: რომან რურუა, დიტო შანიძე, ვიქტორ სანეევი

ადრე ოლიმპიურ ბაზებზე აპრობაცია-ადაპტაციის მიზნით მაღალი რანგის სხვადასხვა ასპარეზობა ტარდებოდა. 1967 წელს იქაურ ტრეკზე **ომარ ფხაკაძემ** მსოფლიოს რეკორდიც კი დაამყარა. ეს მიღწევა 1980 წლამდე დარჩა ხელუხლები.

მეხიკოს ოლიმპიადა მსოფლიო ყურადღების ცენტრში იმის გამოც მოექცა, რომ თამაშები პირველად ტარდებოდა სასიმაღლო (2134 მ. ზღვის დონიდან) პირობებში. ფართოდ და საინტერესოდ აისახებოდა მიმდინარე პროცესები „ლელოს" ფურცლებზე. ბუნებრივია, ქართველი მკითხველი მეტ და მეტ ინფორმაციას მოელოდა ოლიმპიადისთვის თანამემამულე ათლეტების მზადებასთან დაკავშირებით. მკითხველთა დაკვეთას კი გაზეთის შემოქმედებითმა მუშაკებმა წარმატებით გაართვეს თავი. საყოველთაო სიყვარულით დამუხტული, განსაკუთრებით „ლელოს" მეშვეობით, მეხიკოში ჩვენი 14 ოლიმპიელი გაემგზავრა. მონაგარი - სამივე სინჯის ორ-ორი ოლიმპიური მედალი.

ლეგენდარული სამხტომელი **ვიქტორ სანეევი** სწორედ მეხიკოში გახდა პირველად ოლიმპიური ჩემპიონი. ამ თამაშებზე ოქროს მეორე მედალი **რომან რურუას** \ბ\რ ჭიდაობა\ წილად მოდის. ვერცხლის მედლები მოიპოვეს **დიტო შანიძემ** ძალოსნობასა და **შოთა ლომიძემ** თავისუფალ ჭიდაობაში, ბრინჯაოსი - კალათბურთელებმა **ზურაბ საკანდელიძემ** და **სერგეი კოვალენკომ**.

**თენგიზ გაჩეჩილაძე**

გაგრძელება იქნება

● ქართველები NBA-ში



# ზაზა მწვრთნელი და მკვლელი!

## ექსკლუზივი ფაჩულიასგან

### კომენტარი

ნამატჩევს საინტერესო კომენტარი გააკეთა მილუოკელმა უკანახაზელმა კრის მიდლტონმა:

- ზაზა დიდებული გახლდათ. იგი გუნდის ლიდერად მოგვევლინა და ჩვენთვის მეორე მწვრთნელი იყო... მოედნის მწვრთნელი. ფაჩულიამ დიდი მოცულობის სამუშაო შეასრულა როგორც დაცვაში, ასევე შეტევაში, ბურთსაც კარგად ათამაშებდა და თავისუფალ პარტნიორებს პასს წამითაც არ უგვიანებდა.

„მილუოკი ბაქსმა" ტრავმირებული **ზაზა ფაჩულიას** გარეშე 28 მატჩი ჩაატარა და მხოლოდ 5 მოიგო. ქართველი ცენტრი მოედანს დაუბრუნდა და მეორე შეხვედრაშივე გუნდს გამარჯვებისკენ გაუძღვა. ეს გადამეტებული ნათქვამი რომ არ არის, ვინც მატჩი იხილა, ისიც დაგვეთანხმება და თამაშის შემდგომი კომენტარებიც დაგვემოწმება.

### გადამწყვეტი

დავიწყოთ ბოლო წუთების დრამით: საფინალო სირენამდე 2:59 წუთი რჩებოდა, როცა მილუოკელთა მეფარე **ლარი სენდერსმა** მეხუთე ჯარიმა მიიღო და მის ნაცვლად მოედანს ფაჩულია დაუბრუნდა.

1:53-ით ადრე ზაზამ გვერდითი ხაზიდან შეტანილი ბურთი მიიღო, თავისუფალი პარტნიორი ვერ მოძებნა და თავად შევიდა მეტოქის ფარქვეშ - 94:92 მილუოკის" სასარგებლოდ.

0:49... **მიდლტონმა** საჯარიმოებით მასპინძელთა უპირატესობა ოთხამდე გაზარდა - 96:92.

0:44... ნიუიორკელმა **სმიტმა** სამქულიანით უპასუხა და 95:96.

0:27... საჯარიმოს სატყორცნი ხაზის გვერდით მდგომმა ფაჩულიამ ზურგს უკნიდან ფარული პასი გადააწოდა **ბრენდონ ნაითს** და სხვაობა სამამდე გაიზარდა (98:95). ამ მომენტში მატჩის კომენტატორი არა ნაითის ჩაგდებაზე, არამედ ფაჩულიაზე ალაპარაკდა - ცენტრისგან ასეთი ექსკლუზიური პასები იშვიათად თუ გვინახავსო.

0:19... იორკელმა **ენტონიმ** კიდევ ერთხელ დაგვარწმუნა თავის სნაიპერობაში: სამქულიანი... და კვლავ ფრე - 98:98.

0:02... მილუოკელმა ნაითმა დრო გაიყვანა და კარმელოს არ ჩამორჩა, მატჩის მომგები სამქულიანი ჩააგდო - 101:98.

0:00... გვერდიდან შეტანილი ბურთი კვლავ ენტონიმ მიიღო, თუმცა მასთან **ილიასოვას** გარდა ფაჩულიაც გაჩნდა და რგოლს საერთოდ ააცილა. „მილუოკიმ" სეზონში მეცხრე მატჩი მოიგო.

### ნოემბრის შემდეგ

14 ნოემბრის მერე ზაზა ფაჩულიამ პირველად გადალახა 10-ქულიანი ბარიერი. „ნიუ იორკთან" მან 18 წუთში 12 ქულა (9-დან 4 ორქულიანი, 4-დან 4 საჯარიმო), 7 მოხსნა, 2 პასი და ერთი ჩაჭრა მოაგროვა. პასივში თითო ფოლი-შეცდომა ჰქონდა.

მეოთხე პერიოდის დასაწყისში „მილუოკი" ქულებს სწრაფი შეტევებით აგროვებდა, რაც უმთავრესად მხტუნავი ბერძენის, 19 წლის **იანის ანტეტეკოუნმპოს** დამსახურება იყო. მან მატჩი 15 ქულით დაასრულა. ბომბარდირი და გმირი კი ერთი კაცი იყო, ბრენდონ ნაითი - 25 ქულა.

### შეფასებები

გამოცემა ESPN-ზე „მილუოკის" ყველა კალათბურთელია შეფასებული. ზაზა ფაჩულიას B პლუსით უწერია. A (ოღონდ მინუსით) მხოლოდ ორმა მილუოკელმა დაიმსახურა - მიდლტონმა და ნაითმა.

აი, რა წერია ფაჩულიას დახასიათებაში: „ანტეტეკოუნმპო და ნაითი ფაჩულიას უნდა უმადლოდნენ, რომელმაც გუნდი საბრძოლო იმტაზე დააბრუნა. ზაზას ფიზიკური მონაცემების წყალობით „ბაქსმა" „ნიუ იორკს" ფარქვეშ არაფერი დაუთმო და **ტაისონ ჩენდლერის** გარჯაც ქარს გაატანა".

კიდევ უფრო საინტერესოა იანისის (B პლუსით) დახასიათება: *„ბოლო პერიოდში „მილუოკი" 10 ქულით რომ დაწინაურდა ამტეტეკოუნმპოს დამსახურება იყო, თუმცა მას დიდად დაეხმარნენ ფაჩულია და ილიასოვა. ისინი ახალგაზრდა ბერძენს პასებს არ უგვიანებდნენ. შეიძლება ითქვას, „ბაქსის" არც ერთი კალათბურთელი ისე არ ცდილობდა თავისუფალ პოზიციაში მყოფი ანტეტეკოუნმპო მოეძებნა, როგორც ფაჩულია. NBA-ს დებიუტანტს კი სწორედ პასი სჭირდება."*

### დრომ იმატა

„ჩიკაგო ბულსის" შემადგენლობაში მეორე თამაში ჩაატარა **თორნიკე შენგელიამ.** იგი მწვრთნელმა „საკრამენტო კინგსთან" შეხვედრის ბოლო სამი წუთი ათამაშა. ერთადერთი, რაც თოკომ მოასწრო, ფარქვეშ ერთი ტრიალით შესვლა იყო, თუმცა მსაჯებმა გარბენი დააფიქსირეს.

„ჩიკაგომ" კი „მეფეებთან" დიდი სხვაობით წააგო - 70:99.

**ვაჟა სიმონიშვილი**

● 16-წლამდელთა ნაკრები

# მოგება-ნაგება

### მარცხი გერმანიასთან

საქართველოს 16-წლამდელთა ნაკრებმა თურქეთში მიმდინარე საერთაშორისო ტურნირზე მეორე მატჩი გერმანიის ნაკრებთან წააგო. **გია კაზანჯიანის** გაწვრთნილმა გუნდმა შეხვედრა დიდი სხვაობით - 30:71 დათმო.

გერმანიამ პირველ ტურში სლოვენია გაანადგურა, დღეს კი სლოვენიელებმა შვედეთს შანსი არ დაუტოვეს. საქართველოს ნაკრებში ყველაზე მეტი - 10 ქულა დააგროვა **დავით აფხაზავამ,** 6-6 ქულა ჰქონდათ **ლადო ფურცხვანიძეს** და **ნიკა ლეონიძეს,** ხოლო **ლევან ბაბილოძემ, ლუკა ბულაშვილმა** და **ნიკოლოზ ლილიშვილმა** 2-2 ქულა მიითვალეს. თითო ქულა კი **საბა აკობიას** და **ნიკოლოზ დარბაიძის** ანგარიშზეა.

საქართველოს ნაკრები ჯგუფიდან ველარ გავა. ბოლო ტურის მატჩს კი ქართველები 4 თებერვალს, სლოვენიასთან გამართავენ, რის შემდეგაც სხვა ჯგუფებში ჩარჩენილ გუნდებთან ერთად ბრძოლას 9-16 ადგილებისთვის განაგრძობენ.

### სლოვენია მოვიტოვეთ

წინა ტურში გერმანიასთან დამარცხების შემდეგ ქართველმა კადეტებმა ძალების მობილიზება მოახერხეს და სლოვენიელებს ოთხი ქულის სხვაობით მოუგეს.

**გია კაზანჯიანის** გაწვრთნილმა ქართველებმა საწყისი 2 ნაგების შემდეგ მეტად საჭირო გამარჯვება მოიპოვეს - 85:81.

საქართველოს მსგავსად სლოვენიელებმა ჯგუფის პირველი 2 შეხვედრა დათმეს. დღევანდელ მატჩში კი გამარჯვებასთან ახლოს იყვნენ, მაგრამ ქართველებმა არ დაანებეს. კაზანჯიანის გუნდმა შესაშური ბრძოლისუნარიანობა გამოავლინა. მესამე მეოთხედის დასრულებამდე 3 წუთით ადრე სლოვენიელები 62:40 იგებდნენ და ალბათ, ვერ წარმოიდგენდნენ, თუ მეოთხე პერიოდში ყველაფერი მათ საწინააღმდეგოდ შეტრიალდებოდა.

ქართველები წაგებას არ შეეგუვნენ და ბოლომდე იბრძოლეს. მესამე მეოთხედის დასრულებამდე **ლადო ფურცხვანიძის, საბა აკობიას, გიორგი გვიანიძის** და **გიორგი ცხოვრებოვის** შედეგიანობით ჩამორჩენა 9 ქულამდე შეამცირეს - 56:65. გადამწყვეტ მეოთხედში ქართველებმა ასევე განაგრძეს და მატჩის დასრულებამდე 4:30 წუთით ადრე ანგარიში გაათანაბრეს - 73:73. ქართველების თამაშით თავბრუდახვეულმა სლოვენიელებმა ერთი კი გაიბრძოლეს, მაგრამ საბოლოოდ ვერას გახდნენ.

ქართველებში 16 ქულითა და 12 მოხსნით ლადო ფურცხვანიძე გამოირჩა. 17 ქულით კი ბომბარდირი საბა აკობია გახდა. 10-10 ქულა მიითვალეს ლუკა ბულაშვილმა და ლევან ბაბილოძემ.

საქართველოს ნაკრები ჯგუფში მესამე ადგილზე გავიდა, რაც იმას ნიშნავს, რომ ბრძოლას 9-16 ადგილებისთვის განაგრძობს. 6 თებერვალს კაზანჯიანის გუნდი ბოსნიას დაუპირისპირდება.

**სლოვენია-საქართველო 81:85**

**20:14, 25:17, 20:25, 16:29**

**საქართველო:** დარბაიძე (7ქ, 5მ), ლოლიშვილი, ცხოვრებოვი (2), ფურცხვანიძე (16ქ, 12მ), აკობია (17ქ, 5მ), ლეონიძე (3), დოლიძე (2), გვიანიძე (8), თვალაბეიშვილი (4), ბულაშვილი (10), აფხაზავა (6ქ, 6პ), ბაბილოძე (10).

www.gbf.ge






● ტრანსფერები



ბურთით თამაზ მჭედლიძე

# მჭედლიძე აჟენში, კავთიძე ბურგ ან ბრესში

**საფრანგეთის სარაგბო ჩემპიონატის დასრულებამდე ჯერ კიდევ დიდი დრო დარჩა. თუმცა, კლუბები უკვე აქედანვე, წინდაწინ იჭერენ თადარიგს. ახლახან ცნობილი გახდა, რომ ელიტური, მეორე დივიზიონის ერთ-ერთმა ლიდერმა „აჟენმა" საქართველოს ნაკრების გარემარბ თამაზ მჭედლიძეს სამწლიანი კონტრაქტი გაუფორმა.**

„აჟენი" მეორე დივიზიონში მეორე ადგილზეა და დიდი შანსია, რომ მომავალ სეზონში პირველ დივიზიონში ითამაშოს. შეგახსენებთ, რომ ამ გუნდში უკვე თამაშობს ქართველი შერკინების ბურჯი **ტარიელ რატიანიძე.** „აჟენისთვის" ქართველი მოთამაშეები უცხონი არ არიან. აქვე ირჯებოდნენ საქართველოს ნაკრების წევრები **ანტონ ფეიქრიშვილი** და **ირაკლი მაჩხანელი.**

მეორე დივიზიონის ლიდერმა „ლიონმა" კი, შერკინების ქართველი ბურჯი **გურამ კავთიძე** ამავე დივიზიონის ერთ-ერთ აუტსაიდერ „ბურგ ან ბრესში" გაანათხოვრა. კავთიძეს იშვიათად უწევდა ლიონელთა ძირითად შემადგენლობაში ასპარეზობა და ამიტომ, სათამაშო პრაქტიკის მისაღებად ეს გუნდი, სადაც სამი ქართველი მორაგბე, **მერაბ შარიქაძე, თამაზ მჭედლიძე** და **გიორგი სულუაშვილი** თამაშობენ, კარგი ვარიანტია.

ამრიგად, დღესდღეობით ელიტაში მოთამაშე ჩვენს ლეგიონერებში ასეთი მდგომარეობაა: **დავით ზირაქაშვილმა** „კლერმონთან", **ლევან ჩილაჩავამ** „ტულონთან" და **ვასილ კაკოვინმა** „ტულუზთან" სამ-სამი წლით გაახანგრძლივეს კონტრაქტები. **მამუკა გორგოძე** „მონპელიედან" „ტულონში" გადაბარგდება. **ანტონ ფეიქრიშვილი** საფრანგეთის ჩემპიონის, „კასტრის", რიგებს დატოვებს და პარიზულ „მეტრო რასინგს" მიაშურებს. ორივემ სამწლიანი კონტრაქტი გააფორმა.

**გოდერძი შველიძემ** პირველი დივიზიონის „ბრივთან", ხოლო **ლექსო ყაულაშვილმა** მეორე დივიზიონის „ლა როშელთან" ორწლიანი ხელშეკრულება გააფორმეს. ამასთან ერთად, მოქმედი კონტრაქტები აქვთ: **გიორგი ჟღენტს** „პერპინიანთან" 2017 წლამდე, ხოლო **დავით ხინჩაგიშვილს** „მეტრო რასინგთან", **მიხეილ ნარიაშვილს** „მონპელიესთან", **კარლენ ასეიშვილს** „ბრივთან", **დავით ქუბრიაშვილისა** და **ზურაბ ჟვანიას** „სტად ფრანსესთან" 2016 წლამდე.

ჯერ კიდევ დაუდგენელია, რომელ გუნდში განაგრძობენ კარიერას საქართველოს ნაკრების წევრები, **ვიქტორ კოლელიშვილი** (ლიონი), **დიმიტრი ბასილაია** (ედინბურგი) და **მერაბ შარიქაძე** (ბურგ ან ბრესი). კოლელიშვილი წლევანდელი სეზონის დასაწყისში „ლიონში" „კლერმონმა" გაანათხოვრა და, სავარაუდოდ, მომავალი სეზონიდან ის ისევ „ვულკანების" კვართს მოირგებს. ბასილაიას „ედინბურგთან" კონტრაქტი წლეულს უმთავრდება და დარჩება თუ არა ამ გუნდში, მას შემდეგ გადაწყდება, როცა ეროვნული ნაკრებიდან შოტლანდიაში დაბრუნდება. იმედი გვაქვს, რომ ქართული რაგბის ამომავალი ვარსკვლავი (და არა მარტო ქართულის) მერაბ შარიქაძე „ბურგ ან ბრესს" დატოვებს და გაცილებით მაღალი დონის კლუბში განაგრძობს კარიერას. ჯერჯერობით, რაიმე კონკრეტული გუნდის დასახელება ჭირს. თუმცა, როგორც მერაბმა ჩვენთან ერთ-ერთ ინტერვიუში განაცხადა, მისი მენეჯერი უკვე მუშაობს რამდენიმე სასურველ ვარიანტზე.

**საფრანგეთი**

**I დივიზიონი**

**დავით ზირაქაშვილი (კლერმონი), ანტონ ფეიქრიშვილი, დავით ხინჩაგიშვილი (ორივე-მეტრო რასინგი), მამუკა გორგოძე, ლევან ჩილაჩავა, კონსტანტინე მიქაუტაძე (სამივე-ტულონი), დავით ქუბრიაშვილი, ზურაბ ჟვანია (ორივე-სტად ფრანსე), მიხეილ ნარიაშვილი, ლაშა ლომიძე, გაგი ბაზაძე (სამივე-მონპელიე), გიორგი ჟღენტი (პერპინიანი), ვასილ კაკოვინი, ჯაბა ბრეგვაძე (ორივე-ტულუზი), ზაზა ნავროზაშვილი (ბორდო), გოდერძი შველიძე, კარლენ ასეიშვილი (ორივე-ბრივი).**

**II დივიზიონი**

**ვიქტორ კოლელიშვილი (ლიონი), კახაბერ კობერიძე, ალექსანდრე თოდუა, ვახტანგ მაისურაძე, ვახტანგ ახობაძე, გიორგი თეთრაშვილი, ხვიჩა ბუჯიაშვილი (ყველა-ალბი), ირაკლი მირცხულავა, გიორგი ნემსაძე, გიორგი ჩხაიძე (სამივე-ტარბი). ლევან დათუნაშვილი, გიორგი ნაცარაშვილი (ორივე-ორიაკი), ტარიელ რატიანიძე, თამაზ მჭედლიძე, (ორივე-აჟენი), ბექა შეყლაშვილი (ბეზიე). თორნიკე ლომიძე (ოში), მერაბ შარიქაძე და გიორგი სულუაშვილი, გურამ კავთიძე (სამივე-ბურგ ან ბრესი), ლექსო ყაულაშვილი (ლა როშელი).**

● ერთა თასი. ისტორია

# მუხის ფოთლები მძლავრად აშრიალდნენ

*„მატჩი, როგორც მოსალოდნელი იყო, დაძაბული გამოდგა და უშეღავათო ბრძოლაში წარიმართა. მასპინძლები ბრძოლისთვის ყოველმხრივ მომზადებულნი იყვნენ. „სტეუარის" შანსი ჰქონდა, საკუთარ მოედანზე საქართველოს ნაკრებთან სამმატჩიანი წარუმატებელი სერია შეეწყვიტა და ერთა თასს დაუფლებოდა. ამის გარდა, გამარჯვებული „ანთიმოზ ივერიელის" თასსაც დაისაკუთრებდა და 2015 წლის მსოფლიოს თასის გათამაშებას კიდევ უფრო მეტად დაუახლოვდებოდა.*

*ერთი სიტყვით, ყოველივე ზემოთქმულიდან ნათლად ჩანს, რამდენად დიდი იყო ამ მატჩის მნიშვნელობა. გამარჯვებულს ყველაფერი, დამარცხებულს კი არაფერი რჩებოდა. ფრე ასეთ შემთხვევაში მასპინძლებისთვის ოდნავი ნუგეში იყო, რადგან მარცხს ყველა შემთხვევაში სჯობდა, თუმცა ორივე თასი საქართველოს ნაკრებს დარჩა. მსოფლიოს თასის გათამაშებასთანაც უფრო ახლოს ჩვენი გუნდია, რადგან ორივე კონკურენტს, რუმინეთისა და რუსეთის ნაკრებებს, „ბორჯღალოსნები" მომავალ წელს თბილისში მიიღებენ."*



რუმინეთი-საქართველო 2013 წელი

ასე იწყებოდა „ლელოს" რეპორტაჟი შარშანდელ ერთა თასის გათამაშებაში ბუქარესტში გამართული საქართველოსა და რუმინეთის ნაკრებების მატჩის შესახებ. ის მატჩი ფრედ 9:9 დასრულდა. უნდა აღინიშნოს, რომ ფრე პირველად დაფიქსირდა ამ გუნდების მრავალწლიან დაპირისპირებაში.

რუმინელთა გუნდი წლევანდელ გათამაშებაში „ბორჯღალოსნების" ბოლო, მეხუთე მეტოქეა. „სტეუარის" 15 მარტს თბილისში ვუმასპინძლებთ და, სავარაუდოდ, ამ შეხვედრაში გადაწყდება ერთა თასის მფლობელიც და მსოფლიოს თასის გათამაშების შესარჩევ ტურნირში პირველ ადგილზე გასულიც.

მას შემდეგ, რაც „მუხის ფოთლების" სათავეში უელსელი სპეციალისტი **ლინ ჰოულსი** მივიდა, გუნდმა კრიზისი დასძლია. ახალი მწვრთნელი თამამად ენდობოდა ახალგაზრდა მორაგბეებს, ექსპერიმენტებისაც არ ეშინოდა და „სტეუარიმ" ნელ-ნელა თამაში დაალაგა. ვერ ვიტყვით, რომ უელსელმა მწვრთნელმა რუმინელებს უელსური სტილი ასწავლა. არა, პირიქით. მან აქცენტი არსებული პოტენციალის მაქსიმალურად გამოყენებაზე გააკეთა. შედეგად, „მუხის ფოთლების" შერკინება ახლა უკანა ხაზზე გაცილებით ძლიერია.

ცხადია, თამაშის ეს სტილი ერთა თასზე ჭრის. თუმცა, არც უფრო მაღალი დონის გუნდების დამარცხებისთვის გამოდგა ურიგო. ნოემბრის ტესტებზე რუმინელებმა კანადისა და ტონგას ნაკრებების დამარცხება შეძლეს. ფიჯისთან კი, ძალები აღარ ეყოთ და უშანსოდ დამარცხდნენ.

„სტეუარი" არჩეულ კურსს არც ამჟამად ღალატობს. ერთა თასის წლევანდელი გათამაშების პირველ ტურში რუმინეთის ნაკრებმა კლუჟში პორტუგალიის ეროვნულ გუნდს უმასპინძლა და 24:0 დაამარცხა.

ლინ ჰოულსის ნაკრებში ვერ მოხვდა წარმოშობით ქართველი შერკინების კვაჭი **ოთარ ტურაშვილი** (ფარული), რომელიც რუმინული პრესის აღიარებით ერთ-ერთი საუკეთესო იყო ნოემბრის ტესტებზე. საფრანგეთის ჩემპიონატის ერთ-ერთ ტურში დაშავდა და ნაკრებს ვერაფრით დაეხმარება მეორეხაზელი **ვალენტინ ურსაკე** (ოიონაქსი). განაცხადში ვერ მოხვდნენ ასევე **პეტრუ ტამბა, კონსტანტინ პრისტავიტა** და ვეტერანი **ოვიდიუ ტონიცა.**

მეორე ტურის მატჩს რუმინელები 8 მარტს სტუმრად გამართავენ რუსეთის ეროვნულ გუნდთან. თამაში კრასნოდარში გაიმართება. რუსები ამ მატჩში გამარჯვების შემთხვევაში მსოფლიოს თასისკენ დიდ ნაბიჯს გადადგამენ.

**რუმინეთი-საქართველო 9:9**

**რუმინეთი** (15-9) ფერკუ, აპსოტოლი (ნიაკშუ 71), დესკალუ (გალი 47), ვლაიკუ, მატეი, დიმოფტე, სურუჯუ. (1-8) ლაზარი (პუნეგა 74), რადოი (კაპატანა 71), იონი (ა. ურსაკე 50), ურსაკე, სირბე (კოსტე 63), ლუკაჩი (მიტუ 76), მაკოვეი, კარპო.

**პს:** ვლაიკუ.

**სინბინი:** ვლაიკუ.

**საქართველო** (15-9) ხმალაძე, მჭედლიძე, ზიბზიბაძე, შარიქაძე (კაჭარავა 19), მაჩხანელი, კვირიკაშვილი, ბეგაძე (ხუციშვილი 76). (1-8) კაკოვინი (ჟვანია 68), ბრეგვაძე (ნატრიაშვილი 49), ზირაქაშვილი (ქუბრიაშვილი 49), ჩხაიძე (დათუნაშვილი 50), მიქაუტაძე (სუთიაშვილი 54), კოლელიშვილი, გორგოძე, ბასილაია.

**პს:** კვირიკაშვილი

**სინბინი:** სუთიაშვილი.

**მსაჯი:** იან დევისი (უელსი)

## რუმინეთის ნაკრები ამჟამად

**შერკინება:** პაულიკა იონი (პერპინიანი), მიჰაიტა ლაზარი, ვლად ნისტორი (ორივე-კასტრი), ანდრეი ურსაკე (კარკასონი), ჰორაციუ პუნგეა (ჰლანეჰლი), ანდრეი რადოი (ეალინგ ტრაილფრინდელსი), ფლორინ ბარდასუ (ბაია მარე), ეუგენ კაპატანა, ვალენტინ პოპირლანი, სტელიან ბურეა (სამივე-ტიმიშოარა), მარიუს სირბე (ტარბი), ალინ კოსტე (ბურგ ან ბრესი), კრისტიან მუნტეანუ (უესერპე), მიჰაი მაკოვეი (სენ ნაზერი), ვიორელ ლუკაჩი (სტიაუა), ალექსანდრუ მიტუ (ბუქარესტი).

**უკანა ხაზი:** ფლორინ სურუჯუ (ბუქარესტი), კიპრიან კაპლესკუ, ფლორინ ვლაიკუ, ადრიან აპოსტოლი, კლაუდიუ ნეაგუ (ფარული), გეორგ ოპრეა, ჩაბა გალი, კრისტიან დინისი (ბაია მარე), ვალენტინ კალაფეტეანუ, მადალინ ლემნარუ, კატალინ ფერკუ (ტიმიშოარა), ფლორინ იონიცა, იონუც დუმიტრუ (სტიაუა), დორინ მანოლე (ორტეზი).

**ერთა თასი**

**სატურნირო მდგომარეობა**

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. საქართველო | 1 | 1 | 0 | 0 | +35 | 5 |
| 2. რუმინეთი | 1 | 1 | 0 | 0 | +24 | 4 |
| 3. რუსეთი | 1 | 1 | 0 | 0 | +3 | 4 |
| 4. ესპანეთი | 1 | 0 | 0 | 1 | -3 | 1 |
| 5. პორტუგალია | 1 | 0 | 0 | 1 | -24 | 0 |
| 6. ბელგია | 1 | 0 | 0 | 1 | -35 | 0 |

**მსოფლიოს თასის შესარჩევი**

**სატურნირო მდგომარეობა**

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. საქართველო | 6 | 5 | 1 | 0 | +109 | 24 |
| 2. რუმინეთი | 6 | 5 | 1 | 0 | +73 | 23 |
| 3. რუსეთი | 6 | 4 | 0 | 2 | -3 | 18 |
| 4. პორტუგალია | 6 | 1 | 1 | 4 | -45 | 7 |
| 5. ესპანეთი | 6 | 0 | 2 | 4 | -60 | 6 |
| 6. ბელგია | 6 | 0 | 1 | 5 | -74 | 5 |

**II ტური**

**8 თებერვალი**

პორტუგალია-საქართველო
რუსეთი-რუმინეთი
ესპანეთი-ბელგია

გვერდი მოამზადა
**ბესიკ ჯანგავაძემ**



ბორჯღალოსნების ზეიმი ბუქარესტში

ეროვნული ბიბლიოთეკა

კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი




# კვირის საუკეთესოები

"ტორონტო რეპტორზისა" და „ფინიქს სანზის" გამთამაშებლები - **კაილ ლოური** და **გორან დრაგიჩი** გასული კვირის საუკეთესო მოთამაშეებად დაასახელეს.

აღმოსავლეთი კონფერენციის ლაურეატი ლოური თავის გუნდს ოთხიდან სამი მატჩის მოგებაში დაეხმარა და ამ შეხვედრებში საშუალოდ 25.0 ქულას, 8.0 შედეგიან გადაცემასა და 2.3 ჩაჭრას აგროვებდა. ლოურიმ კარიერაში პირველად ჩაატარა ზედიზედ ორი „30-ქულიანი" მატჩი, გარდა ამისა, გასულ კვირას მან 16 სამქულიანი მოათავსა კალათში.

დრაგიჩის კარგი თამაშის წყალობით, "ფინიქსმა" გასულ კვირას ოთხიდან ოთხი მატჩი მოიგო. ამ შეხვედრებში მისი მონაგარი იყო 26.8 ქულა (თამაშიდან ტყორცნების სიზუსტე - 63.9 პროცენტი). სლოვენიელმა ყველა შეხვედრაში მინიმუმ 20 ქულა დააგროვა და სამქულიანები 69.2 პროცენტის სიზუსტით შეასრულა.

### ლოურის კვირა

**27 იანვარი. ბრუკლინი-ტორონტო 103:104.** 31 ქულა, 5 მოხსნა, 7 პასი.

**29 იანვარი. ტორონტო-ორლანდო 98:83.** 33 ქულა, 11 პასი.

**1 თებერვალი. პორტლენდი-ტორონტო 106:103.** 23 ქულა, 8 პასი, 2 ჩაჭრა.

### დრაგიჩის კვირა

**29 იანვარი. მილუოკი-ფინიქსი 117:126.** 30 ქულა, 4 მოხსნა, 6 პასი.

**30 იანვარი. ინდიანა-ფინიქსი 94:102.** 28 ქულა, 3 მოხსნა, 7 პასი.

**1 თებერვალი. ფინიქსი-შარლოტი 105:95.** 25 ქულა, 5 მოხსნა, 4 პასი.

კვირის მოთამაშის სტატუსზე შემდეგი მოთამაშეები აცხადებდნენ პრეტენზიას: **ელ ჯეფერსონი** („შარლოტი"), **ჯერემი ლინი** („ჰიუსტონი"), **როი ჰიბერტი** ("ინდიანა"), **სტივენ კარი** („გოლდენ სტეიტი"), **ზაკ რენდოლფი** ("მემფისი"), **ლებრონ ჯეიმსი** ("მაიამი"), **კევინ ლავი** ("მინესოტა"), **კევინ დურანტი** ("ოკლაჰომა") და **ჯონ უოლი** („ვაშინგტონი").

| აღმოსავლეთი | თ | მ | წ | % |
|---|---|---|---|---|
| 1. ინდიანა | 47 | 37 | 10 | 78.7 |
| 2. მაიამი | 47 | 34 | 13 | 72.3 |
| 3. ატლანტა | 46 | 25 | 21 | 54.3 |
| 4. ტორონტო | 48 | 26 | 22 | 54.2 |
| 5. ვაშინგტონი | 47 | 24 | 23 | 51.1 |
| 6. ჩიკაგო | 47 | 23 | 24 | 48.9 |
| 7. ბრუკლინი | 46 | 21 | 25 | 45.7 |
| 8. შარლოტი | 49 | 21 | 28 | 42.9 |
| 9. დეტროიტი | 47 | 19 | 28 | 40.4 |
| 10. ნიუ იორკი | 48 | 19 | 29 | 39.6 |
| 11. კლივლენდი | 48 | 16 | 32 | 33.3 |
| 12. ბოსტონი | 49 | 16 | 33 | 32.7 |
| 13. ფილადელფია | 49 | 15 | 34 | 30.6 |
| 14. ორლანდო | 50 | 13 | 37 | 26.0 |
| 15. მილუოკი | 48 | 9 | 39 | 18.8 |

| დასავლეთი | თ | მ | წ | % |
|---|---|---|---|---|
| 1. ოკლაჰომა | 50 | 39 | 11 | 78.0 |
| 2. სან ანტონიო | 48 | 35 | 13 | 72.9 |
| 3. პორტლენდი | 48 | 34 | 14 | 70.8 |
| 4. კლიპერსი | 51 | 34 | 17 | 66.7 |
| 5. ჰიუსტონი | 49 | 32 | 17 | 65.3 |
| 6. ფინიქსი | 47 | 29 | 18 | 61.7 |
| 7. გ. სტეიტი | 48 | 29 | 19 | 60.4 |
| 8. დალასი | 49 | 28 | 21 | 57.1 |
| 9. მემფისი | 47 | 26 | 21 | 55.3 |
| 10. დენვერი | 46 | 23 | 23 | 50.0 |
| 11. მინესოტა | 47 | 23 | 24 | 48.9 |
| 12. ნიუ ორლეანი | 47 | 20 | 27 | 42.6 |
| 13. ლეიკერსი | 47 | 16 | 31 | 34.0 |
| 14. იუტა | 48 | 16 | 32 | 33.3 |
| 15. საკრამენტო | 48 | 16 | 32 | 33.3 |

| ქულები | |
|---|---|
| კევინ დურანტი (ოკლ) | 31.1 |
| კარმელო ენტონი (აილ) | 27.3 |
| ლებრონ ჯეიმსი (მაი) | 26.2 |
| კევინ ლავი (მინ) | 25.5 |
| სტივენ კარი (გ. სტე) | 24.5 |
| ლამარკუს ოლდრიჯი (პორ) | 24.3 |
| ჯეიმს ჰარდენი (ჰიუ) | 23.8 |
| ბლეიკ გრიფინი (კლი) | 23.3 |
| პოლ ჯორჯი (ინდ) | 22.8 |
| დემარკუს კაზინსი (საკ) | 22.6 |

| მოხსნები | |
|---|---|
| დეანდრე ჯორდანი (კლი) | 14.0 |
| კევინ ლავი (მინ) | 13.1 |
| ანდრე დრამონდი (დეტ) | 12.7 |
| დუაიტ ჰოვარდი (ჰიუ) | 12.3 |
| დემარკუს კაზინსი (საკ) | 11.7 |
| ლამარკუს ოლდრიჯი (პორ) | 11.6 |
| ჟოაკიმ ნოა (ჩიკ) | 11.3 |
| ზაკ რენდოლფი (მემ) | 10.7 |
| ენდრიუ ბოგუტი (გ. სტე) | 10.6 |

| პასები | |
|---|---|
| კრის პოლი (კლი) | 11.2 |
| სტივენ კარი (გ. სტე) | 9.0 |
| ტაი ლოუსონი (დენ) | 8.8 |
| ჯონ უოლი (ვაშ) | 8.5 |
| რიკი რუბიო (მინ) | 8.2 |
| ბრენდონ.ჯენინგსი (დეტ) | 8.0 |
| ჯრიუ ჰოლიდეი (ნ-ორლ) | 7.9 |
| კაილ ლოური (ტორ) | 7.5 |
| ჯეფ ტიგი (ატლ) | 7.3 |

| ჩაჭრები | |
|---|---|
| რიკი რუბიო (მინ) | 2.6 |
| ტადეუს იანგი (ფილ) | 2.2 |
| ჯონ უოლი (ვაშ) | 2.0 |
| პოლ მილსეპი (ატლ) | 1.8 |
| მონტა ელისი (დალ) | 1.8 |
| ტრევორ არიზა (ვაშ) | 1.8 |
| მარიო ჩელმერსი (მაი) | 1.8 |
| პოლ ჯორჯი (ინდ) | 1.8 |
| სტივენ კარი (გ. სტე) | 1.8 |

| დაფარებები | |
|---|---|
| ენტონი დევისი (ნ-ორლ) | 3.4 |
| როი ჰიბერტი (ინდ) | 2.5 |
| სერჟ იბაკა (ოკლ) | 2.5 |
| დეანდრე ჯორდანი (კლი) | 2.4 |
| ჯონ ჰენსონი (მილ) | 2.2 |
| ტიმ დანკანი (ს-ანტ) | 2.1 |
| ენდრიუ ბოგუტი (გ. სტე) | 2.0 |
| ანდრე დრამონდი (დეტ) | 1.9 |
| დუაიტ ჰოვარდი (ჰიუ) | 1.8 |
| მარცინ გორტატი (ვაშ) | 1.6 |

# ვაშინგტონი ფავორიტებს დაერია

„ოკლაჰომა",რომელმაც შაბათს, ვაშინგტონში მოულოდნელად შეწყვიტა 10-მატჩიანი მოგებათა სერია, მორიგ წრეზე წავიდა. როგორც ჩანს, ამ გუნდის ლიდერი **კევინ დურანტიც** აპირებს „30-ქულიანი" მატჩების ახალი სერიის დაწყებას. „დურანტულას" 31-მა ქულამ, 8 მოხსნამ და 8 პასმა „მემფისს" არანაირი შანსი არ დაუტოვა „თანდერის" წინააღმდეგ. შევახსენებთ, რომ „მემფისი" ის გუნდია, რომელმაც შარშანდელი პლეი ოფის მეორე წრეში სენსაციურად გამოაგდო დურანტი და კომპანია.

მოკლედ, „ოკლაჰომას" დამაჯერებელი რევანში გამოუვიდა. დასავლეთ კონფერენციის ლიდერმა ზედიზედ მეშვიდე საშინაო მატჩი მოიგო, თანაც მეტოქეს მხოლოდ 77 ქულა დააგროვებინა. „მემფისი" ახლა პლეი ოფის ზონაში შესასვლელად იბრძვის და ეს წაგება მეორე იყო მისთვის ბოლო 13 შეხვედრაში. ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ სტუმრების რიგებში ტრავმის გამო ძირითადი გამთამაშებელი **მაიკ კონლი** არ თამაშობდა.

■ ■ ■

ამასობაში, „ვაშინგტონმა" „ოკლაჰომას" ძლევის შემდეგ, დასავლეთის კიდევ ერთ ფავორიტს - „პორტლენდს" მოუგო, რითაც მოგება-წაგების 50-პროცენტიან მაჩვენებელს გადააჭარბა, რაც 2009 წლის 31 ოქტომბრის შემდეგ არ მომხდარა. ამ პერიოდში, „უიზარდსმა" მოიგო 120 და წააგო 236 შეხვედრა. თუ ასე გააგრძელა, დედაქალაქური კლუბი ბოლო ექვს წელიწადში პირველად მოხვდება პლეი ოფში.

„ინდიანას" განსაკუთრებული არაფერი უჩვენებია „ორლანდოს" წინააღმდეგ მატჩში. პირველ ტაიმში მეტოქეს 50-პროცენტიანი სიზუსტით ასროლინა და 50 ქულა დააგროვებინა, მაგრამ შესვენების შემდეგ, საფირმო სტილში „მოახრჩო" „მეჯიქი". შედეგად, სტუმრებს მეორე ტაიმში 29 ქულითა და 28-პროცენტიანი რეალიზაციით შანსი არ ჰქონდათ.

„ბრუკლინმა" შეწყვიტა სამმატჩიანი წაგებათა სერია. „ფილადელფიასთან" მოგება რამდენიმე ფაქტორმა განსაზღვრა: **პოლ პირსის** 25 ქულა, **შონ ლივინგსტონის** 7 ჩაჭრა, **კევინ გარნეტის** 5 დაფარება (ვეტერანს კარიერაში 2 ათასზე მეტი ბლოკი დაუგროვდა), მეტოქის 26 (!) შეცდომა და **მირზა ტელეტოვიჩის** 5 ზუსტი სამქულიანი. თუმცა „სიქსერზისთვის" ასეთი კატასტროფული ციფრების მიუხედავად, მას მაინც შეეძლო ბოლოს გამარჯვების მოპოვება, მაგრამ არ გაუმართლა.

არც ისე იოლი აღმოჩნდა „მაიამისთვის" „დეტროიტთან" საშინაო შეხვედრა, თუმცა **ლებრონ ჯეიმსის** გუნდი მთელი მატჩის განმავლობაში ერთ ქულაზე მეტით ჩამორჩენილი არ ყოფილა. ლებრონის გარდა, ბრწყინვალე თამაში აჩვენა **დუეინ უეიდმა**, რომელმაც 30 ქულას 10 მოხსნა დაუმატა. სწორედ ამის წყალობით გახდა შესაძლებელი 21 შეცდომის ნიველირება. „პისტონზს" ისღა დარჩენოდა, კაპიტულაცია გამოეცხადებინა, მიუხედავად იმისა, რომ ბოლომდე იბრძოლა.

შარშანდელმა ფინალისტმა „სან ანტონიომ" კი გამონახა ძალები „ნიუ ორლეანთან" გასვლით მატჩში 14-ქულიანი ჩამორჩენის გასაბათილებლად. ვეტერანების დუეტმა **ტიმ დანკანისა** და **ტონი პარკერის** შემადგენლობით, მეორე ნახევარში 37 ქულა დააგროვა და გადაწყვიტა კიდეც მატჩის ბედი. ტეხასელებმა ზედიზედ მეოთხედ და ბოლო 10 მატჩში მეცხრედ აჯობეს ლუიზიანელებს.

„დალასმა" ამ სეზონში ცხრიდან რვა მატჩი მოიგო მაშინ, როცა მისმა ექვსმა მოთამაშემ დააგროვა მინიმუმ 10 ქულა. **კაირი ირვინგის** მონდომების მიუხედავად, მასპინძლები უბრალოდ ყველა კომპონენტში ჯობდნენ „კლივლენდს". **დირკ ნოვიცკიმ** ისევ გაიხსენა ახალგაზრდობა და ტეხასელთა გუნდში ყველაზე შედეგიანი გახდა.

სასწაულის მოწმენი გახდნენ დენვერელი გულშემატკივრები. მასპინძლების ბოლო შეტევაში ბურთი **რენდი ფოიემ** მიიღო: ორქულიანი ჩამორჩენის ლიკვიდირება მხოლოდ შორეული ტყორცნით შეიძლებოდა, რადგან ფარქვეშ შესვლისთვის დრო აღარ იყო. მცველს არც უფიქრია, ისე გაისროლა კალათისკენ 9 მეტრიდან და... ჩააგდო! გაოგნებულმა „კლიპერსმა" დამარცხებულმა დატოვა მოედანი.



რენდი ფოიეს ფანტასტიკური ნატყორცნი

### ინდიანა-ორლანდო 98:79

**29:22, 30:28, 16:13, 23:16**

**ი:** გრეინჯერი (16), სტივენსონი (15+12 მოხსნა), ჯორჯი (15), უოტსონი (12), სკოლა (10).

**ო:** აფლალო (20), ვუჩევიჩი (16+13 მოხსნა), ჰარისი (11), ოლადიპო (6+11 პასი).

### მილუოკი-ნიუ იორკი 101:98

**18:19, 32:24, 25:26, 26:29**

**მ:** ნაითი (25), მიდლტონი (19), ადეტოკუნბო (15), ილიასოვა (13), ფაჩულია (12), სანდერსი (8+11 მოხსნა).

**ნ-ი:** ენტონი (36), სმიტი (30), ტ. ჩენდლერი (7+10 მოხსნა).

### ვაშინგტონი-პორტლენდი 100:90

**32:29, 24:26, 26:14, 18:21**

**ვ:** უოლი (22), არიზა (20), სერაფინი (19), ბილი (13), ნენე (13), გორტატი (6+11 მოხსნა).

**პ:** ლილარდი (25), ოლდრიჯი (20+10 მოხსნა), ბატუმი (18), ლოპესი (12).

### ბრუკლინი-ფილადელფია 108:102

**24:16, 30:33, 30:20, 24:33**

**ბ:** პირსი (25), უილიამსი (21), ტელეტოვიჩი (20), ლივინგსტონი (13).

**ფ:** კარტერ-უილიამსი (21), როუტენი (18), ტ. იანგი (17); ანდერსონი (12).

### მაიამი-დეტროიტი 102:96

**32:29, 31:28, 21:23, 18:16**

**მ:** უეიდი (30+10 მოხსნა), ჯეიმსი (24+11 პასი), ბოში (17).

**დ:** ჯენინგსი (26), სტაკი (20), მონრო (17+11 მოხსნა), დრამონდი (12+12 მოხსნა), სმიტი (12).

### ნ. ორლეანი-სან ანტონიო 95:102

**27:25, 27:17, 22:22, 19:38**

**ნ-ო:** მოროუ (20), გორდონი (19), დევისი (17+16 მოხსნა), რივერსი (10), ტომასი (8+10 მოხსნა).

**ს-ა:** პარკერი (32), დანკანი (21), ბელინელი (13).

### ოკლაჰომა-მემფისი 86:77

**20:18, 31:18, 18:25, 17:16**

**ო:** დურანტი (31+8 მოხსნა+8 პასი), იბაკა (21+12 მოხსნა), ჯექსონი (12).

**მ:** რენდოლფი (13+13 მოხსნა), მ. გასოლი (13), ლი (11), მილერი (11).

### დალასი-კლივლენდი 124:107

**27:25, 32:27, 35:27, 30:28**

**დ:** ნოვიცკი (23), ელისი (22), დალემბერი (18), ჰარისი (16), რაიტი (14), კალდერონი (11+10 პასი).

**კ:** ირვინგი (27), დენგი (18), ტომპსონი (17), ჯეკი (12), ბენეტი (11), მაილზი (10), ვარეჟაო (10).

### დენვერი-კლიპერსი 116:115

**25:29, 35:31, 22:21, 34:34**

**დ:** ფარიდი (28+11 მოხსნა), ლოუსონი (27), ჰიქსონი (17+12 მოხსნა), ფოიე (14), უ. ჩენდლერი (14).

**კ:** გრიფინი (36+11 მოხსნა), ჯორდანი (19+12 მოხსნა), კროუფორდი (19), ბარნსი (10).

### იუტა-ტორონტო 79:94

**27:24, 17:31, 18:16, 17:23**

**ი:** მო უილიამსი (23), ბერკსი (20), კანტერი (10).

**ტ:** დეროზანი (23), ვალანჩუნასი (18), სალმონსი (13), ვასკესი (12), ჯონსონი (11+11 მოხსნა).

### საკრამენტო-ჩიკაგო 99:70

**24:12, 20:21, 27:24, 28:13**

**ს:** კაზინსი (25+16 მოხსნა), ტომასი (19), გეი (14), ფრედეტი (11).

**ჩ:** ბატლერი (17), სნელი (11), გიბსონი (11).

# მაკგრეიდი ბეისბოლისტი?

ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის ყოფილმა ვარსკვლავმა **ტრეისი მაკგრეიდიმ** გადაწყვიტა პროფესიონალი ბეისბოლისტი გახდეს. როგორც Sportando იუწყება, ტი-მაკი ბეისბოლის ერთ-ერთ დამოუკიდებელ ლიგაში პიტჩერად თამაშს აპირებს.

შეგახსენებთ, რომ 34 წლის მაკგრეიდიმ საკალათბურთო კარიერა გასულ ზაფხულს დაასრულა. კალათბურთელმა NBA-ში 15 წელი გაატარა და ასეთი საშუალო სტატისტიკა ჰქონდა - 19.6 ქულა, 5.6 მოხსნა და 4.4 შედეგიანი პასი. მან შვიდჯერ ითამაშა „ყველა ვარსკვლავის მატჩში" და ორჯერ გახდა ლიგის ყველაზე შედეგიანი კალათბურთელი.




# წილისყრა ესპანეთში

ესპანეთში გაიმართა მსოფლიოს 2014 წლის ჩემპიონატის ფინალური ეტაპის წილისყრა. 244 გუნდი ექვს ჯგუფში შემდეგნაირად გადანაწილდა:

**A ჯგუფი**

ესპანეთი
სერბეთი
საფრანგეთი
ბრაზილია
ეგვიპტე
ირანი

**B ჯგუფი**

საბერძნეთი
ხორვატია
არგენტინა
პუერტო რიკო
სენეგალი
ფილიპინები

**C ჯგუფი**

აშშ
თურქეთი
ფინეთი
უკრაინა
ზელანდია
დომინიკა

**D ჯგუფი**

ლიტვა
სლოვენია
ავსტრალია
ანგოლა
მექსიკა
კორეა

A ჯგუფის მატჩები გრანადაში გაიმართება, B ჯგუფის - სევილიაში, C ჯგუფის - ბილბაოში და D ჯგუფის - გრან კანარიაში.

თითო ჯგუფიდან 1/8 ფინალში ოთხ-ოთხი საუკეთესო ნაკრები გავა. მსოფლიოს ჩემპიონატი 30 აგვისტოს დაიწყება.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჰოკეი. NHL რეგულარული ჩემპიონატი

# კვირის სამი ვარსკვლავი

ჰოკეის ეროვნული ლიგის ხელმძღვანელობამ გასული კვირის პირველ ვარსკვლავად „მინესოტა უაილდის" ფორვარდი **ზაკ პარიზე** დაასახელა. აშშ-ის ოლიმპიური ნაკრების ახალმა კაპიტანმა 8 ქულა (3+5) დააგროვა და თავის გუნდს სამიდან ორი მატჩის მოგებაში დაეხმარა. ამ მომენტისთვის, პარიზეს ანგარიშზე 42 მატჩში 35 ქულა (18+17) მოდის.

კვირის მეორე ვარსკვლავი გახდა „ტორონტოს" თავდამსხმელი **ფილ კესელი**. მისი კარგი თამაშით „მეიპლ ლივზმა" ზედიზედ სამი მატჩი მოიგო და ატლანტიკის დივიზიონში მესამე ადგილზე გადაინაცვლა. კესელმა ამ სამ შეხვედრაში 7 ქულა (3+4) დააგროვა. მან განსაკუთრებით გამოიჩინა თავი „ოტავასთან" მატჩში, რომელშიც კარიერაში მეხუთე ჰეთ-თრიკი შეასრულა. კესელი, რომელიც ასევე ითამაშებს აშშ-ის ნაკრებში სოჭის ოლიმპიადაზე, ლიგის სნაიპერთა დავაში მეორე ადგილზეა **ალექს ოვეჩკინის** შემდეგ.

მესამე ვარსკვლავის სტატუსი ერგო „კალგარი ფლეიმზის" ფორვარდს **მიკაელ ბეკლუნდს**, რომელმაც სამ მატჩში 6 ქულა (4+2) მიითვალა.



ფილ კესელი

**ბაფალო-ედმონტონი 2:3**

2:1, 0:1, 0:1

**გოლები:** 0:1 პეტრი-4 (იაკუპოვი-11, პერონი-18), 1:1 ოტი-9 (მიერსი-10, ჰოჯსონი-16), 2:1 სტეფორდი-8 (გირგენსონსი-12, მ. უებერი-3), 2:2 შულცი-8 (პერონი-19, ფერენსი-9), 2:3 ჰენდრიქსი-4 (გორდონი-10, მარინცინი-2).

**პიტსბურგი-ოტავა 2:1 (ო)**

1:1, 0:0, 0:0, 1:0

**გოლები:** 0:1 და კოსტა-3 (კონაჩერი-14, კონდრა-7), 1:1 გიბონსი-3 (მაატა-16, ი. იოკინენი-25), 2:1 ჯ. ნილი-18 (ბორტუცო-5, მალკინი-39).

**დეტროიტი-ვანკუვერი 2:0**

0:0, 1:0, 1:0

**გოლები:** 1:0 აბდელკადერი-7 (ზეტერბერგი-32, ნიკუისტი-10), 2:0 აბდელკადერი-8 (კრონვალი-28).

**ნიუ ჯერსი-კოლორადო 1:2 (ო)**

1:0, 0:0, 0:1, 0:1

**გოლები:** 1:0 რ. კარტერი-5 (ბერნიე-7, ს. ჯონტა-5), 1:1 პარენტო-10 (ბერი-12, ლანდესკოგი-28), 1:2 რ. ო'რაილი-21 (დუშენი-31, მაკინონი-21).

**ანაჰაიმი-კოლამბუსი 2:4**

0:1, 0:1, 2:2

**გოლები:** 0:1 იოჰანსენი-23 (ჰორტონი-6, ჯენერი-8), 0:2 უმბერგერი-15 (ვისნიევსკი-29, ლეტესტუ-17), 1:2 მ. პერო-11 (მარუნი-9, სელიანე-13), 1:3 გ. ფოლინო-14 (უმბერგერი-15, ანისიმოვი-13), 1:4 ნ. ფოლინო-15 (ატკინსონი-15, ტიუტინი-20), 2:4 გეტცლაფი-27 (ლინდჰოლმი-14, პენერი-16).

**ლოს ანჯელესი-ჩიკაგო 3:5**

1:2, 1:1, 1:2

**გოლები:** 0:1 პ. კეინი-26 (ტეივზი-35, შარპი-28), 0:2 ბიკელი-8 (პ. კეინი-36, შოუ-12), 1:2 დაუტი-8 (ვოინოვი-19, კოპიტარი-28), 2:2 კოპიტარი-17 (ჯ. კარტერი-15, ტოფოლი-9), 2:3 კრუგერი-6 (ლედი-17, ბ. სმიტი-10), 2:4 ლედი-6 (მარიან ჰოსა-25, ვერსტიგი-19), 2:5 პ. კეინი-27 (შარპი-29, ტეივზი-36), 3:5 ტოფოლი-10 (ჯ. კარტერი-16, კოპიტარი-29).

**სან ხოსე-ფილადელფია 2:5**

2:1, 0:0, 0:4

**გოლები:** 0:1 შტრაიტი-7 (ჟირუ-36, პარტნელი-21), 1:1 ნიეტო-5 (უინგელსი-18, ირვინი-14), 2:1 ნიეტო-6 (ბერნსი-16, ჯ. ტორნტონი-48), 2:2 რიდი-15 (დაუნი-18, კუტურიე-17), 2:3 რაფლი-6 (გუსტაფსონი-8, ა. ჰოლი-2), 2:4 ჟირუ-18, 2:5 ვორაჩეკი-15 (ჟირუ-37, პარტნელი-22).

**აღმოსავლეთი**

**ატლანტიკი**

| | თ | მ | წ | ოწ | ქ |
|---|---|---|---|---|---|
| 1. ბოსტონი | 54 | 35 | 16 | 3 | 73 |
| 2. ტამპა ბეი | 55 | 32 | 18 | 5 | 69 |
| 3. ტორონტო | 57 | 30 | 21 | 6 | 66 |
| 4. მონრეალი | 56 | 29 | 21 | 6 | 64 |
| 5. დეტროიტი | 56 | 25 | 19 | 12 | 62 |
| 6. ოტავა | 56 | 24 | 21 | 11 | 59 |
| 7. ფლორიდა | 55 | 21 | 27 | 7 | 49 |
| 8. ბაფალო | 55 | 15 | 32 | 8 | 38 |

**მეტროპოლიტენი**

| | თ | მ | წ | ოწ | ქ |
|---|---|---|---|---|---|
| 1. პიტსბურგი | 56 | 39 | 15 | 2 | 80 |
| 2. რეინჯერსი | 56 | 30 | 23 | 3 | 63 |
| 3. კოლამბუსი | 56 | 29 | 23 | 4 | 62 |
| 4. ფილადელფია | 57 | 28 | 23 | 6 | 62 |
| 5. კაროლინა | 54 | 25 | 20 | 9 | 59 |
| 6. ვაშინგტონი | 56 | 25 | 22 | 9 | 59 |
| 7. ნიუ ჯერსი | 57 | 23 | 21 | 13 | 59 |
| 8. აილენდერსი | 57 | 21 | 28 | 8 | 50 |

**დასავლეთი**

**ცენტრალური**

| | თ | მ | წ | ოწ | ქ |
|---|---|---|---|---|---|
| 1. ჩიკაგო | 58 | 34 | 10 | 14 | 82 |
| 2. სტ. ლუისი | 54 | 37 | 12 | 5 | 79 |
| 3. კოლორადო | 55 | 36 | 14 | 5 | 77 |
| 4. მინესოტა | 57 | 29 | 21 | 7 | 65 |
| 5. დალასი | 55 | 25 | 21 | 9 | 59 |
| 6. ნეშვილი | 57 | 25 | 23 | 9 | 59 |
| 7. ვინიპეგი | 57 | 27 | 25 | 5 | 59 |

**პასიფიკი**

| | თ | მ | წ | ოწ | ქ |
|---|---|---|---|---|---|
| 1. ანაჰაიმი | 58 | 40 | 13 | 5 | 85 |
| 2. სან ხოსე | 57 | 35 | 16 | 6 | 76 |
| 3. ლოს ანჯელესი | 58 | 30 | 22 | 6 | 66 |
| 4. ვანკუვერი | 57 | 27 | 21 | 9 | 63 |
| 5. ფინიქსი | 55 | 26 | 19 | 10 | 62 |
| 6. კალგარი | 55 | 21 | 27 | 7 | 49 |
| 7. ედმონტონი | 58 | 19 | 33 | 6 | 44 |

*შენიშვნა:* პლეი ოფში თითო დივიზიონიდან სამ-სამი საუკეთესო გუნდი გადის. კიდევ ოთხ საგზურს თითო კონფერენციიდან უაილდ-ქარდის მფლობელი ორ-ორი გუნდი მიიღებს.

**ბომბარდირები**

| | |
|---|---|
| სიდნი კროსბი (პიტ) | 75 (27+48) |
| რაიან გეტცლაფი (ანა) | 64 (27+37) |
| ჯონ ტავარესი (აილ) | 64 (23+41) |
| პატრიკ კეინი (ჩიკ) | 63 (27+36) |
| ფილ კესელი- (ტორ) | 61 (30+31) |
| კორი პერი (ანა) | 59 (29+30) |
| ალექს ოვეჩკინი (ვაშ) | 58 (39+19) |
| კაილ ოკპოსო (აილ) | 58 (24+34) |
| პატრიკ შარპი (ჩიკ) | 57 (28+29) |
| ჯო ტორნტონი (ს-ხოს) | 56 (8+48) |

**გოლები**

| | |
|---|---|
| ალექს ოვეჩკინი (ვაშ) | 39 |
| ფილ კესელი (ტორ) | 30 |
| კორი პერი (ანა) | 29 |
| ჯო პაველსკი (ს-ხოს) | 29 |
| პატრიკ შარპი (ჩიკ) | 28 |
| რაიან გეტცლაფი (ანა) | 27 |
| ალექსანდრ სტინი (ს-ლუი) | 27 |
| სიდნი კროსბი (პიტ) | 27 |
| პატრიკ კეინი (ჩიკ) | 27 |
| კრის კუნიტცი (პიტ) | 27 |

**პასები**

| | |
|---|---|
| სიდნი კროსბი (პიტ) | 48 |
| ჯო ტორნტონი (ს-ხოს) | 48 |
| დანკან კიტი (ჩიკ) | 45 |
| ნიკლას ბექსტრიომი (ვაშ) | 42 |
| ჯონ ტავარესი (აილ) | 41 |
| ევგენი მალკინი (პიტ) | 39 |
| ერიკ კარლსონი (ოტა) | 38 |
| კლოდ ჟირუ (ფილ) | 37 |
| რაიან გეტცლაფი (ანა) | 37 |

გვერდი მოამზადა
გია **თვალაბეიშვილმა**

## ამბები

**ჰოკეი**

### სტემკოსი სოჭს უახლოვდება

კანადური ჰოკეის ერთ-ერთი მთავარი ვარსკვლავი **სტივენ სტემკოსი** სოჭის ოლიმპიადამდე აპირებს ყინულზე გასვლას. ფორვარდი გეგმავს შაბათს, „დეტროიტთან" რეგულარული ჩემპიონატის მატჩში თამაშს და ეს იქნება მისი გუნდისთვის - „ტამპა ბეისთვის" ბოლო შეხვედრა ოლიმპიადით გამოწვეულ პაუზამდე. ამ შეხვედრას სტემკოსი საკონტროლო მატჩად განიხილავს და გაარკვევს, რამდენად არის მზად ზამთრის თამაშებისთვის.

შეგახსენებთ, რომ კანადელმა 11 ნოემბერს, „ბოსტონთან" მატჩში მოიტეხა ფეხი. ამ სეზონში მისი მონაგარი 17 მატჩში დაგროვებული 23 ქულაა (14+9).

**ფორმულა 1**

### დიდ ცირკს მაყურებელი აკლდება

ფორმულა 1-ის მთავარმა პრომოუტერმა **ბერნი ექლსტოუნმა** ჟურნალისტებს განუცხადა, რომ 2012 წელთან შედარებით, შარშან „სამეფო რბოლების" აუდიტორია დაეცა და ეს კონკურენციის დონის დაწევას უკავშირდება.

*„გასულ წელს, ჩვენი საერთო აუდიტორია დაახლოებით 450 მილიონ მაყურებელს შეადგენდა, რაც ნაკლებია 2002 წლის მაჩვენებელზე. თუმცა ამაში გასაკვირი არაფერია. უარყოფითი გავლენა იქონია იმ ფაქტმა, რომ ჩემპიონი უკვე ცნობილი იყო აშშ-სა და ბრაზილიის გრანპრიმდე"*, - აცხადებს ბრიტანელი.

ექლსტოუნი დარწმუნებულია, რომ ახალ სეზონში ტექნიკური რეგლამენტის ცვლილება აამაღლებს კონკურენციას და ჩემპიონატს ინტერესს დაუბრუნებს მაყურებლების მხრიდან: *„დროული ცვლილებები ეხმარება ფორმულა 1-ს იდგეს ტექნოლოგიურ ავანგარდში. დარწმუნებული ვარ, რომ ახალ სეზონში მოულოდნელობის დონეც მაღალი იქნება და მძაფრი კონკურენციაც დაბრუნდება"*.

**კრივი**

### ძმა ძმაზე და სამშობლოზე ნერვიულობს

სუპერმძიმე წონით კატეგორიაში სამი ვერსიით მსოფლიოს ჩემპიონი, უკრაინელი **ვლადიმერ კლიჩკო** შეშფოთებულია თავის სამშობლოში პოლიტიკური სიტუაციით და აღიარებს, რომ უკრაინას მძიმე პერიოდი უდგას.

*„სამწუხაროდ, უკრაინაში შექმნილი პრობლემები, შესაძლოა, სამოქალაქო ომში გადაიზარდოს, დაიღუპება ბევრი ადამიანი. ჩვენ შეიძლება დავკარგოთ ქვეყანა, რადგან იქ დიქტატურა დამყარდება. ვნერვიულობ ყველას, მათ შორის, ჩემი უფროსი ძმის უსაფრთხოებაზე. ლაპარაკია სიკვდილ-სიცოცხლის საკითხზე და სიტუაცია, შესაძლოა, ძალიან მალე უარესობისკენ შეიცვალოს"*, - ამბობს კლიჩკო.

ვლადიმერი ისე აქტიურად არ არის ჩართული უკრაინულ მოვლენებში, როგორც მისი უფროსი ძმა - ვიტალი. ამ დღეებში მან მორიგ ბრძოლაზე გააფორმა კონტრაქტი და 26 აპრილს, გერმანიის ქალაქ ობერჰაუზენში ავსტრალიელ **ალექს ლეაპაის** შეხვდება.

**ოლიმპიზმი**

### ბახი ფრანგების მხარესაა

საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტმა **ტომას ბახმა** მხარი დაუჭირა საფრანგეთის კანდიდატურის წამოყენებას 2024 წლის ზაფხულის თამაშების მასპინძლობაზე. აღვნიშნავთ, რომ სწორედ 2024 წელს საფრანგეთი აღნიშნავს თავის ტერიტორიაზე პირველი ოლიმპიური თამაშების ჩატარებიდან 100 წლისთავს.

*„რამდენიმე კვირის წინ, შეხვედრა მქონდა საფრანგეთის ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის წარმომადგენლებთან, სპორტსმენებთან და საფრანგეთის პრეზიდენტ ფრანსუა ოლანდთან. ჩვენ მოგვწონს საფრანგეთის ინტერესი ოლიმპიადის ჩატარებაზე, რადგან ეს განსაკუთრებული ქვეყანაა. ეს არის ბარონ პიერ დე კუბერტენის სამშობლო*, - მოჰყავს სააგენტო „როიტერს" ბახის სიტყვები. - *საფრანგეთს აქვს ყველაფერი იმისთვის, რომ ოლიმპიადის მასპინძლობისთვის ძალიან ძლიერი განაცხადი წარმოადგინოს. არ ღირს უკან ყურება, მხოლოდ მომავალზე უნდა ვიფიქროთ. მე გამოვუცხადე საფრანგეთს ნდობა, რათა მათ გააგრძელონ მუშაობა ამ პროექტზე"*.

## ცხელი ხაზი

**ფეხბურთი**

**ინგლისის თასი**

| | |
|---|---|
| ფულჰემი-შეფილდი | 0:1 |

**ინგლისი**

**I ლიგა**

| | |
|---|---|
| ბრისტოლი-ქოვენთრი | 1:2 |
| სტევენეიჯი-ჯილინგემი | 3:1 |

**II ლიგა**

| | |
|---|---|
| ბერი-ოქსფორდი | 0:1 |

**კონფერენსი**

| | |
|---|---|
| ჰალიფაქსი-სალისბერი | 5:1 |
| ლინკოლნი-ნანიტონი | 1:2 |
| მაკლსფილდი-ჩესტერი | 3:2 |

**FA Trophy**

| | |
|---|---|
| ჰავანტი-ალდერშოტი | 4:1 |

**JP Trophy**

| | |
|---|---|
| ფლიტვუდი-ჩესტერფილდი | 1:3 |

**ამხანაგური მატჩები**

| | |
|---|---|
| სილკებორგი-სონდერიისკი | 1:0 |
| რანდერსი-ჰობრო | 1:1 |
| სპარტა-ლოკომოტივი | 2:1 |
| შტურმი-ვაიცი | 2:0 |
| რიდი-ვალერნი | 1:3 |

**იტალიის თასი**

**1/2 ფინალი. I მატჩი**

| | |
|---|---|
| უდინეზე-ფიორენტინა | 2:1 |

**საფრანგეთი**

**ლიგის თასი. 1/2 ფინალი**

| | |
|---|---|
| ნანტი-პსჟ | 1:2 |

**ჰოლანდია**

| | |
|---|---|
| როდა-ფეიენოორდი | 1:2 |
| დენ ჰააგი-ჰერაკლესი | 0:3 |
| ვიტესი-ალკმაარი | 0:2 |

**უელსის თასი**

| | |
|---|---|
| ეირბასი-ბანგორი | 2:0 |

**ჩრ. ირლანდია**

| | |
|---|---|
| ბალიმენა-კლიფტონვილი | 1:3 |
| კოლრეინი-ბალინამალარდი | 1:1 |

**ურუგვაი**

| | |
|---|---|
| დანუბიო-სერო ლარგო | 1:1 |
| რენტისტასი-მირამარი | 1:3 |

**აზიის თასი**

**შესარჩევი**

| | |
|---|---|
| სინგაპური-იორდანია | 1:3 |

**ს. აფრიკა**

| | |
|---|---|
| ამაზულუ-აიაქსი | 1:0 |
| ორლანდო-ბიდვესტი | 2:1 |
| პოლოკვანე-პლატინუმი | 2:2 |

**ფუტსალი**

**ევრო 2014**

| | |
|---|---|
| იტალია-ხორვატია | 2:1 |
| ესპანეთი-სლოვენია | 4:0 |

**კალათბურთი**

**ადრიატიკის ლიგა**

| | |
|---|---|
| ციბონა-პარტიზანი | 80:76 |

**საფრანგეთი**

| | |
|---|---|
| შოლე-ორლეანი | 78:69 |
| პარიზი-სტრასბური | 58:75 |

**ჰოკეი**

**ნორვეგია**

| | |
|---|---|
| სტორჰამარი-სტავანგერი | 4:3 (ო) |
| ლილეჰამერი-ვოლერენგა | 2:5 |
| ლორენსკოგი-სპარტა | 2:6 |
| სტიერნენი-ფრისკ ასკერი | 2:4 |
| ტონსბერგი-რუსენბორგი | 4:3 (ბ) |

**ფინეთი**

| | |
|---|---|
| იოკერიტი-იუვიასკიულა | 1:2 (ბ) |
| კაიპა-საიპა | 3:4 (ბ) |
| პელიკანსი-ლუკო | 2:1 |
| ტაპარა-ჰიფკ | 2:1 (ბ) |
| ტპს-კერპეტი | 3:2 (ო) |

**ჩეხეთი**

| | |
|---|---|
| ტრშინეცი-ლიტვინოვი | 6:2 |
| ზლინი-სლავია | 4:2 |
| პლზენი-ბრნო | 1:2 |
| ხომუტოვი-ვიტკოვიცე | 3:8 |
| ლიბერეცი-კარლოვი ვარი | 2:0 |
| პრალოვე-პარდუბიცე | 0:1 (ო) |
| სპარტა-კლადნო | 6:0 |

**შვედეთი**

| | |
|---|---|
| აიკ-ჰვ 71 | 3:1 |
| ვექსიო-შელეფტეო | 1:2 (ო) |
| ლეკსანდი-ლინჩოპინგი | 5:2 |
| ფერიესტადი-ბრინასი | 3:2 (ო) |
| ფრიოლუნდა-ლულეა | 4:2 |
| ორებრო-მოდო | 0:1 |

**ჩოგბურთი**

**ATP. ზაგრები**

| | |
|---|---|
| ჩილიჩი-დელიჩი | 6:4, 6:4 |
| ჰუტა გალუნგი-ბეკერი | 7:6, 3:6, 6:7 |

**ATP. მონპელიე**

| | |
|---|---|
| ისტომინი-ილჰანი | 6:4, 7:5 |
| ლოდრა-ჟიკელი | 4:6, 6:7 |
| დე სხეპერი-ოლივეტი | 6:4, 6:7, 4:6 |
| ჰერბერი-არტუნედო | 6:4, 6:3 |

**ATP. ვინა დელ მარი**

| | |
|---|---|
| ბედენე-რობერი | 2:6, 6:3, 6:3 |
| კუევასი-დელ ბონისი | 3:6, 4:6 |
| ლორენცი-გონსალესი | 6:2, 6:1 |
| ვოლანდრი-კარენო ბუსტა | 0:6, 6:3, 1:6 |
| ალუნდი-რამოსი | 6:3, 6:4 |
| დანიელი-ბელუჩი | 6:3, 6:3 |
| ხირალდო-რამირეს იდალგო | 6:4, 6:2 |

**ATP. ზაგრები**

| | |
|---|---|
| ლაიოვიჩი-კრსტინი | 6:2, 6:3 |
| ფაუ-პავიჩი | 6:3, 6:4 |
| ბერერი-კორიჩი | 6:4, 3:6, 6:4 |
| ლაჩკო-შტრუფი | 6:4, 6:4 |
| ბრანდსი-კარლოვიჩი | 7:6, 5:7, 6:7 |

## TV პროგრამა

**5 თებერვალი. ოთხშაბათი**

**GMG-ფეხბურთი**

10:00 ჰოლანდიის ჩემპიონატი. XXII ტური. ვიტესი-ალკმაარი.
12:00 ჩემპიონთა ლიგა. ზენიტი-პორტო.
14:00 გერმანიის ჩემპიონატი. XIX ტური. ჰერტა-ნიურნბერგი.
16:00 ჩემპიონთა ლიგა. ჩელსი-შალკე.
18:00 პორტუგალიის ჩემპიონატი. XVII ტურის მიმოხილვა.
19:00 ჩემპიონთა ლიგა. ნაპოლი-მარსელი.
21:00 ყოველკვირეული ტელეჟურნალი - FOOTBALL MONDIAL.
21:45 ჰოლანდიის ჩემპიონატი. XXII ტური. კამბური-ეინდჰოვენი (LIVE).
23:45 ჩემპიონთა ლიგის მიმოხილვა.
01:15 არგენტინის ჩემპიონატი. სეზონის I ნაწილის მიმოხილვა. რივერ პლეიტი.

**GMG-სპორტი 1**

10:00 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. ბაიერნი-აინტრახტი.
12:00 სპორტ-NEWS.
12:15 კალათბურთი. ევროლიგა. პანათინაიკოსი-ბარსელონა.
14:30 ყოველკვირეული ტელეჟურნალი - FOOTBALL MONDIAL.
15:00 ფეხბურთი. პორტუგალიის ჩემპიონატი. სპორტინგი-აკადემიკა.
17:15 კალათბურთი. ევროლიგა. ლიეტუვას რიტასი-პანათინაიკოსი.
19:00 სპორტ-NEWS.
19:30 ყოველკვირეული ტელეჟურნალი - ტრანსვორლდსპორტი.
20:30 საჩოგბურთო მიმოხილვა.
21:00 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. ლონდონი. ბრიტანეთი.

**GMG-სპორტი 2**

10:00 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. როტერდამი. ჰოლანდია.
13:45 სპორტ-NEWS.
14:10 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. როტერდამი. ჰოლანდია.
18:30 სპორტ-NEWS.
19:00 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. როტერდამი. ჰოლანდია.

**ამინდის პროგნოზი**

| | | | |
|---|---|---|---|
| თბილისი | -13 | 2 | (მზე) |
| ქუთაისი | -3 | 5 | (მზე) |
| ბათუმი | 1 | 8 | (მზე) |
| ფოთი | -3 | 6 | (მზე) |
| ზუგდიდი | -3 | 6 | (მზე) |
| გორი | -13 | -1 | (მზე) |
| თელავი | -15 | 2 | (მზე) |
| სიღნაღი | -12 | 0 | (მზე) |
| გუდაური | -20 | -6 | (მზე) |
| ბაკურიანი | -24 | -5 | (მზე) |
| ბორჯომი | -16 | 0 | (მზე) |
| მესტია | -17 | 1 | (მზე) |

**ვალუტის კურსი**

| | |
|---|---|
| 1 ევრო | 2.4069 |
| 1 ამერიკული დოლარი | 1.7822 |
| 1 ბრიტანული ფუნტი | 2.9107 |
| 100 რუსული რუბლი | 5.0581 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

● ოლიმპიზმი. სოჭი 2014

# რუსეთმა ახალი დოპინგი მოამზადა?



სავარაუდოდ, ახალი მძლავრი დოპინგი გამოიგონეს რუსეთში სოჭის ოლიმპიური თამაშების წინ. გერმანული ტელეკომპანია ARD-ის ჟურნალისტებმა მოსკოვში ფარული კამერით გადაიღეს ამ პრეპარატის შეძენის მომენტი იმ ადამიანისგან, რომელსაც რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის თანამშრომელი უწოდეს. ეს ნივთიერება ხელს უწყობს კუნთის მასის ინტენსიურ ზრდას, ხოლო პრეპარატის რაოდენობა, რომელიც საჭიროა სრული კურსის გასავლელად, 100 ათას ევროდ არის შეფასებული. ეს რეალიზატორის ინფორმაციაა. დოპინგის განხრით გერმანელი ექსპერტის **მარიო ტევისის** სიტყვებით, დღეს ამ პრეპარატის ალმოჩენა დოპინგტესტებით შეუძლებელია.

ახალ პრეპარატს ჯერ არ გაუვლია კლინიკური აპრობაცია და ის მხოლოდ ცხოველებზე გამოსცადეს, ამან კი, შეიძლება მეტად სახიფათო გართულებები გამოიწვიოს, - აღნიშნა მსოფლიოს ანტისადოპინგო სააგენტოს გენერალურმა დირექტორმა **დევიდ ჰაუმენმა**. *„ჩემთვის ეს შოკისმომგვრელია. გულუბრყვილოა ის, ვინც დაიჯერებს, რომ სოჭში ყველა ოლიმპიელი სუფთა იქნება, - აგრძელებს ჰაუმენი. - ბევრს ექნება იმის იმედი, რომ ამ სუბსტანციას ვერ აღმოაჩენენ".*

მსოფლიოს ანტისადოპინგო სააგენტო სოჭში დაახლოებით 2500 დოპინგსინჯის აღებას აპირებს, რაც სარეკორდო რაოდენობაა ზამთრის ოლიმპიადებზე. მაგრამ ბაზარზე ახალი პროდუქტის გამოსვლამ, შესაძლოა, ყველა მონდომება წყალში ჩაყაროს.

# ყველაზე გულუხვი ყაზახეთია

ყოველთვის საინტერესოა, რა თანხებს იღებენ საკუთარი სახელმწიფოებისგან ოლიმპიელები მოპოვებული მედლების სანაცვლოდ. როგორც ირკვევა, ამ მხრივ ლიდერი ყოფილა ყაზახეთი. იქაურ ჩემპიონს (სავარაუდოდ, ამ ქვეყნიდან ოქროს მედლის მფლობელი შეიძლება გახდეს მოთხილამურე **ალექსეი პოლტორანინი**) სოჭში გამარჯვებისთვის 250 ათას დოლარს დაჰპირდნენ. ასევე მნიშვნელოვნად შეივსებენ საბანკო ანგარიშს ჩემპიონები იტალიიდან, ბელარუსიდან და იაპონიიდან.

მაგრამ, ოფიციალური პრემიალური თანხები - ერთადერთი წახალისება არ არის ოლიმპიელებისთვის. მაგალითად, რუსეთში პრემია შეიძლება გაორმაგდეს რეგიონული ბიუჯეტის ხარჯზე, ჩინელი პრიზიორები ფულისა და საჩუქრების გარდა, პრესტიჟულ თანამდებობებს მიიღებენ სხვადასხვა კომპანიისგან, სოჭში ამერიკელ გმირებს კი ელით სარეკლამო კონტრაქტები. არსებობს პერსონალური პრემიების პრაქტიკა. მაგალითად, ფიგურულ სრიალში კორეელ ვარსკვლავს **იუ ნა კიმს** სოჭში გამარჯვებისთვის მილიონ დოლარს დაჰპირდნენ.

შეიძლება უცნაურად მოგეჩვენოთ, მაგრამ ზამთრის თამაშებზე ტრადიციულად ძლიერი ქვეყნები - ნორვეგია და შვედეთი საერთოდ არ აპირებენ საკუთარი ჩემპიონებისა და პრიზიორებისთვის თანხის გადახდას. სახელმწიფო პრემიების არარსებობის კომპენსირება ხდება სხვადასხვა სტიპენდიითა და სწავლაში შეღავათებით.



**პრემიალურები ოქროს მედლებისთვის**

| | |
|---|---|
| 1. ყაზახეთი | 250 000 |
| 2. იტალია | 192 000 |
| 3. ბელარუსი | 150 000 |
| 4. იაპონია | 143 000 |
| 5 ესპანეთი | 128 000 |
| 6. უკრაინა | 125 000 |
| 7. ფინეთი | 123 000 |
| 8. რუსეთი | 122 000 |
| 9. ჩინეთი | 82 000 |
| 10. ჩეხეთი | 78 000 |
| 11. საფრანგეთი | 70 000 |
| 12. პოლონეთი | 40 000 |
| 13. გერმანია | 34 000 |
| 14. სლოვენია | 27 000 |
| 15. აშშ | 25 000 |
| 16. კანადა | 20 000 |

# ყველაზე მძიმე, მსუბუქი, ტანმორჩილი...



ზდენო ხარა

NHL-ის კლუბის „ბოსტონ ბრუინზის" მცველი **ზდენო ხარა**, რომელიც სოჭის ოლიმპიადაზე სლოვაკეთის ოლიმპიური ნაკრების მედროშე იქნება, ზამთრის თამაშებზე ყველაზე მძიმე და მაღალი ოლიმპიელია. ხარას სიმაღლე 206 სანტიმეტრია, წონა - 117 კილოგრამი. ის მესამე ოლიმპიადაში მიიღებს მონაწილეობას.

ყველაზე ტანმორჩილი სპორტსმენები მოციგურავეები არიან - იაპონელი **ნარუმი ტაკაჰაში** და კანადელი **ლაიმ ფირუსი** (146 სმ). ყველაზე მჩატე ოლიმპიელები - უკრაინელი ფრისტაილისტი **ალექსანდრ ოკიპნიუკი**, ავსტრიელი ტრამპლინიდან მხტომელი **კიარა ჰელცელი** და შორტ-ტრეკში გერმანელი წარმომადგენელი **ანა ზაიდელი** (43 კგ).

ოლიმპიადის ყველაზე უმცროსი წარმომადგენელი იქნება 15 წლის იაპონელი სნოუბორდისტი **აიუმი ჰირანო** (29.11.1998), აგრეთვე მისი თანატოლი, გერმანელი ტრამპლინიდან მხტომელი **ჯანინა ერნსტი** (31.12.1998). ყველაზე ასაკოვნები არიან: 48 წლის მოთხილამურე დომინიკის რესპუბლიკიდან **ანჟელიკა მორონ დი სილვესტრი** (25.11.1965), რომლისთვისაც ეს ოლიმპიადა სადებიუტო იქნება, და 55 წლის მექსიკელი სამთო მოთხილამურე **ჰუბერტუს ფონ გოგენლოე** (02.02.1959). ის მეექვსე ოლიმპიადაზე გამოვა.

● ჩოგბურთი

# როჯერს დევისის თასი მოეწონა



როჯერ ფედერერი

შვეიცარიელმა **როჯერ ფედერერმა** გამოაცხადა, რომ დევისის თასზე მსოფლიო ჯგუფის მეოთხედფინალშიც დაეხმარება თავის გუნდს. შვეიცარიის ნაკრები 4-6 აპრილს საკუთარ მოედანზე მიიღებს ყაზახეთს.

*„მე ვითამაშებ აპრილში ჩემს მეგობრებთან ერთად",* - დაწერა თავის „ტვიტერზე" შვეიცარიელმა. შეგახსენებთ, რომ პირველ რაუნდში შვეიცარიის ნაკრებმა სერბეთი დაამარცხა 3:2.

დევისის თასი ერთ-ერთი იშვიათი პრიზია, რომელიც არ მოიპოვება ლეგენდარული ფედერერის კოლექციაში.

# გაზაფხულზე ქორწილია

სერბმა **ნოვაკ ჯოკოვიჩმა** თავის თაყვანისმცემლებს აცნობა, რომ უკვე გაზაფხულზე აპირებს თავის მეგობარ გოგონაზე **ელენა რისტიჩზე** დაქორწინებას.

*„ელენა, დატკბი მომენტით, სანამ შეგიძლია. რამდენიმე თვის შემდეგ, შენს გვარს ჯოკოვიჩზე გაცვლი",* - ასეთი სიტყვები წარმოთქვა ნოვაკმა ერთ-ერთ სერბულ სატელევიზიო შოუში. ადრე იტყობინებოდნენ, რომ ჯოკოვიჩისა და რისტიჩის ქორწილი შემოდგომაზე იგეგმებოდა.

ისინი ერთმანეთს რვა წელია ხვდებიან.



ნოვაკი და ელენა

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

არ გამოგრჩეთ თებერვლის ნომერი!




ლელო
ISSN 2233-3827
დამფუძნებელი და გამომცემელი შპს გამომცემლობა ლელო
გამოიცემა ყოველდღე, გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი **თენგიზ გაჩეჩილაძე**

მთავარი რედაქტორის პირველი მოადგილე **გია თვალაბეიშვილი** (599 56 17 38); მოადგილეები: **ნიკოლოზ ნეფარიძე** (595 09 03 28), **გია ტუხაშვილი** (555 50 05 13);
მხატვრული რედაქტორი: **ვაჟა სიმონიშვილი**; ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი **მიხეილ ჯაში**; ფოტო: **თამუნა ყულუმბეგაშვილი**.

1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. „ლელოს" მთავარი რედაქტორები: **მიხეილ კაკაბაძე** (1949-52, 1964-76), **ერემო მახათაძე** (1952-53), **ირაკლი უგულავა** (1953-64), **ანზორ ბასილაია** (1976-83), **არჩილ გოგელია** (1984-85), **თენგიზ გაჩეჩილაძე** (1985-დან).

*პალიტრა მედიის ცხელი ხაზი: 2 19 60 13; 2 19 60 53. ელფოსტა: contact@pallitra.ge;* მისამართი: **იოსებიძის, 49.** ხელმოწერილია დასაბეჭდად: 02:50 ნომრის პასუხისმგებელი რედაქტორი: **გოტფრიდ ლენცი**
ტელეფონი: **599 55 48 97** (მთ. რედაქტორი); ფაქსი: **+995. 232 38 08 63**; *leloltd@gmail.com (რედაქცია); lelo@palitra.ge* ინდექსი **66435 INDEX**. სარეკლამო განყოფილება: **237 78 07; 2 38 78 70**
რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა ბეჭდვით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია
საბანკო რეკვიზიტები: **შპს „გამომცემლობა ლელო", 205262062. ბანკი „ქართუ" CRTUGE22 ა\ა GE19CR0120007000043608**